# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი, № 11 (2790) გამოცემის მე-60 წელი, 1991 15 მარტი ფასი 40 კაპ.



ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველოს ყველა მოქალაქეს!



## ბოიკოტი გამოვუცხადოთ 17 მარტს დანიშნულ საკავშირო რეფერენდუმს!

ზურაბ ფორჩხიძის ნახატი

ეროვნული ბიბლიოთეკა




# „მოსკოვი აღვივებს ცეცხლს“

## „შპიგელის“ ინტერვიუ საქართველოს პრეზიდენტთან ზვიად გამსახურდიასთან

შპიგელი: ბატონო პრეზიდენტო, საქართველოში ორი თვეა სამოქალაქო ომი მიმდინარეობს...

გამსახურდია: ეს სამოქალაქო ომი არ გახლავთ, ესაა კრემლის ომი საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც პროვოკაციულად გააჩაღეს მოსკოვის სამსახურში ჩამდგარმა ცხინვალელმა ოსმა ექსტრემისტებმა.

შპიგელი: ოსი და ქართველი მოქალაქეები ერთმანეთს ესვრიან.

გამსახურდია: ეს სამოქალაქო ომი არაა. ოსი და ქართველი მოსახლეობა არ უპირისპირდება ერთმანეთს, იბრძვიან მოსკოვისგან დაგეშილი ექსტრემისტები, რომლებიც ტყვიამფრქვევებით, რაკეტებით, ნაღმსატყორცნებით, ნაღმებითა და სხვა თანამედროვე იარაღით არიან შეიარაღებულნი.

შპიგელი: ნუთუ მოსკოვის მილიციის რაზმები არ ცდილობენ გააშველონ მებრძოლი მხარეები?

გამსახურდია: როგორ ვეკადრებათ. შინაგან საქმეთა სამინისტროს შენაერთები ორმაგ თამაშს ეწევიან: ხან ერთ მხარეს ეხმარებიან, ხან მეორეს, ოღონდ მეტწილად ოსებს უდგანან მხარში. გარდა ამისა, ცენტრი არც პირდაპირ ჩარევას ერიდება: ექსტრემისტების ყოველ გამოხდომას საბჭოთა არმიის თანადგომა ათამამებს, რომელიც მას იარაღითაც ამარაგებს.

შპიგელი: 1989 წელს მოხდა სისხლიანი შეტაკებები საქართველოში მცხოვრებ აფხაზებთან და აზერბაიჯანელებთანაც. ეს შეტაკებებიც მოსკოვის წაქეზებით მოხდა?

გამსახურდია: რა თქმა უნდა. როგორც კი გაძლიერდება ჩვენი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, მოსკოვი იმწამსვე ეთნოკონფლიქტებს აჩაღებს და, სხვათა შორის, ამით დაუფარავადაც გვემუქრება.

შპიგელი: მაინც როგორ გემუქრებათ?

გამსახურდია: 25 თებერვალს მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა დამირეკა, ეს იყო საქართველოს ოკუპაციის სამოცდამეათე წლისთავის დღე, რასაც, ეტყობა, სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭებოდა, და მკითხა: „როგორ გუნებაზე ბრძანდებით? მინდოდა, ხმით გამომეცნო თქვენი გუნება-განწყობილება.

შპიგელი: წინა დღეს სამხრეთ ოსეთში შვიდი ქართველი მოკლეს...

გამსახურდია: ამიტომაც დაუხანებლად ვუპასუხე, ისეთ გუნებაზე ვარ, რა გუნებაზეც უნდა იყოს კაცი, რომელსაც შვიდი ახლო ნათესავი დაეღუპა-მეთქი, ამაზე მან სიტყვასიტყვით ასეთი დიალოგი გამიბა:

გორბაჩოვი: და თქვენ კვლავაც არ გსურთ ხელი მოაწეროთ სამოკავშირეო ხელშეკრულებას?

მე: ეს მხოლოდ ჩემი პოზიცია არაა, ასე ფიქრობს ჩემი ხალხიც.

გორბაჩოვი: თუ იცით, რომ აფხაზები და ოსები ხელს აწერენ ხელშეკრულებას და სახელშეკრულებო რეფერენდუმშიც სურთ მონაწილეობის მიღება?

მე: ესაა სულ 140 000 კაცი, საქართველოში კი ხუთი მილიონი კაცი ცხოვრობს.

გორბაჩოვი (მოზრდილი პაუზის შემდეგ): კარგად აწონ-დაწონეთ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერის საკითხი.

მე: ჩვენ არც ვფიქრობთ ამაზე.

გორბაჩოვი: მაშინ ელოდეთ დიდ გასაჭირს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში“.

ახლა ხომ მიხვდით, ვის სჭირდება და რა მიზნით გაჩაღდა ომი სამხრეთ ოსეთში.

შპიგელი: თუ არიან ისეთი მმართველები, ვინც მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის შენარჩუნებასა და საამისო ხელშეკრულებას?

გამსახურდია: დიდ უმრავლესობას ეს არ სურს და საქართველო ამიტომაც არ მონაწილეობს სამოკავშირეო რეფერენდუმში. ჩვენ საკუთარ რეფერენდუმს ვატარებთ 31 მარტს.

შპიგელი: რატომ მაინცდამაინც 17 მარტის შემდეგ?

გამსახურდია: ამაზე ადრე რეფერენდუმის ჩატარება ვერ მოხერხდება. საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა და ბევრი გზა მანამდე ჩაკეტილია ხოლმე. გარდა ამისა, არ გვინდა სხვამ გვიკარნახოს რეფერენდუმის ჩატარების თარიღი. ბოლოსდაბოლოს, საქმე კავშირში დარჩენა-არდარჩენას სულაც არ ეხება. სამართლებრივი თვალსაზრისით საქართველო არცაა საბჭოთა კავშირის ნაწილი, ჩვენ არასოდეს შევსულვართ მის შემადგენლობაში. ჩვენმა ხალხმა ერთადერთ კითხვას უნდა გასცეს პასუხი: გვინდა თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობა — ჰო თუ არა.

შპიგელი: თუ საქართველო გამოვა საბჭოთა კავშირიდან, მაშინ აძლევთ ოსებს ეროვნული უმცირესობის უფლებების გარანტიას?

გამსახურდია: ოსების უმრავლესობა ჩვენს მხარესაა და პროვოკატორების წინააღმდეგ ილაშქრებს. ერთი საათის წინ ჩემთან ოსების დელეგაცია იყო, რომელთაც სურთ მოსკოვში შიმშილობის აქცია მოაწყონ ცხინვალელი ექსტრემისტების სეპარატისტული მისწრაფების წინააღმდეგ. ეროვნულ უმცირესობებს ჩვენში ყოველგვარი უფლებები აქვთ. ეს აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ქართველები არიან აპარტეიდულ რეჟიმში ჩაცვენილნი. უკვე 10 000 ქართველი იქცა ლტოლვილად საკუთარ სამშობლოში.

შპიგელი: ოსები 4000-ხს ამბობენ. საქართველოს ფარგლებში ავტონომიაზე უარს ეუბნებით, არა?

გამსახურდია: იმიტომ, რომ მათ არ ეკუთვნით სახელმწიფოებრივი ავტონომია. ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომელიმე ჩვენი კუთხე გაგვიუცხოვდეს. თუ წარმოგიდგენიათ, თურქებმა გერმანიაში თავის საკუთარი რესპუბლიკა დააარსონ? თუკი ისინი ოდესმე შეეცდებიან ამას, ნამდვილად მოსკოველი მრჩევლების ხელი იქნება გარეული ამ საქმეში.

შპიგელი: ახლახან დააპატიმრეს ტორეზ ყულუმბეგოვი, სამხრეთ ოსეთის ერთ-ერთი ლიდერთაგანი. დაგიდასტურათ მან თქვენი ეჭვი, რომ მას გარედან ხელმძღვანელობენ?

გამსახურდია: ყულუმბეგოვი დაკითხვისას აცხადებს დამოუკიდებელი ოსური რესპუბლიკის პრეზიდენტი ვარო. ფსიქიატრიულ კლინიკებში ხშირად გაიგონებთ მტკიცებას, ნაპოლეონი ვარ, ჰიტლერი ან სტალინიო და ეს არავის უკვირს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ ვიცით, ყულუმბეგოვი და მისი მარჯვენა ხელი ჩოჩიევი სუკის დაქირავებული აგენტები რომ ბრძანდებიან.

შპიგელი: რა ღონეს ხმარობთ კავშირიდან საქართველოს გამოსახსნელად?

გამსახურდია: ჩვენ უკვე გვაქვს ახალი კონსტიტუცია, რომელსაც საერთო არაფერი აქვს საბჭოთა, კომუნისტურ რეჟიმთან. საბჭოთა სტრუქტურები ფაქტიურად დაშლილია, კომუნისტური პარტიის ბატონობა წარსულს ჩაბარდა, მისი ზეგავლენა ნულის ტოლია. ჩვენში აღმასკომების ნაცვლად ძალაუფლებას ახლა პრეფექტები და არჩეული საკრებულოები განახორციელებენ. ასე ყალიბდება მშვიდობიანი გზით სრულიად სხვა წეს-წყობილება.

შპიგელი: არავითარ დაბრკოლებას რომ არ აწყდებით, ისე?

გამსახურდია: მხოლოდ მოსკოვის ცენტრისტების ხრიკები გვიქმნიან სიძნელეებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. მოსკოვს დაძაბულობის კერების მეოხებით უნდა მუქარის ქვეშ გვიყოლიოს.

შპიგელი: თქვენს დამოუკიდებლობის პოლიტიკას თუ ათანხმებთ კავშირიდან გასვლის მოსურნე სხვა რესპუბლიკებთან?

გამსახურდია: ვცდილობთ, მაგრამ მე ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ სსრკ ერთი დიდი საკონცენტრაციო ბანაკია და ყველას უნდა, პირველმა გააღწიოს იქიდან, თითქოს სხვა მის წილ თავისუფლებას ეცილებოდეს. ამიტომაა, რომ დღეს რესპუბლიკები უფრო ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვიდრე კოორდინაციას ცდილობენ. ჩვენი პოზიციები იქ კი ხავსებით ემთხვევა ერთმანეთს, სადაც სამოკავშირეო რეფერენდუმსა და გორბაჩოვთან დამოკიდებულებას ეხება საქმე.

შპიგელი: როგორ უნდა სსრკ-ს გარეთ დარჩენილ საქართველოს ეკონომიკურად გაიტანოს თავი?

გამსახურდია: ჩვენ ძალიან ვცდილობთ ეკონომიკური კავშირი დავამყაროთ დასავლეთის ქვეყნებთან. დღესდღეობით ამ საქმეში უზარმაზარი პრობლემები გვედობება წინ, რადგან მოსკოვს დიდი ზეგავლენა აქვს დასავლეთზე და ჩვენ იზოლირებულნი ვართ, სახელმწიფო საზღვრები პრაქტიკულად დახშულია. მაგრამ საქართველო მდიდარი ქვეყანაა, თუნდაც ჩვენი ნედლეული, ხილი, ღვინო, ტურისტული შესაძლებლობები აიღეთ.

შპიგელი: თქვენ მაშინ მოგიწევდათ 150 მყარი დოლარი გადაიხადოთ ერთ ტონა ნავთობში. ნაკვლად დღევანდელი 25 ქაღალდის მანეთისა.

გამსახურდია: მართალი ბრძანდებით, ჩვენ ნავთობი ცოტა გვაქვს, მაგრამ, სამაგიეროდ, გვაქვს მსოფლიოში უდიდესი მანგანუმის მარაგი და თან საუკეთესო ხარისხისა. ახლა ამერიკული ფირმები მზად არიან უბრალო სასმელი წყალიც კი იყიდონ ჩვენგან, რაც საკმაოდ უხვად გაგვაჩნია. ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, ტურიზმისათვის გვჭირდება დიდი ინვესტიციები, და, რომ იცოდეთ, წინადადებების ნაკლებობას არ განვიცდით.

შპიგელი: მომავალშიც გსურთ იქონიოთ ეკონომიკური კონტაქტები საბჭოთა კავშირთან?

გამსახურდია: რუსეთის ფედერაციასთან ჩვენ ძალიან მეგობრული ურთიერთობა გვაქვს, პრეზიდენტი ბორის ელცინი და მე მშვენივრად ვუგებთ ერთმანეთს.



Osseten in Zchinwali: „Waffen von der Sowjetarmee"

# „Moskau heizt an"

SPIEGEL-Interview mit Georgiens Präsident Swiad Gamsachurdia

**SPIEGEL:** Herr Präsident, in Georgien herrscht seit zwei Monaten Bürgerkrieg . . .

**GAMSACHURDIA:** Das ist kein Bürgerkrieg, sondern ein Krieg des Kreml gegen Georgien, vom Zaun gebrochen durch ossetische Extremisten in der Stadt Zchinwali, die im Solde Moskaus stehen.

**SPIEGEL:** Ossetische und georgische Bürger schießen aufeinander.

**GAMSACHURDIA:** Es ist kein Bürgerkrieg. Die ossetische und die georgische Bevölkerung stehen nicht gegeneinander. Das sind von Moskau angeleitete Extremisten, ausgerüstet mit Maschinengewehren, Raketen, Granatwerfern, Minen, modernsten Waffen.

**SPIEGEL:** Versuchen nicht Moskaus Polizeitruppen, beide Streitparteien auseinanderzuhalten?

**GAMSACHURDIA:** Ach was, die Einheiten des Innenministeriums spielen ein doppeltes Spiel: Mal helfen sie der einen und mal der anderen Seite, aber meistens der ossetischen. Außerdem



**Swiad Gamsachurdia**

wurde seit seinem 17. Lebensjahr verfolgt – auch von Georgiens damaligem Innenminister und Parteichef Eduard Schewardnadse. Insgesamt kam der Gründer der georgischen Helsinki-Gruppe auf 17 Jahre Haft, wegen „illegaler Verbreitung von Druckerzeugnissen", „nationalistischer Propaganda" und „antisowjetischer Tätigkeit". Der promovierte Philologe und Autor gewann im vorigen Herbst als Spitzenkandidat des Parteienbündnisses „Runder Tisch – freies Georgien" mit 155 von 250 Mandaten im Parlament von Tiflis die ersten Wahlen seit der Annexion Georgiens durch die Bolschewiki 1921. Nach seiner Wahl zum Parlamentspräsidenten bekannte sich Gamsachurdia, 52, zum Abschied von der Sowjetunion: „Das georgische Volk geht nicht den Weg der Gottlosigkeit, des Raubes und Terrors."

ეროვნული ბიბლიოთეკა

შპიგელი: თქვენი ოპოზიცია „ეროვნული კონგრესიდან“ ამტკიცებს, ელცინსაც არ აკლია იმპერიალისტური ამბიციები, ოღონდ იმ რუსეთის და არა საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ.

გამსახურდია: ვშიშობ ამ საკითხში არ მოტყუვდეთ. ეს არც ოპოზიციაა და არც პარალელური პარლამენტი, ეს გახლავთ ხელმოცარული პოლიტიკოსების ჯგუფი, კრიმინალურობამდე რომაა დაცემული. მათ ხალხი მხარს არ უჭერს, მათ მიმართ ხალხს მხოლოდ სიძულვილის გრძნობა თუ გააჩნია.

შპიგელი: თუმცა მათ დიდი შეიარაღებული რაზმები ჰყავთ, არა?

გამსახურდია: აღარ ჰყავთ. ჩვენ ისინი თითქმის სრულიად განვაიარაღეთ და ასზე მეტი მეთაური დავაპატიმრეთ. დღეს ისინი თავს პოლიტპატიმრებად აცხადებენ, მაგრამ ეს იყო დამნაშავეთა ბანდები, რომლებიც ყაჩაღური თავდასხმით, ძალადობითა და მძევლების აყვანით ირჩენდნენ თავს. იმ ასიდან მხოლოდ ორს ჰქონდა მუდმივი სამსახური. დასავლეთი ტერორისტებს პოლიტპატიმრებად არ აცხადებს.

შპიგელი: მაგრამ თქვენც ხომ გსურთ ეროვნული გვარდიის შექმნა.

გამსახურდია: ჩვენ დაწყებულიც გვაქვს ეს საქმე, მაგრამ ამ მხრივ დიდი სიძნელეები გვხვდება. ჩვენ არავინ გვიდგას მხარში და იმ იარაღის იმედად ვართ, იმ ბანდების დაშლისას რომ დავინარჩუნეთ.

შპიგელი: ეროვნულ კონგრესს საიდანღა აქვს იარაღი?

გამსახურდია: მათ იარაღი შავ ბაზარზე შეიძინეს, გარდა ამისა, ლამის დღე არ გავა, საბჭოთა ჯარისკაცებს რომ არ დაესხნენ თავს და არ წაართვან იარაღი. ეს კრემლს საბაბს აძლევს ამტკიცოს, საქართველოში შეიარაღებული აჯანყება მზადდებაო. ჩვენთვის ამიტომ იყო მნიშვნელოვანი ამ პროვოკაციების ალკვეთა. სანამ კრემლს არავითარ საბაბს არ მივცემთ, მანამ მათი ტანკები ჩვენში ვერ იგრუხუნებს.

შპიგელი: როგორ გგონიათ, მსგავსი აქციებისგან დაზღვეული ხართ, ლიტვასა და ლატვიაში რომ მოეწყო?

გამსახურდია: დამოუკიდებლობისათვის უიარაღო ბრძოლა უძლეველია. დღეს მხოლოდ ზნეობამ და სულიერმა სიმტკიცემ შეიძლება შეხძრას მსოფლიო. მაგრამ თუ პროვოკატორები საბჭოთა არმიასთან კონფრონტაციას შეეცდებიან, მაშინ ყველაფერია მოსალოდნელი.

შპიგელი: „პერესტროიკამ“ საბჭოთა კავშირიდან რესპუბლიკების გამოყოფის ექო რომ გამოსცა, ამან მოაქცია გორბაჩოვი მემარჯვენეთა გავლენის ქვეშ.

გამსახურდია: იგი თვითონაც მემარჯვენეა, ერთხანს ამჯობინებდა მემარცხენეობას, თორემ იგი ხომ ანდროპოვის გამოზრდილია, კრემლის იმ ერთ-ერთი უზავბნელესი სუბიექტისა, და აი, გორბაჩოვი ამ მღელვარების კერას მატრაზივით იყენებს, რათა პერმანენტული მუქარა არ მოგვიშალოს.

შპიგელი: ძალმომრეობის აქტები დამოუკიდებლობის მოძრაობას ხომ არ ემუქრება?

გამსახურდია: ყველა ამგვარი კონფლიქტი, ყარაბახში იყო ეს, ფერღანასა თუ ახლა ე. წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, კრემლის მიერაა ინსპირირებული. ხალხებს ერთმანეთს უსისიანებენ, რათა მერე მოსკოვი ჩაერიოს საქმეში მომრიგებელ-მოსამართლესავით და კვლავაც იბატონოს მათზე.

ჟურნალი „შპიგელი“.
11.03.1991 წ.

# საქმიანი ვიზიტი გერმანიაში

დასავლეთ გერმანიის გამომცემლობა „არლეკინების სახლის“ მეპატრონის, ზაარლანდის რადიოტელევიზიის წამყვანი რეპორტიორის, პოეტისა და პუბლიცისტის გეორგ ლაურანის პერსონალური მოწვევით გერმანიაში იმყოფებოდნენ მუხრან მაჭავარიანი, ენვერ ნიჟარაძე, გურამ ფანჯიკიძე, აგრეთვე, ჟურნალისტი და გერმანისტი ვლადიმერ ზარიძე.

ორი დღის წინ დელეგაცია გერმანიიდან სამშობლოში დაბრუნდა. გთავაზობთ ინტერვიუს **მუხრან მაჭავარიანთან.**

— ბატონო მუხრან, კმაყოფილი ბრძანდებით ვიზიტით?

**— ვიზიტი მართლაც ნაყოფიერი გამოდგა. ვგულისხმობ როგორც კონკრეტულ საქმეებს, ასევე სამომავლო ურთიერთობათა გზების დასახვას. გერმანელ კოლეგებთან და გამომცემლობებთან საუბრებმა დაგვანახა, რომ მომა-**



**ვალში საჭიროა სულ სხვანაირი მოქმედება. კიდევ უფრო დავრწმუნდით, რომ მწერალთა კავშირი სახელმწიფო ბიუჯეტზე კი არ უნდა იყოს, მას უნდა ჰქონდეს თავისი დამოუკიდებელი ეკონომიკა, სავალუტო ფონდი. თუ ამ მიმართულებით ენერგიული ნაბიჯები არ გადავდგით, არაფერი გამოგვივა.**

— როგორ იცნობენ თანამედროვე ქართულ ლიტერატურას ზაარლანდში და, საერთოდ, გერმანიაში?

**— მოგახსენებთ, როგორ იცნობენ ზაარლანდში, თქვენ კი დაასკვენით, — როგორ იცნობენ მთელს გერმანიაში. მიუხედავად თბილისისა და ზაარბრუკენის ამდენწლოვანი მეგობრობისა, იქაურ მწერლებს, მკითხველებზე აღარაფერს მოგახსენებთ, არავითარი წარმოდგენა არა აქვთ დღევანდელ ქართულ მწერლობაზე. ეტყობა, თავიდანვე ჩამოყალიბდა მეგობრული ჯგუფები (ყოველ შემთხვევაში, მწერლებში ასეა), რომლებიც სისტემატურად მიდიოდნენ ზაარბრუკენსა და თბილისს შორის. თანაც, ეტყობა, ამ მისვლა-მოსვლას გასართობი ხასიათი უფრო ჰქონდა, ვიდრე საქმიანი.**

— იქნებ კონკრეტულად გვითხრათ, რა საკითხები გადაჭერით?

**— ვესტუმრეთ და ვესაუბრეთ დასავლეთ გერმანიის ცნობილი გამომცემლობის „პანდიონის“ გენერალურ დირექტორს დოქტორ ლივალდს.**

**მან მოიწონა ჩვენი წინადადება და წელსვე გამოსცემს 9 აპრილისადმი მიძღვნილ წიგნს. აღსანიშნავია, რომ მან არ იკმარა ის 120 ფოტო, რომლებიც 9 აპრილის ბატალიებს წარმოსახავენ და დამატებით მოგვთხოვა ფოტომასალები. წიგნში პუბლიცისტურ წერილებთან ერთად შევა ამ ტრაგედიისადმი მიძღვნილი ქართველი პოეტების ლექსები.**

**გამომცემლობამ სურვილი გამოთქვა გამოსცეს ახალგაზრდა ქართველი პოეტების ლექსების კრებული. ჩვენის მხრივ კი შევთავაზეთ ცალკეული კრებულების გამოცემა. ბატონმა ლივალდმა თანხმობისათვის დრო ითხოვა. ბუნებრივია, სამომავლოდ გამომცემლობა გაითვალისწინებს როგორც თანამედროვე ქართველი პროზაიკოსების, ასევე კლასიკის გამოცემას. ახლა მთავარია, კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. ჩვენ თბილისში მოვიწვიეთ გამომცემლობის მეპატრონე. იგი ვიზიტზე სიამოვნებით დაგვთანხმდა და ჩამოვა ოქტომბერში. ვფიქრობ, მისი სტუმრობა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს გამომცემლობებთან ჩვენი კავშირის განმტკიცებას.**

**პირადად ვესაუბრეთ გამომცემლობა „ჰემპელის“ გენერალურ დირექტორს ბატონ ჰემპელს, რომელიც ძალზე დაინტერესდა ბატონ ზვიად გამსახურდიას წიგნით „საქართველოს სულიერი მისია“ და მოგვთხოვა, რაც შეიძლება სწრაფად გავუგზავნოთ ამ წიგნის ანოტაცია გერმანულ ენაზე.**

**ვესტუმრეთ ზაარლანდის ტელევიზიასა და რადიოს. იქ შეგვხვდნენ ლიტერატურის, კულტურისა და პოლიტიკურ გადაცემების რედაქციების წარმომადგენლები. პრესკონფერენცია თითქმის სამ საათს გაგრძელდა. მათ ძალზე აინტერესებდათ საქართველოში და საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესები. სამწუხაროა, რომ მათ ძალზე ბუნდოვანი და მცდარი წარმოდგენა აქვთ საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, ეროვნულ მოძრაობაზე. გადაწყდა, მაისის თვეში საქართველოში ორი ან სამი თვით ჩამოვიდეს ზაარლანდის სატელევიზიო ჯგუფი, რომელსაც რამდენიმე დღით ჩამოყვება ზაარლანდის ტელევიზიისა და რადიოს გენერალური დირექტორი, დოქტორი ბუხვალდი. ჩვენ მათ აღვუთქვით, რომ ჩამოსვლისთანავე გავარკვევთ საქმის ნამდვილ არსში და მივცემთ სწორ ორიენტაციას. შემდეგ კი შედგა ჩემი ინტერვიუ ტელევიზიისა და რადიოს სპეციალურ კორესპონდენტებთან. ბუნებრივია, ყველა გამოსვლაში ხაზგასმით ვამბობდი, რომ დღეს საქართველოს სჭირდება დიდი მხარდაჭერა, მოვლენების ობიექტური გაშუქება, რათა სრულიად გავანეიტრალოთ საკავშირო პრესისა და რადიო-ტელევიზიის მიერ დახატული ტენდენციური და დამახინჯებული სურათები.**

**ვესტუმრეთ მეცნიერებისა და კულტურის სამინისტროს. მინისტრმა, პროფესორმა ბრაიტენბრახმა გვითხრა, ზაარბრუკენში უკვე ბევრი ქართველი ახალგაზრდა სწავლობსო. ის შეგვპირდა, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტ ადგილს გამოჰყოფენ ქართველი სტუდენტებისათვის. მან პირდაპირი დავალება მისცა თავის პირველ მოადგილეს ბატონ რუდოლფ კრონენბერგერს, რომ ენერგიული დახმარება გაგვიწიოს ყველა საკითხის გადაჭრაში, რასაც კი ჩვენ დავაყენებთ მათ წინაშე. კერძოდ, კრონენბერგერმა იკისრა საკოორდინაციო და სარეკომენდაციო მუშაობა გასწიოს გამომცემლობებს შორის ქართველ მწერალთა ნაწარმოებების გამოსაცემად.**

**საგანგებოდ მიგვიღო პატარა ქალაქის ეპელბორნის ბურგომისტრმა ბატონმა კელერმა. მიღებაზე მან ჩვენი გერმანელი კოლეგებიც მიიწვია. საინტერესო საუბარმა დიდხანს გასტანა. ისინი გაოცებას ვერ მალავდნენ, როცა გაიგეს, თუ როგორ იცნობს ქართველი ერი გერმანულ კლასიკურ თუ თანამედროვე ლიტერატურას. ქალაქის ბურგომისტრმა გვთხოვა, საქართველოს მთავრობას ვაცნობოთ, რომ ეპელბორნს სურს დაუძმობილდეს საქართველოს რომელიმე ქალაქს. ბუნებრივია, ამის თაობაზე სასწრაფოდ მოველაპარაკებით რესპუბლიკის ხელმძღვანელებს.**

— ბატონი ლაურანი რატომ იყო ასე დაინტერესებული თქვენი მიწვევით?

**— ბატონი ლაურანი წერს წიგნს ჰერმან ვედეკინდზე. მას სურს ამ წიგნში წარმოაჩინოს ქართველი ხალხი და ქართული კულტურა.**

**ხარემ აქვე ვიტყვი, რომ ძალზე თბილად მიგვიღო ბატონმა ვედეკინდმა შინ და გვაჩვენა თავისი „ქართული დარბაზი“.**

— თქვენ წელან ბრძანეთ, გერმანელებს ქართულ ეროვნულ მოძრაობაზე ბუნდოვანი და მცდარი წარმოდგენა აქვთო. უფრო ფართოდ ხომ არაფერს გვეტყვით ამის შესახებ?

**— ძალზე დამაფიქრებელი მოვლენის მოწმენი გავხდით. ისინი თითქოს შიშობენ კიდეც, თავიანთი მოსაზრებანი გამოთქვან ჩვენში მიმდინარე პროცესებზე. ეს გასაგებიცაა, ყველას თავისი პრობლემები აწუხებს. ისინი ერიდებიან გორბაჩოვის განაწყენებას, თანაც იმისაც ეშინიათ, ვაითუ, გორბაჩოვი გადააყენონ და რუსეთმა გერმანიიდან ჯარების გაყვანა გადაიფიქროსო. მიუხედავად ამისა, საუბარში თუ პრესკონფერენციებზე, აშკარად ვგრძნობდით, მხარდაჭერას. გაგვახარა იმ ფაქტმაც, რომ ბატონ ზვიად გამსახურდიას დიდი ავტორიტეტი აქვს მთელს გერმანიაში. უფრო მეტიც, როცა ჩვენი სტუმრობის ამბავი გაიგო, შვეიცარიიდან, ქალაქ ბაზელიდან დაგვირეკა ძალზე ცნობილმა პიროვნებამ, შვეიცარიის ოკულტისტთა საზოგადოების პრეზიდენტმა ქალბატონმა ანა იანმა და ბაზელში მიგვიწვია. სამწუხაროდ, გასაგები მიზეზების გამო, ჩვენ იქ ვერ გავემგზავრეთ. მან დაგვავალა მხურვალე სალამი გადაეცა ბატონ ზვიად გამსახურდიასათვის. თან გვთხოვა, ვაცნობოთ ზვიად გამსახურდიას, რომ ივნისში, სპეციალურ კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნება ქართველი და ევროპელი ხალხების სულიერი კულტურების ურთიერთმიმართების საკითხებს, გაგზავნოს საქართველოს წარმომადგენლები. „შპიგელის“ ბოლო ნომერში კი გამოქვეყნდა ინტერვიუ, ბატონ ზვიად გამსახურდიასთან, რომელსაც აქვე ვთავაზობთ მკითხველს.**

**ამ დღეებში ჩატარდება მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა, სადაც ფართოდ ვისაუბრებთ გერმანიაში ვიზიტის შედეგებზე და დავსახავთ სამომავლო გეგმებს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღია წერილი სსრკ პრეზიდენტს

AUDIATUR ET ALTERA PARS

დიდად პატივცემულო მიხეილ სერგის ძევ!

მე თქვენი თანამედროვე ვარ და თქვენი მოღვაწეობის საწყისი პერიოდის პოლიტიკის თანამოაზრეც, მაგრამ ბოლო ორ წელიწადში გამიჩნდა გრძნობა, რომ კაცობრიობის წინაშე გლობალური დანაშაულის მზადების თანამონაწილე თუ არა, მოწმე მაინც ვარ.

ვბედავ, მოგმართოთ ამ წერილით და მაქვს იმედი, რომ გამიგებთ თქვენც და სხვებიც.

ხალხები, ვისაც პრეზიდენტიც თქვენ ბრძანდებით, დგანან ურთულესი არჩევანის წინაშე — დარჩნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, თუ თავთავის სახლებს მიაშურონ.

ვფიქრობ, არსებული ვითარების შეფასებისა და სამომავლო გადაწყვეტილებათა მიღებისას ადამიანთა დიდი უმრავლესობა ჩვენი სინამდვილის პრობლემებს იხილავს რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის გაუთვალისწინებლად.

ისტორია კი შემდეგს გვეუბნება.

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისთვის რუსეთის იმპერია უკვე ხუთასი წლის იყო და თავისი არსებობის მეექვსე საუკუნეს სიბერისეული მიხრწნილების ყველა სიმპტომით შეხვდა. იმპერიები ხუთ, ექვს საუკუნეზე მეტს ვერ ცოცხლობენ, ეს ისტორიის კანონზომიერებაა. გამონაკლისს შეადგენს ბიზანტიის იმპერია, რომლის ათასწლოვანი სიცოცხლე უნდა აიხსნას მისი მსოფლიო-ისტორიული როლით, კერძოდ იმით, რომ იგი გარკვეული იდეოლოგიის, ამ შემთხვევაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის მისიონერი იყო.

იმ დროის რუსულ პოლიტიკურ აზროვნებას შეგნებული ჰქონდა იმპერიის დანგრევის გარდუვალობა. ყველა პროგრესულ პოლიტიკურ მიმდინარეობას, მიუხედავად ელფერისა, ერთი და იგივე მიზანი ამოძრავებდა — თუნდაც ახალი ფორმით, მაგრამ ყოველ მიზეზს გარეშე გამოენახა რუსეთის მრავალეროვანი სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნების საშუალებები.

ბოლშევიკებმა იმარჯვეს და მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ხალხებს მიმართეს ლოზუნგებით — ომი ომს, მიწა გლეხობას, ფაბრიკა-ქარხნები მუშებს, თავისუფლება და თანასწორობა ყველას, სუვერენიტეტი და კავშირიდან გასვლის უფლება იმ ხალხებსაც კი, ვინც პირველყოფილი წყობით ცხოვრობდა და ანბანი არ გააჩნდა; ბოლშევიკებმა იმარჯვეს იმიტომაც, რომ მომავალ სოციალისტურ სახელმწიფოში იდეოლოგიის ემისიონერის ფუნქცია და, მაშასადამე, ბიზანტიური დღეგრძელობა ივარაუდებოდა.

ეს არ განხორციელდა, ძირითადად, ორი მიზეზის გამო. ერთი ის, რომ კომუნიზმი ისტორიული განვითარების პროდუქტი კი არა, საწერ მაგიდაზე შეთხზული მოძღვრება იყო და უმწეო აღმოჩნდა. ის, ვინც კომუნიზმის გზა აირჩია, დანარჩენი კაცობრიობის განვითარებას ვერ აჰყვა და უიმედოდ ჩამორჩა. მეორე და მთავარი: „საბჭოთა" სახელმწიფო მრავალეროვანი სისტემების ნგრევის ისტორიულად კანონზომიერი პროცესის პირისპირ დადგა. მეოცე საუკუნის სულ ორმოცწლოვან მონაკვეთში, თითქმის ყველა იმპერია დაიშალა და ეს მოხდა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა და დაპყრობილი ხალხების ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობათა ერთობლივი იერიშის შედეგად. ცნობილია, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პროგრესი ხორციელდება მხოლოდ იქ, სადაც გარანტირებულია პირობა — ბაზარი, ფული, თავისუფალი ადამიანის შემოქმედებითი ინიციატივა. ეს პრობლემა კოლონიების გათავისუფლების გზით გადაწყდა. მეტროპოლიებმა მოიცილეს ზღვისგაღმა — ბაზების, არმიების, ფლოტების, სამფლობელოებში გარნიზონებისა და ადმინისტრაციების, ხოლო შინ სათანადო უწყებების შენახვის ხარჯები. ამგვარად გამოათავისუფლეს უდიდესი მატერიალურ-ფინანსური საშუალებები, ადამიანური რესურსები და მათთან ერთად მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალიც. მართალია, მშობიარობა მძიმე იყო, საჭირო შეიქნა ძვირადღირებული ომების წარმოება კოლონიებში, მაგრამ სამაგიეროდ დამარცხებებმა დაარწმუნეს იმპერიის დაშლის მოწინააღმდეგეები — კოლონისტები, მემარჯვენეები და ტვინში დიდმპყრობელური რუდიმენტის მქონე სხვა ძალები, რომ კოლონიური სისტემის დანგრევა აუცილებლობას წარმოადგენს, რის დამტკიცებაც ურწმუნოთათვის ამ გზით სურდათ პოლიტიკურ მოღვაწეებსა და იმპერიების ხელმძღვანელებს, უნდა ითქვას, — ნედლეულის ტრადიციული წყაროები და გასაღების ბაზრები შენარჩუნებულ იქნა. ეს ხელსაყრელი იყო, როგორც მეტროპოლიისთვის, ისე კოლონიებისთვის. ამას მოჰყვა ყოფილი იმპერიების ინტეგრაცია ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო გაერთიანებებში. შეიქმნა ახალი, გაუმჯობესებული პირობები მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შემდგომი მსვლელობისათვის, რისი შედეგებიც სახეზეა. აღვნიშნოთ, რომ ეს იყო ცივილიზაციის განვითარების ბუნებრივი სვლა და არა რაიმე რევოლუციური მოძღვრების გამარჯვება. რუსეთის იმპერია განზრახ, შეგნებულად გამოეთიშა ამ საერთო-საკაცობრიო პროცესს.

მეოცე საუკუნის სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში სოციალიზმით ინექციას, როგორც ჩანს, ყავლი გაუვიდა, თავი იჩინა მძაფრმა სკლეროზმა და სამოც წელიწადში მეორედ განსხეულდა იმპერიული ორგანიზმის გარდუვალი ნგრევის ლანდი.

ისევ ამოქმედდნენ ხსნისა და გამოსვლის მაძებარი ძალები.

გათამაშდა იგივე მისტერია, რაც ერთხელ უკვე იყო, ოღონდ სხვა მსახიობებითა და მიზანსცენით. მაშინ — თებერვლის რევოლუციისმიერი თავისუფლებით ეიფორია, ნახტომი თვითმპყრობელობის მონობიდან — დემოკრატიაში. ახლა — საჯაროობის პოლიტიკა, ნახტომი „სოციალისტური" უუფლებობიდან დემოკრატიაში. მაშინ — ოქტომბრის გადატრიალება, ბოლშევიკები, გრანდიოზული მოტყუება, ჩამოცურება მონობაში. ახლა — მკვეთრი გადახვევა მარჯვნივ, რეაქციის ყასიდი დაპირებები, ჩამოცურება მონობაში. ორივე შემთხვევაში — სამოკავშირეო ხელშეკრულება. ახალი — ძველზე კაბალური. ორივე — მახე.

და ყოველივე ეს იმპერიის მთლიანობის შენარჩუნებისათვის.

„ვის აძლევს ხელს ეს?".

— ჩვენი საზოგადოების დიდმპყრობელური ამპარტავნობის რუდიმენტის მქონე ფენებს.

— ხელმძღვანელობის მნიშვნელოვან ნაწილს, საკავშირო ხელისუფალთაგან დაწყებული — კოლმეურნეობების, სოფლის საბჭოების თავმჯდომარეებითა და სხვა ასეთებით დამთავრებული.

— სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისა და ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელობას.

— საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ხელისუფლების ყოველგვარ ცოდვათა და დანაშაულთა მონაწილე იყო.

ეს უდავოდ ანგარიშგასაწევი ძალა გიჭერთ მხარს თქვენ — პრეზიდენტს, რომელმაც ჩამოაცილა თავისი ადრინდელი გარემოცვა და შეცვალა იგი ადამიანებით პარლამენტის მორჩილ-აგრესიული ნაწილიდან, ანუ „ცენტრისტებით", როგორც ისინი უწოდებენ თავისთავს. თქვენ მიიღეთ ეს დასაყრდენი, როგორც „სამართლიანი" უმრავლესობის მოთხოვნა. ჩანს, პრეზიდენტი ასეც უნდა მოქცეულიყო, როცა საკითხი „ურღვევობას" შეეხო.

პრეზიდენტსა და მის სოციალურ დასაყრდენს რუსეთის იმპერიის შინაპოლიტიკის მიმართ დასავლეთის დამოკიდებულების იმედიც აქვთ. დასავლეთის სამყაროს ამოცანაა იხილოს რუსეთის იმპერია ზეთისხილის ტოტით და თავისუფალი ბაზრით ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში. რაც სრულიად ადვილი წარმოსადგენია მაშინაც კი, თუ ჩვენში იქნა დიქტატურა. დემოკრატიას შეუძლია მოიცადოს! ამას გარდა, დასავლეთს ურჩევნია საქმე იქონიოს ერთ პიროვნებასთან, ვიდრე თხუთმეტ ახალ სახელმწიფოსთან, რომელთა გამოჩენას უსათუოდ უნდა მოჰყვეს არსებული გეოპოლიტიკური ბალანსების გადასინჯვა, აქედან გამომდინარე თავსატეხებით.

შესაძლებელია თუ არა რუსეთის იმპერიის არსებობის შენარჩუნება ან გახანგრძლივება მაინც, განმეორებითი ინექციის წყალობით, ამჯერად, ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებით?

მოვუსმინოთ მეორე მხარეს.

— წარსულში ბოლშევიზმით ინექციამ გამართლება ჰპოვა, რადგან მასები პოლიტიზებული იყვნენ სოციალურად და გარდაქმნათა ბოლშევიკურმა პროგრამამ ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა. ჩვენს სინამდვილეში ხალხები პოლიტიზებული არიან ეროვნულად, ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას კი ისეთი არაფერი გააჩნია, რასაც ნოყიერი ნიადაგი დახვდება და ხალხების მოთხოვნებს რამდენადმე მაინც დააკმაყოფილებს. მაშასადამე, „განახლებულ კავშირში" შესვლასაც აზრი არა აქვს.

— ხალხები დარწმუნდნენ, რომ შეუძლებელია თანასწორობა მრავალრიცხოვან მძლავრსა და მცირერიცხოვან განიარაღებულს შორის. გამორიცხულია თანასწორობა მრავალეროვან სახელმწიფოში, რომელიც „სამარადისოდ შეჰკრა" მპყრობელმა ერმა, ხოლო იქ, სადაც არ არის თანასწორობა, შეუძლებელია დემოკრატია და თავისუფლება.

— იმპერიის ეკონომიკა პარალიზებულია, უახლოეს მომავალში მას ვერ მოაწესრიგებს ვერც არსებული და ვერც ახალი კავშირი, თუნდაც მისი გრანდიოზულობის გამოისობით. რად უნდა ჩაებას სიზიფეს შრომაში ესა თუ ის რესპუბლიკა, როცა საბაზრო ურთიერთობები თავად დაისახავენ როგორც ტრადიციული, ისე ახალი ეკონომიკური კავშირების გზებს და ახალი სუვერენული, ეროვნული ეკონომიკის ჩამოყალიბების პრობლემა გაცილებით ადვილად და სწრაფად გადაწყდება.

— რესპუბლიკებში ეთნიკური და სხვა კონფლიქტები მიჩნეულია Divide et impera-ს მეთოდის შედეგად. ეს მეთოდი გამოყენებულია ადგილებზე დესტაბილიზაციისა და ცენტრის ხელისუფლების შენარჩუნებისათვის. არ იქნება იმპერია — აღარ იქნება ძნელად გადასაწყვეტი ერთაშორისი უთანხმოებანი.

— სოციალიზმმა მასების საყოველთაო ნასწავლობა და განათლებულობა მოიტანა და ამით აიხსნება: საჯაროობით წახალისებული ეროვნული თვითშეგნების აფეთქება, თვითგამორკვევის უფლებისა და რეალური სუვერენიტეტის მოთხოვნები. ხალხების ცნობიერებიდან ამ შეგნების გამომარგვლა თუ გამოფხეკა შეუძლებლად უნდა ჩაითვალოს.

— რუს ხალხს მობეზრდა სხვა ხალხების ფლობა თავისი ეროვნული სიმდიდრეების განიავების ხარჯზე და სამარცხვინო ჩამორჩენილობა ყველასგან და ყველაფერში. მას არაფერი აქვს გამოცლილი ქრონიკული სილატაკითა და მშიერი მპყრობელობით და არ სურს მის კმაყოფაზე მყოფთა მოკავშირეობა.

— რესპუბლიკების ნახევარმა უარი თქვა საერთო-საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობაზე. ამით მათ განაცხადეს თავისი უარი „განახლებულ კავშირში" შესვლაზე. რეფერენდუმი კი მაინც ჩატარდება. რისთვის? ცხადია, იმისთვის, რომ მონაწილეთა დიდებითი ხმებით გადაწყდეს იმათი ბედ-იღბალი, ვინც არ მოისურვა რეფერენდუმში მონაწილეობა. სხვაგვარი ახსნა არ არსებობს, სხვისი სურვილით კი კავშირში არავინ გაერთიანდება.

— ისტორიის კანონზომიერებებს თუ გავითვალისწინებთ, არსებული კავშირის გადარჩენა-შენარჩუნება შეუძლებელია და „რუსეთის დიდი ალრეულობა" იმპერიის აგონიად აღიქმება. „განახლებულ კავშირში" შესვლა ძველსავე გეენაში ჩასვლას ნიშნავს.

ასე ამბობს მეორე მხარე — რესპუბლიკები.

ზემოხსენებულ დაბრკოლებებზე ხალხების გადახტომა მხოლოდ კეტის ცემით არის შესაძლებელი. ხალხები კი თავისუფლების მოპოვებისთვის მზად არიან აიტანონ ყველაფერი, ნებისმიერი ბლოკადიდან — ტანკების ჩათვლით. დავუშვათ რომელიმე რესპუბლიკის მთავრობამ ანგარიში არ გაუწია ხალხის განწყობილებას და ხელი მოაწერა ახალ ხელშეკრულებას — ხალხი ჩამოაგდებს მას და ხელმოწერაც გაუქმებულად ჩაითვლება. თუ მთავრობა გაჯიქდა, და იგი ჯარმა ჩამოაგდო, მაშინ ხელშეკრულებას მოღალატეები მოაწერენ ხელს, მაგრამ არც ეს იქნება გამოსავალი, რადგან ამ გზით შეიქმნება სახელმწიფო, რომელშიც პოლკოვნიკები თავის ჯამაგირად ერთ პურსაც კი ვერ იყიდიან, ხოლო მოქალაქეები ასეთი სახელმწიფოდან მეტი ფაცხაფუცხით გაიქცევიან, ვიდრე უწინ.

აი, დაახლოებით ყოველივე ის, რა და რატომაც არ სურთ ხალხებს. ვითარება მძიმეა, გამოსავალი მხოლოდ ნაწილობრივი არსებობს, და ისიც საბაზრო ეკონომიკის ნამცეცებით შელამაზებული საბჭოთა კავშირის შენარჩუნებაში კი არ არის, რაც თავისთავად ვითარების სტაბილიზაციის პანაცეად ვერ გამოდგება, არამედ დროის მოთხოვნებზე სათანადო პასუხის პოვნაშია. მგონია, სტაბილურობისა და ერთიანობის მიღწევა მშვიდობიანი, ურთიერთშეთანხმებული გზებით მხოლოდ იმ რესპუბლიკებში შეიძლება, ვისაც კატეგორიული უარი არ უთქვამთ ნებისმიერი ფორმის რუსეთის იმპერიასთან რამენაირი კავშირის აღდგენაზე. სხვებს კი, რამდენადაც ვიცი, სხვა ხასიათის ალიანსის იმედი აქვთ. სახელდობრ:

— იმ რესპუბლიკებმა, რომლებსაც ახალი ფორმის კავშირში სურთ ინტეგრირება, უნდა გამოაცხადონ საბჭოთა კავშირიდან გასვლის გადაწყვეტილება. უმაღლესმა საბჭომ, ან დეპუტატების ყრილობამ უნდა დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნა, რის შემდეგ (ან წინდაწინ) რესპუბლიკები ხელს აწერენ ახალ ხელშეკრულებას.

— რესპუბლიკა არის სუვერენული სახელმწიფო თავისუფლად არჩეული წყობილებით და წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სუბიექტს.

— კავშირი წარმოადგენს სამხედრო-ეკონომიკურ გაერთიანებას, თავმჯდომარეთი და კომიტეტებით, რომელთა კომპეტენცია ვრცელდება საგარეო პოლიტიკის, ეკონომიკის, კომუნიკაციების, კონფლიქტების, შეიარაღებულ ძალთა და საჭიროების მიხედვით სხვა სფეროებზე. ყოველი კომიტეტი წარმოდგენილია რესპუბლიკების წარგზავნილთა თანაბარი რაოდენობით და ყოველი რესპუბლიკა სარგებლობს გადამწყვეტი ხმითა და ვეტოს უფლებით.

რამოდენიმე აუცილებელი პირობა:

— რესპუბლიკები ახორციელებენ კავშირის სათანადო კომიტეტის მიერ შემუშავებულ საგარეო პოლიტიკას, მაგრამ დამოუკიდებლად მონაწილეობენ საერთაშორისო ღონისძიებებში — კულტურული გაცვლები, სპორტი, ლიტერატურა და ხელოვნება, განათლება, მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა და სხვა.

— რესპუბლიკა, ნედლეულის ტრადიციული წყაროებისა და ბაზრების შენარჩუნების მიზნით, აღადგენს კავშირის სხვა სუბიექტებთან ჰორიზონტულ ეკონომიკურ ურთიერთობებს და, ამასთან ერთად, სარგებლობს დანარჩენ მსოფლიოსთან ეკონომიკური ურთიერთობების განუსაზღვრელი უფლებით.

— კავშირის თავდაცვის ფუნქციებს, რესპუბლიკებში საკუთარი შეიარაღებული ძალების შექმნამდე, დროებით ასრულებს საბჭოთა არმია. რესპუბლიკები, საკუთარი შეიარაღებული ძალების შექმნის შემდეგ, მიავლენენ თავისი არმიების ერთ ნაწილს კავშირის საერთო შეიარაღებულ ძალებში, რომელთა დანიშნულება იქნება საერთო-სტრატეგიული ამოცანების განხორციელება, ხოლო რესპუბლიკების არმიების ძირითადი ნაწილი ივალდებულებს სხვა სახელმწიფოებთან საკუთარი საზღვრების დაცვას.

— კავშირის საერთო შეიარაღებული ძალების დისლოცირება ამა თუ იმ რესპუბლიკის ტერიტორიაზე ხდება მხოლოდ და მხოლოდ ამ რესპუბლიკის თანხმობის საფუძველზე.

ასეთი მგონია რუსეთის იმპერიის ზოგი ხალხებისთვის მისაღები „განახლებული კავშირის" დაახლოებითი სქემა.

რაც შეეხება ქართველ ხალხს, მას არც ასეთი გაერთიანება აძლევს ხელს და წართმეული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის იბრძვის.

ჩვიდმეტი მარტის რეფერენდუმი ძველსავე მონობაში გვეპატიჟება, მაგრამ ამაოდ. მიწა მოხნულია, დაფარცხულია და თესლს ველარაფერი ამოკენკავს.

კვლავ შეყრისთვის აუცილებელია გაყრა. სხვა რეალური შესაძლებლობა არ ჩანს.

პატივისცემით

ჭაბუა ამირეჯიბი

ქ. თბილისი

11. 03. 91.

# „სიმართლე მწყურია, სიმართლე მშია...“

თეიმურაზ დოიაშვილი

გავრცელებული აზრი, თითქოს ჯანსუღ ჩარკვიანის ცნობილი სტრიქონები — „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა — შვილი დახაკარგავი“ — ოთარ შალამბერიძის ტაეპების უბრალო გადამღერება იყოს, გადაჭარბებული ჩანს. გავიხსენოთ ო. შალამბერიძის ლექსის ეს ადგილი: „ხადა ჰყავდა საქართველოს ცრემლის ტბაში დახახრჩობი ქალი!“ (ამას პოეტი ნინო ჭავჭავაძეზე ამბობს. ლექსის სათაურია „გრიბოედოვის საფლავზე თქმული“).

დამოწმებული ფრაზა შეიძლება მხოლოდ იმპულსი იყოს ჯანსუღ ჩარკვიანის პოეტური ფორმულისა. სიტყვა „ფორმულა“ აქ შემთხვევით არ მიხსენებია: ჯ. ჩარკვიანის სტრიქონები, თუმცა ისინიც კონკრეტულ პიროვნებას — ფაშიზმთან ომის დროს პოლონეთში დაღუპულ თხუთმეტი წლის ირინე სხირტლაძეს ეძღვნება, კარგა ხანია, ზოგად ფორმულად იქცა და არაერთხელ იქნა ციტირებული სულ სხვადასხვა ვითარებებთან დაკავშირებით. ო. შალამბერიძის მშვენიერი ტაეპები კი იმდენად კონკრეტულია, ისეა მიჯაჭვული კონტექსტს, რომ მისი ზოგად ფორმულად გამოყენება ვერ ხერხდება.

ასე რომ, თუ ამ ტაეპების აზრი ჯ. ჩარკვიანს ნასესხები აქვს, მაშინ მას იგი შემოქმედებითად გადაუმუშავებია და ახალ თვისებრიობად გარდაუქმნია.

საერთოდ, ჯ. ჩარკვიანი ხშირად მიმართავს სხვა პოეტთა ლექსების პერიფრაზირებას თუ ციტირებას. შეიძლება ითქვას, რომ ეს მისი პოეტიკის უმთავრესი თავისებურება გახლავთ.

ვნახოთ მარჯვე ციტირების ნიმუში ჯ. ჩარკვიანის ლექსიდან „გალობის ზარი“, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ციკლშია შესული. ამ ლექსში ერთგან ვკითხულობთ: „მიეცით ნიჭსა შარაგზა ფართო, თაყვანისცემა უნდა ღირსებას“. ცხადია, მკითხველი მაშინვე ხვდება, რომ ეს გრიგოლ ორბელიანის ქრესტომათიული სტრიქონებია, უმნიშვნელოდ შეცვლილი (გრ. ორბელიანთან არის: „მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანის-ცემა ღირსებას“). როცა იმასაც გავიხსენებთ, რომ გრ. ორბელიანი უნიჭიერესი, მაგრამ ყოველმხრივ უკიდურესად შეჭირვებული პოეტის ლამის ყოვლისშემძლე ბიძა გახლდათ, მაშინ მისი ზემოთ მოყვანილი გამონათქვამის ციტირების ფუნქციაც ნათელი გახდება, — ნათელი გახდება, როგორ დასცილებია ერთმანეთს სიტყვა და საქმე. ჯ. ჩარკვიანთან ამ უაღრესად სწორი და სერიოზული აზრის შემცველი სტრიქონების გამოჩენა ირონიულ ქვეტექსტს ქმნის და, ამდენად, მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

იმავე ციკლის ერთ ლექსში ასეთ სტრიქონებს ვკითხულობთ: „უკან მოგჩხავის თვალბედითი ᲨᲐᲕᲘ ᲧᲝᲠᲐᲜᲘ... შენ კი მხედარი, შენ კი მგოსანი, ნადალესტნარი, ᲜᲐᲨᲐᲛᲥᲝᲠᲐᲚᲘ“.

ალბათ არ მოიძებნება საქართველოში ისეთი წიგნიერი ადამიანი, ვინც არ იცის, რომ ეს ორიგინალურად ნაწარმოები სიტყვა „ნაშამქორალი“ მუხრან მაჭავარიანის ლექსში გვხვდება: „შენ — სისხლო ჩემო — სად არ დაღვრილო... შენ — სად არ გხვრეპდა შავი ყორანი... ვინ გაგაკვირვოს, რამ გაგაკვირვოს, — ნადიდგორალი, ნაშამქორალი“.

„ნადიდგორალი, ნაშამქორალი“ ჯ. ჩარკვიანთან ასე შეიცვალა: „ნადალესტნარი, ნაშამქორალი“. ხოლო, როცა იგი „ნაშამქორალს“ იმავე სიტყვებს ურითმავს, რასაც მ. მაჭავარიანი (ნაშამქორალი — შავი ყორანი), უკვე სრულიად აშკარა ხდება, რომ ისევ ციტირებასთან გვაქვს საქმე.

მაგრამ ზემოთ განხილული მაგალითისაგან განსხვავებით, აქ ციტირების ფუნქცია ნათელი არ არის. მ. მაჭავარიანის ლექსს არაფერი აქვს საერთო ნ. ბარათაშვილთან (ის, რომ ამ ლექსშიც და „მერანშიც“ შავი ყორანი იხსენიება, ცხადია, არაფერს ნიშნავს თუნდაც მხოლოდ იმის გამო, რომ შავი ყორანი, როგორც ავი ბედის სიმბოლო, საყოველთაოდ გავრცელებულია უძველესი დროიდან და იგი ვინმეს „საკუთრება“ არ არის).

არც ისაა ნათელი, რატომ არის ნ. ბარათაშვილი „ნადალესტნარი, ნაშამქორალი“.

რაკი აქ ციტირების ფუნქცია გაურკვეველია, მკითხველს აუცილებლად გაუჩნდება აზრი, რომ საქმე გვაქვს ისეთ ნასესხობასთან, რასაც ლიტერატურისმცოდნეობაში უფრო მკაცრი სახელი ჰქვია...

მუხრან მაჭავარიანისადმი მიძღვნილ ლექსში („სიტყვა“) ჯანსუღ ჩარკვიანი წერს: „პირველად სიტყვა არის მთავარი, სიტყვა რთულია, სიტყვა ძნელია, შენ მაინც შენ ხარ, ხოლო მავანი, პირწავარდნილი მიმბაძველია“.

პირველი სიტყვის თქმა, მართლაც, რთული და ძნელია. თვითნაბად ტალანტს მიმბაძველებიც უხვად უჩნდება. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ მ. მაჭავარიანის გამორჩეულად ინდივიდუალური პოეტური სტილის ხიბლს ვერც ზემოთდამოწმებული სტრიქონების ავტორი გადაურჩა. ამის დამადასტურებელი ერთი შთამბეჭდავი მაგალითი უკვე ვნახეთ. საინტერესო ისაა, რომ მ. მაჭავარიანის ამ, აწ უკვე ქრესტომათიულად ქცეული, ლექსის გამოძახილი ჯ. ჩარკვიანის სხვა ნაწარმოებებშიც გამოისმის.

მ. მაჭავარიანის ამ ლექსში სემანტიკურად ყველაზე უფრო დატვირთული ფრაზაა „შენ — სისხლო ჩემო...“, რომლითაც იწყება ყოველი სტროფი. ამ ფრაზას, უმნიშვნელო ცვლილებით, იმეორებს ჯ. ჩარკვიანი პოემაში „კოლხეთისაკენ, ბიჭებო!“: „შენ, ჩემო სისხლო, ფილტვო და ღვიძლო“. ჩამოთვლის გაგრძელება, ცხადია, შეიძლება, მაგრამ ის ფრაზა, რომელიც მიმართვის ინტონაციას განსაზღვრავს, ნასესხებია. ეს ინტონაციური ფიგურა, რა სიტყვიერი მასალითაც გინდა შეავსო, მაინც ინარჩუნებს თავის ინდივიდუალურ ხმოვანებას.

ლექსში „მიმართვა გულისადმი“ ჯ. ჩარკვიანი წერს: „შენ, ჩემო გულო, გულო პაწია...“. ეს სტრიქონი რიტმულ-ინტონაციურად, მიმართვის ფორმითა და სიტყვის გამეორებით ახლოა მუხრან მაჭავარიანის ტაეპისა „შენ — სისხლო ჩემო — სისხლო ხნიერო“.

მ. მაჭავარიანის ერთი ლექსის მაგალითზე გაცხადდა, თუ რა მრავალჯერადი გამოძახილი უპოვია მას ჯ. ჩარკვიანის შემოქმედებაში. ამიტომ, ალბათ, გასაკვირი აღარ იქნება, რომ ამ უკანასკნელის ლექსებსა და პოემებში მ. მაჭავარიანის პოეზიის არაერთი ანარეკლი, რემინისცენცია თუ ნასესხობა შევამჩნიოთ.

მ. მაჭავარიანის პოეტურ სტილს უკავშირდება სინტაქსური კონსტრუქციის ისეთი აგება, როდესაც ქვეწყობილ წინადადებაში მაკავშირებელი სიტყვა სტრიქონის ბოლოსკენაა დაძრული და ზოგჯერ სარითმო ერთეულიცაა. მაგალითად: „ქვითინებს მუხა, — ალაზანს გაღმა, ილიას თვალწინ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ გაზმა“; „წყალი — ადუღდა ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ — უნდოდა ყველას ენაზა“. ეს სინტაქსური კონსტრუქცია ბაზისია სპეციფიკური ინტონაციისა, რომელიც მუხრან მაჭავარიანის სტილის ერთ-ერთი მახასიათებელია.

ჯ. ჩარკვიანი ამ სინტაქსურ-ინტონაციურ ფიგურასაც ითავისებს: „მსხდა ბნელსა ერი ᲠᲝᲛᲔᲚᲘ, დიდი იხილა ნათელი“; „მე ვფერავ ვაჟას დაჟანგულ ხანჯალს. დამობებია ქარქაში ᲠᲝᲛᲔᲚᲡ“; „იმ გმირთაგმირის მე ვარ აჩრდილი, ქართველი კაცი ელის ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ“.

ჯ. ჩარკვიანის შემოქმედებაში იშვიათი არაა ისეთი შემთხვევები, როდესაც უდავოა აზრობრივ-ფრაზეოლოგიური შეხვედრები მ. მაჭავარიანის იმ ლექსებთან, რომლებიც ქრონოლოგიურად ადრეა შექმნილი. მ. მაჭავარიანის პოეტური სტილის ელემენტები თავისი გამოკვეთილი ინდივიდუალობის გამო ასიმილაციას არ ემორჩილებიან და უცხო გარემოში უმალ ამხელენ თავს. აი, რამდენიმე მაგალითი მრავალთაგან:

1. „იქ დაბრუნდები ციდანა — ცაში ასულხარ სიდანაც“ (მ. მაჭავარიანი);

„სიდანაც მოედინები, შეუერთდები მასვე“ (ჯ. ჩარკვიანი).

2. „კიდევ უფრო, კიდევ უფრო ილორძინე, საქართველოვ... გაგიმარჯოს, საქართველოვ!“ (მ. მაჭავარიანი);

„გადღეგრძელებ, საქართველო, კიდევ უფრო ალორძინდი“ (ჯ. ჩარკვიანი).

3. „ტყე-ტყე მიდის... ტყე-ტყე მიდის... ინდი-მინდი ფერად შინდი,,, მიდის... მიდის (...) ავთანდილი?! რუსთველია! რამ გააავთანდილა!..“ (მ. მაჭავარიანი);

„მისი ფერი, ლურჯი ფერი, ლურჯი ყანის ლალანია, მოდის, მოდის რუსთაველი ავთანდილის ლხენითაო“ (ჯ. ჩარკვიანი).

ახლა კი რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას ორი, მართლაც, უცნაური შემთხვევის გამო. პოეზიის მოყვარულთ უთუოდ ემახსოვრებათ მუხრან მაჭავარიანის ცნობილი „დიალოგები წვიმაში“. შევახსენებთ ფრაგმენტს ერთ-ერთი დიალოგიდან:

— დალევდი ახლა?..
ხო დალევდი?..
დალევდი?..
— იმე!.. —
— შენ რავა ფიქრობ, —
ზვალდილამდე გადილებს,
ალბათ?
— რა ვიცი,
ვნახოთ...
ვერ მოგცემ იმედს.

შევადაროთ ამ ფრაგმენტს ჯ. ჩარკვიანის, ფაქტობრივად, ანალოგიური სათაურის ლექსი — „მაღალფარდოვანი დიალოგი წვიმაში“:

— რას იტყვი,
კიდევ დავლიოთ თითო?!
— დავლიოთ, მაგრამ
წუთისოფლის ზარი რას
გვიხმობს?
— შენ როგორ ფიქრობ,
გადილებს ვითომ?
— მეტი არაა ჩემი მტერი,
ამან გადილოს.

ერთადერთი ფრაზა, რაც ამ ლექსს საერთო არა აქვს მ. მაჭავარიანის ლექსთან, ესაა „წუთისოფლის ზარი რას გვიხმობს?“ და ისიც უცხო სხეულივით ზის ამ კონტექსტში.

ახლა შევადაროთ ერთმანეთს მუხრან მაჭავარიანის „ვეძებ და ვეძებ“ და ჯანსუღ ჩარკვიანის „ძიება“. ვიმედოვნებ, აქაც მკითხველმა მსგავსება უკვე სათაურებშივე შეამჩნია.

ვეძებ და ვეძებ,
რაღაცას ვეძებ.
წარსულში ვეძებ,
აწმყოში ვეძებ,
მერმისში ვეძებ,
აკვანში ვეძებ,
კუბოში ვეძებ,
ჰაერში ვეძებ...
ვეძებ და ვეძებ,
რაღაცას ვეძებ.
ვიცოდე მაინც,
ვიცოდე მაინც, —
რა არის, —
რასაც
ვეძებ და ვეძებ.
ა, კაცი! —
იცის — გასაღებს ეძებს.
ამოუვარდა ჯიბიდან წელან.
მას ეხმარება
მეუღლე,
შვილი,
ცოლისდა,
სიძე,
სიდედრი,
დედა.
ეძებენ სკამზე.
ეძებენ სკამქვეშ.
ეძებენ ტახტზე.
ეძებენ ტახტქვეშ
და...
იპოვნის კიდეც ერთ-ერთი
ალბათ.
მე?!

ახლა წავიკითხოთ ჯ. ჩარკვიანის „ძიება“:

თამუნას ბედზე,
მამუკას ბედზე,
ისევ და ისევ,
ისევ თავიდან,
მე ისევ ვეძებ,
მე ისევ ვეძებ,
მე მაინც ვეძებ,
კი, ჭეშმარიტად!
მე ისევ ვეძებ,
მე კვლავაც ვეძებ,
ლოდებს ვაბრუნებ
და ვეძებ ისე,
შენ როგორ ფიქრობ,
ვიპოვი: შევძლებ?
მაგრამ რა არი —
შენც აღარ მისმენ,
ვინ გაახარა
ანდა ვინ დარგო
იმქვეყნიური
ხილი სხვაგვარი?
რას ვეძებ ნეტა
რა დამიკარგავს?
ანდა რა მქონდა
დასაკარგავი?
თამუნას ბედზე,
მამუკას ბედზე
ისევ და ისევ,
ისევ თავიდან,
მე ისევ ვეძებ,
მე ისევ ვეძებ,
მე მაინც ვეძებ,
კი, ჭეშმარიტად!

დიდი ძალისხმევა არ არის საჭირო იმის შესამჩნევად, რომ მუხრან მაჭავარიანის ლექსის თემა, იდეა, აზროვნების ლოგიკა, მეტრი, რიტმი, ზოგიერთი ფრაზაც თითქმის უცვლელადაა გადატანილი ჯ. ჩარკვიანის ლექსში. მეტი სიცხადისათვის მივადევნოთ თვალი თემის განვითარების ფაზებს ორივე ლექსში:

ᲔᲥᲡᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ: „ვეძებ და ვეძებ, რაღაცას ვეძებ“ (მ. მაჭავარიანი). „მე ისევ ვეძებ, მე ისევ ვეძებ“ (ჯ. ჩარკვიანი).

ᲙᲣᲚᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ: „ვიცოდე მაინც, ვიცოდე მაინც, — რა არის — რასაც ვეძებ და ვეძებ“ (მ. მაჭავარიანი). „რას ვეძებ ნეტა, რა დამიკარგავს?“ (ჯ. ჩარკვიანი).

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ: „იპოვნის კიდეც ერთ-ერთი ალბათ. მე?!“ (მ. მაჭავარიანი). „შენ როგორ ფიქრობ, ვიპოვი? შევძლებ?“ (ჯ. ჩარკვიანი).

როგორც ვხედავთ, სემანტიკური ბირთვები ზუსტად მეორდება. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მ. მაჭავარიანის ლექსი მკაცრი ლოგიკური თანმიმდევრობით ხასიათდება, „ძიებაში“ კი კულმინაცია და ფინალი გადანაცვლებულია, რაც ამ ლექსს კომპოზიციურად ამოვარდნილს ჰგავს.

ზემოთ უკვე ნახსენებ მუხრან მაჭავარიანისადმი მიძღვნილ ლექსში ჯ. ჩარკვიანი წერს: „შენ მაინც შენ ხარ, ხოლო მეორეს შენს ლანდს უშენოდ ვერ მომაწონებს“.

სხვის ლანდად ყოფნა პოეზიაში მართლაც არ არის მოსაწონი.

„კი, ჭეშმარიტად!“

●

მეოცე საუკუნის ქართული პოეზია რომ გალაკტიონ ტაბიძის ნიშნით წარიმართა, სადავო აღარაა. თითქმის ყველა სიახლე შინაარსისა და ფორმის სფეროში, რაც თანამედროვე ქართულ პოეზიაში შეიმჩნევა, გენეტიკურად გალაკტიონის შემოქმედებიდან იღებს სათავეს. ოღონდ ეგაა, პოეტთაგან ზოგმა შეძლო დიდი წინამორბედის გავლენის დაძლევა, ზოგი კი დღესაც მისი ლექსების სურნელითაა გაბრუებული.

ჯ. ჩარკვიანის შემოქმედებაში ათასწლოვანი ქართული პოეზიის თითქმის ყველა თვალსაჩინო წარმომადგენლის ექო გამოისმის ციტირების, რემინისცენციის, ასოციაციის თუ ნასესხობის სახით, მაგრამ გალაკტიონს მაინც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისი ნაკვალევი ჯ. ჩარკვიანის ადრეულ ლირიკაში იწყება და ბოლოდროინდელ ლექსებსაც ატყვია.

დავიმოწმოთ ერთი ფრაგმენტი ჯ. ჩარკვიანის ადრინდელი ლექსიდან:

— ქუჩაში გდია ბიჭი პატარა.
ბიჭი კი არა, თეთრი გიტარა.
დრო აღარ იცდის, დრო აღარ
იცდის,
და სტირის თეთრი, ლამაზი ფარჩა,
ვინც მოკლა, იმის შვილმა რა
იცის,
რომ გახელილი თვალები დარჩა.

ამ პატარა ფრაგმენტში გალაკტიონის სამი ბრწყინვალე ლექსის პირდაპირი გავლენა ჩანს. ესენია: „ი. ა.“, „მას გახელილი დარჩა თვალები“ და „ალუჩა, შვიდი წლის ბავშვი.“ გავლენა ხან ზედაპირზე დევს (შეადარეთ: „ქუჩაში გდია ბიჭი პატარა“ — „ქალაქში, მტვერში წაიქცა ბავშვი“, ან: „რომ გახელილი თვალები დარჩა“ — „მას გახელილი დარჩა თვალები“). ხან შეფარულია: განწყობილებით და თემით ჯ. ჩარკვიანის დამოწმებული ფრაგმენტი მოდის გალაკტიონის ლექსიდან „ალუჩა, შვიდი წლის ბავშვი“:

ბრძოლისგან დაღლილი სახე
და ტყვია ჩამჯდარი თავში,
მე თვითონ დაჭრილი ვნახე
ალუჩა, შვიდი წლის ბავშვი.

გალაკტიონისებურია ფრაგმენტში სიტყვათა გამეორება: „დრო აღარ იცდის, დრო აღარ იცდის“ (შეადარეთ: „ქარი არა სჩანს, ქარი არა სჩანს“) და პოეტური სახე — ფარჩის ტირილი. ყოველივე ამის შემდეგ, ალბათ, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ეს არ არის ჯ. ჩარკვიანის მიერ დაწერილი სტრიქონები, იგი გალაკტიონის ტაეპების, მისგან მომდინარე თემის, განწყობილების და სახეების კონგლომერატია.

ჯ. ჩარკვიანის შემოქმედებაზე

(გაგრძელება მე-6 გვ.)

(გაგრძელება)

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მის პოეზიას თავიდან ბოლომდე გასდევს გალაკტიონის ნეგატიური გავლენა. გალაკტიონის პოეზია, სადაც სიტყვათა ლოგიკური დაკავშირება შესუსტებულია, ხოლო სიტყვათა მიმართება საგნობრივ სამყაროსთან — გაშუალებული, ზედაპირული აღქმისას ბადებს ილუზიას, თითქოს, პოეზიის უჩვეულო ხიბლს თავად სიტყვები ქმნიან. გალაკტიონთან განსაკუთრებული ფორმა განსაკუთრებულ შინაარსს გადმოსცემს. რასაც თავის უმაღლეს გამოვლინებაში სულის მუსიკა ჰქვია. ვინც ამას არ ითვალისწინებს და გარეგნობის იმიტაციას მიმართავს, სურს თუ არა, სუროგატებს — ეფემერულ ლექსებს ქმნის.

ჯ. ჩარკვიანის ლექსებში აზრობრივ-ლოგიკური მომენტი ძალზე შესუსტებულია. ზოგჯერ სტრიქონები არამარტო აზრობრივად, ემოციურად და ასოციაციურადაც კი დაუკავშირებელია. პოეტი იღებს ზოგად მეტრულ-ინტონაციურ „ჩარჩოს“ და მას მაღალი რეგისტრის სიტყვებითა და ფრაზებით „ავსებს“. მაგალითად:

ოცდაცამეტი ლამაზი ხიდი
ოცდაცამეტი მაღალი დალი,
ვიდექ და ვთვლიდი,
ხმამაღლა ვთვლიდი
ძუ და ლამაზი ვეფხვების
დალია.

პირადად ჩემთვის გაუგებარია, რას ნიშნავს „მაღალი დალია“, ან ვეფხვების დალები(?) თ[illegible]ლა. ეს მხოლოდ „ლამაზი“ სიტყვები და „ლამაზი“ სახეებია, რომლებიც ვერც ფიზიკურ რეალობას განგვაცდევინებენ და ვერც შინა[illegible]ლობას ანუ სულის მუსიკას.

ჯ. ჩარკვიანის ლექსებში ბევრია „გალაკტიონიზმები“. მათი პირველწყარო იმდენად საცნაურია, რომ პარალელების მოტანა საჭიროდ არ მიმაჩნია:

„რა ცეცხლივით ჩამქრალა თვალთა მინანქარები“, „ჰა, სული, მამულო, შენ, [illegible]“, „როგორც გრიგალში ძლიერი ფრთებით, მე ამ დაფნებით ვარ ნაწვალები“, „[illegible] საქართველო, პირველ ყოვლისა“, „ცვრიან ბალახში მოდის ტანტალით“, „შენ სული ჰქონდა ისე ნატიფი“, „ობლის კვერი ამოცხვა ცეცხლის სიმწუხარეში“, „ეს გაუმარჯოს ამ ლამაზ ქალებს“ და ა. შ.

ასეთი გავლენა გასაგებია. მას მარტივი სახელი — გავლენა ჰქვია. მაგრამ ჯ. ჩარკვიანის პოეზიაში არის გალაკტიონთან კონტაქტის ისეთი ფაქტები, რომელთა კვალიფიკაცია ძალზე ძნელია — ვგულისხმობ გალაკტიონის პოეტური სახეების, სტრიქონების, პასაჟების „ბედს“ ჯ. ჩარკვიანის ლექსებსა და პოემებში.

პოეტს შეიძლება გაუგო, როდესაც ის საყვარელი მგოსნის მხატვრული სახის პერიფრაზირებას ახდენს, მით უფრო, რომ მეტაფორის გაშიფვრა ხდება: „ქრისტეს მაგიერ გალაკტიონმა ცისფერი ელვა გააკრა ჯვარზე“. შეადარეთ გალაკტიონის „ჯვარზე გაკრული ელვა — [illegible] ჩემი და ლურჯი“, მაგრამ [illegible] გალაკტიონის ბრწყინვალე სტრიქონთა უღიმღამო გადამღერება:

1. „იქნება ბევრი რამე იქნება — მხოლოდ ამ ქვეყნად ჩვენ არ ვიქნებით“ (გალაკტიონი);

„იქნება, რაც შენ შექმენი, მაგრამ შენ აღარ იქნები“ (ჯ. ჩარკვიანი).

2. „მზამზაც შევსვამ შენგან მოწვდილ სასმისით“ (გალაკტიონი);

„შენი ხელით მოწვდილ მზამზაც სიხარულით გამოვცლიდი“ (ჯ. ჩარკვიანი).

3. „რომ ისმოდეს საიათნოვას დაჟანგული ჰანგები“ (გალაკტიონი);

„საათნავას ჰამაკია — მიდიმოდის ჰანგები“ (ჯ. ჩარკვიანი).

4. „სიშორის შენის სიახლოვე“ (გალაკტიონი);

„და ნიშანია, რომ ახლოს მყავს შენი სიშორე“ (ჯ. ჩარკვიანი).

რასაკვირველია, პოეზიის ისტორიამ იცის ერთი პოეტის მეორე პოეტთან შეხმიანების მაგალითები, მაგრამ ამას შემოქმედებითი ხასიათი უნდა ჰქონდეს. შინაგანად უნდა იყოს მოტივირებული.

ცნობილია, ქარი ის სტიქიაა, რომელიც ქართულ პოეზიას, ფაქტობრივად, გალაკტიონმა აღმოუჩინა და დიდი მრავალფეროვნებით წარმოსახა. გახსოვთ ალბათ ასეთი საოცარი ხატი: „და მლიდა ბაირაღებს თმაგაწეწილი ქარი“. როდესაც ეს სტრიქონები არსებობს, სხვა პოეტმა აღარ უნდა დაწეროს: „რამ შეგშალათ, ქარებო, თმები რად გაგიშლიათ“. აღარ უნდა დაწეროს იმიტომ, რომ ის უკვე არსებული ბრწყინვალე მხატვრული სახის გაუარესებული ვარიანტია.

პოემაში „მუდლვერ“ ვკითხულობთ:

ვინ გაიგონა რუსთველი მშვიდი...
. . . . . .
ვინ გაიგონა ფშაველა მშვიდი.
ვინა სთქვა მშვიდი გალაკტიონი.

ვთქვათ, ჯ. ჩარკვიანი აქ გალაკტიონის ციტირებას ახდენს: „რუსთაველი და მშვიდი? დამშვიდება და ვაჟა?“ თავის მხრივ კი გალაკტიონსაც უმატებს. მაგრამ თუნდაც ამ დამატებით ამბობს იგი რამეს ახალს და საკუთარს?! რასაკვირველია, არა. როდესაც გალაკტიონმა დასვა ეს კითხვები, განა ამით არ გამოავლინა თავისი პოზიცია, რომ დიდი შემოქმედისთვის სიმშვიდე და დამშვიდება უცნობია?! ახე რომ, ჯ. ჩარკვიანის ცდა, გალაკტიონი „შეავსოს“ გალაკტიონით, როგორც მოსალოდნელი იყო, წარუმატებელი ცდაა.

გალაკტიონის გავლენა ჯ. ჩარკვიანის პოეზიაზე მარტო პოეტური ლექსიკისა და სიტყვათწარმოების, პოეტური ხატებისა თუ ცალკეული სტრიქონების ტრანსპლანტაციის სახით როდი ვლინდება. არცთუ იშვიათად ჩვენს წინაშეა გალაკტიონის ლექსის, როგორც სისტემის, იმიტაცია. როდესაც ნაწარმოების განწყობილება, რიტმულ-ინტონაციური წყობა გალაკტიონს ეკუთვნის, იქ ცოტა რამ რჩება ჯ. ჩარკვიანისა. მაგალითად:

მზეო თიბათვისა, მზეო
თიბათვისა,
ლოცვად მუხლმოყრილი
გრაალს შევედრები.
იგი, ვინც მიყვარდა დიდი
სიყვარულით,
კალთით დამიფარე — ამას
გევედრები.
(გალაკტიონი)

ზართა მარებელო, ხმაო
საშინელო,
ზეცას შეუერთე ხმები
მიწისანი.
სევდას განაშორე ჩვენი
ნაშიერი,
მოეც გრძნეულება რწმენა
გულთმისანის.
(ჯ. ჩარკვიანი)

ქვემოთ კომენტარის გარეშე მოვიყვან კიდევ რამდენიმე ნიმუშს:

1. „რა ლამაზად გიხდება იაგუნდი, ლალები; დამსხვრეული მენახოს. მე თუ არ გებრალები“ (გალაკტიონი);

„რა ცეცხლივით ჩამქრალა თვალთა მინანქარები. საით მიმაქანებენ ხომალდივით ქარები“ (ჯ. ჩარკვიანი).

2. „გაგონდება თუ არა კარალეთის დღეები. მთების ლურჯი კამარა — უცხო სამოთხეები“ (გალაკტიონი);

„ესეც შენი ცხრამეტი, ვით ცხრამეტი კარატი, სავსე სიმწუხარეთი, მაგრამ არა ღალატით“ (ჯ. ჩარკვიანი).

3. „აქ რომ თაღებია, სვეტთა შეკონება, ისე ნაგებია, სიზმრის გეგონება“ (გალაკტიონი);

„წვიმა მოსულიყო, წვიმა, თორსიჰალას, სეტყვა მოჰყოლიყო. მოლი მოექაშა“ (ჯ. ჩარკვიანი).

ვფიქრობ, სპეციალური ანალიზის გარეშეც აშკარაა, რომ ჩვენს წინაშეა გალაკტიონის ლექსთა დუბლეტები. ესაა დიდი პოეტის ლექსის კალკირება და არა მისი შემოქმედებითი გარდაქმნა.

●

ჯ. ჩარკვიანის შემოქმედებაში ხშირად გვხვდება ხალხური და კლასიკური პოეზიის ძალიან უცნაური ნაერთები. ვნახოთ, მაგალითად, ასეთი სტროფი:

ის ძველი სევდაც სხვას
უთხოვია,
და ძველი წლები მწარედ
მღერიან —
მამულის მთებზე დაუთოვია...
რა ვქნათ, ბუნება
მბრძანებელია.

ეს არის სიმბიოზი ვაჟა-ფშაველას ტაეპისა „ბუნება მბრძანებელია“ და ცნობილი ხალხური ლექსისა: „ბახმაროს მთებზე დაუთოვია, ჩემს შეყვარებულს სხვა უთხოვია“. ეს სტრიქონები საყოველთაოდ ცნობილია, ამიტომ თქმა იმისა, რომ პოეტი მათ ითვისებს, არაგონივრული იქნება. მაგრამ, მეორე მხრივ, ამგვარ ნასესხობათა ფუნქციაც არ ჩანს. როგორც ეტყობა, პოეტი ფიქრობს, რომ ამ ცნობილი სტრიქონების გადამღერებით ახალ მხატვრულ ფასეულობებს ქმნის. თუ ასეა, მაშინ მას ალლო ჰღალატობს: პოპულარული ხალუქხო(?) ფრაზების ასე უბრალოდ ერთმანეთზე მიწყობით ორიგინალური ნაწარმოები ვერ შეიქმნება.

კიდევ ერთი მსგავსი მაგალითი:

დამესიზმრები ხანდახან, —
ელვასა გავხარ ცისასა;
ღიმილის ბიჭო, სადა ხარ,
ვაჰ, დედას კაი ყმისასა.

მესამე სტრიქონი გ. ლეონიძის ორი ტაეპის შერწყმის შედეგად არის მიღებული („ღიმილის ბიჭი ვიყავი“ და „შინმოუსვლელო, სადა ხარ“), მეორე და მეოთხე სტრიქონები კი ხალხური ლექსიდან „შემომეყარა ყივჩაღი“ მომდინარეობს.

ერთ ლექსში ჯ. ჩარკვიანს ასეთი სტრიქონი აქვს: „ყანა და ყანა დაგედევნები“. ცხადია, წაკითხვისთანავე მოგვაგონდება გ. ლეონიძე: „ტრამალ და ტრამალ გამოგედევნე“. „ტრამალის“ „ყანით“ შეცვლამ ეს ტაეპი ვერ აქცია ჯ. ჩარკვიანის სტრიქონად. ვერც აქცევდა, რადგან აქ „ტრამალი“ (ანუ ის, რაც შეიცვალა) არარელევანტური კომპონენტია ტაეპისა, ხოლო რელევანტური ის არის, რაც დარჩა: გამოდევნების მოტივი და დევნის ახპარეზის ალმნიშვნელი ლექსიკური ერთეულის გამეორება. ამიტომ, რითაც უნდა შევცვალოთ „ტრამალი“ (ვთქვათ, ასე: „მინდორ და მინდორ დაგედევნები“, „შუკა და შუკა დაგედევნები“...), ეს არსებითად მაინც გ. ლეონიძის სტრიქონი იქნება.

რაკი ასეა, მაშინ რაღა აზრი ჰქონდა „ტრამალის“ „ყანით“ შეცვლას? ბარემ დარჩენილიყო ისე, როგორც გ. ლეონიძესთან არის!

ამ კითხვის პასუხი არ ჩანს.

(სხვათა შორის, აქედან „გაძევებულმა“ ტრამალმა ჯ. ჩარკვიანის სხვა ლექსში იჩინა თავი: „ტრამალ-ტრამალ დავდიოდი, ეგებ სადმე დამელანდე“).

ზუსტად ასეთივე ვითარებაა ჯ. ჩარკვიანის ამ სტრიქონშიც: „მიდიან წლები და მე ვბერდები“ („თმოგვი“). წავიკითხავთ ამას და, რა თქმა უნდა, მაშინვე მოგვაგონდება გალაკტიონის „დღეები რბიან და მე ვბერდები“. რატომ შეიცვალა „დღეები რბიან“ ჯ. ჩარკვიანთან „მიდიან წლებით“? (სხვათა შორის, ამის შედეგად მოიშალა მშვენიერი ალიტერაცია „რბიან... ვბერდები“). ნუთუ მხოლოდ იმიტომ მოხდა ეს ჩანაცვლება, რომ წინწკლები არ გამხდარიყო საჭირო?!

კვლავ და კვლავ დგება ასეთი რემინისცენციის ფუნქციის საკითხი. ვთქვათ, ჯ. ჩარკვიანს სურს, რომ მისი ლექსის კითხვისას გალაკტიონის ლექსი გაგვახსენდეს. მაგრამ რას მატებს ჯ. ჩარკვიანის „თმოგვს“ ქართული პოეზიის ერთ-ერთი შედევრის, გალაკტიონის „თოვლის“ გახსენება? ნუთუ პოეტი ვერ ხვდება, რომ მსგავსი ასოციაციები საერთოდ ძალიან სახიფათოა, ეს კონკრეტული ასოციაცია კი მისთვის აშკარად წამგებიანია.

ვნახოთ ასეთი სტროფი:

მე ვეუბნები საქართველოს
მთებს და წყაროებს,
იმღერონ, სანამ ცოცხლობენ
და სანამ არიან,
თვით უძლეველნი მეფეებიც
წავლენ, წამოვლენ,
ამქვეყანაზე ყველაფერი
წარმავალია.

წყაროების მიმართ ნათქვამი — „იმღერონ, სანამ ცოცხლობენ და სანამ არიან“! — გადამღერებაა კ. კალაძის ცნობილი სტრიქონებისა — „იმღერე, სანამ ენგური გქვია და არა უკვე შავი ზღვის ტალღა“. „თვით უძლეველნი მეფეებიც წავლენ, წამოვლენ“ — ბარათაშვილია. ახალი კი ამ სტროფში სხვა არაფერია, გარდა ამ ორი პოეტის სტრიქონთა პერიფრაზების შეხვედრისა.

„სასაცილოა, ბერიკაცი რომ ყმაწვილობდეს“, — ამბობს ნ. ბარათაშვილი. „სასაცილოა ბერიკაცის გაყმაწვილება“, — ეთანხმება მას ჯ. ჩარკვიანი.

„მოდი, გეძახი ათასწლის მერე, დამნაცროს ელვამ შენი ტანისა“, — წერს გ. ლეონიძე. ამ სტრიქონების ექოდ გაისმის ჯ. ჩარკვიანის „მე ვბერდები და შორიდან გიხმობ, ათას წლის მიღმა გადახვეწილი“.

„ამაღამ მგონი იქნება ქარი“, — დარდობს პ. იაშვილის ელენე დარიანი. „ამაღამ, ალბათ, ქარი ჩადგება“, — იმედს არ კარგავს ჯ. ჩარკვიანის ლირიკული გმირი.

„გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი“, — ღაღადებს ტიციან ტაბიძე. „როგორც კალმახი მე შენს ქვებში ვარ გალურსული“, — წერს ჯ. ჩარკვიანი.

„ბაღში ვაზი ობოლი მეტის ლხენითა სტირის“, — ეს ილია ჭავჭავაძეა. „ეს სიცილია, ვაზი რომ ტირის“, — ეს კი — ჯ. ჩარკვიანი. სხვათა შორის, უზუსტობაც აშკარაა: მეტის ლხენით ტირილი შეიძლება, მაგრამ ტირილი არ შეიძლება იყოს სიცილი.

„გულს გული იცნობს და ლონეს — ლონე“, — ამბობს ილიას კაკო ყაჩაღი. „გულს გული იცნობს, მარჯვენა მარჯვენს“, — უსწორებს მას ჯ. ჩარკვიანი.

ილიას ნატვრა „მამულო, საყვარელო, შენ როსღა აყვავდები“. — ჯ. ჩარკვიანთან ამ სახით მეორდება: „ოდონდაც შენ აყვავდი, მამულო, უფრო მეტად“.

„აჰა, ჩემი ხარის ქედი. ეგ გულმკერდი აგიყოვდეს“, — წერს ჯ. ჩარკვიანი. გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველა: „გულ-მკერდიც აგიყოვდება, დედაო, ია-ვარდითა!“.

„გამოლმით მე ვარ, შენა ხარ გაღმა და გაზაფხულის გაქვს სილამაზე“. ესეც ხომ თითქმის ვაჟაა!

და ესეც:

„მოეზაყება ცხენზედა უგემური და ლუგუმი“ („ჯავის თორანი“). შეადარეთ „გოგოთურ და აფშინადან“: „მაეზაყება ცხენზედა გამარჯვებასა ჩვეული“.

ვის არ ემახსოვრება ანა კალანდაძის ლექსი:

ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს გიამბობს მადარი...
. . . . . .
მთვარე რომ ამობრწყინდება,
გული გაფრენად მზად არი.

ახლა ამ ლექსის ჯ. ჩარკვიანისეული ვარიანტი ვნახოთ:

ღამით გუგუნი მომესმა,
შვიდი მეხის და მადარის,
ასე გუგუნებს, როდესაც
გული ბრძოლისთვის მზად
არის.

ხომ დღესავით ნათელია, რომ ამ სტრიქონების მკითხველს აუცილებლად მოაგონდება ანას ლექსი! და არამარტო მოაგონდება, არამედ შეამჩნევს, რომ ტაეპები — „გული ბრძოლისთვის მზად არის“ და „გული გაფრენად მზად არი“ — უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან. თანაც „მზად არი“-ს ორივე ლექსში ერითმება „მადარი“ და ფრიად უსიამოვნო ეჭვებიც გაუჩნდება ამ თანხვედრებთან დაკავშირებით.

მურმან ლებანიძეს აქვს ძალზე მარკირებული, — დასამახსოვრებელი, ორიგინალური კონსტრუქციის ლექსი „მახსოვს“:

ეს ერთი სიტყვა უნდა
ავიხირო — მახსოვს!
შენი დათვისისხლა შავი
ღვინო — მახსოვს!
შენგან მოძღვნილი არყის
ბოცო — მახსოვს!
შენგან მოწვდილი ტახის
ხორცი — მახსოვს!

და ასე ბოლომდე, ყოველ ტაეპს რეფრენად მოსდევს ერთი სიტყვა — „მახსოვს“.

ვნახოთ ამ ლექსის ჯ. ჩარკვიანისეული იმიტაცია:

ვცხოვრობ ეგერ-აგერ,
მომთაბარე —
მიხარია...
ფრჩხილისოდენა ცოტა
რამე —
მიხარია...
ჭერემში გლეხი რომ
დაბრუნდა —
მიხარია...
ყაყაჩომ ყანა რომ გაბურდა—
მიხარია...
და ა. შ.

მ. ლებანიძესთან გვაქვს ჩამოთვლა იმისა, რაც პოეტს „ახსოვს“, ჯ. ჩარკვიანთან — ჩამოთვლა იმისა, რაც პოეტს „უხარია“. ეს განსხვავება კი, როცა სხვა მახასიათებლები ამ ლექსებისა მსგავსია, საკმარისი არაა, რომ ორიგინალური ნაწარმოები მივიღოთ.

გავიხსენოთ ხუტა ბერულავას ცნობილი ლექსი:

შენი მზე და მთვარე,
ლიახვი და მტკვარი,
ეს ჟუჟუნა წვიმა,
ეს ციმციმა ცვარი...
. . . . . .
ყველაფერი მიყვარს,
რაც კი შენი არი!

შევადაროთ ამას ჯ. ჩარკვიანის ლექსი „ფრთები“:

შენი მთა და ველი,
შენი ტყე და ღელე,

შენი მწვანე ფერი
და სიმღერა მწვანე...

ხუტა ბერულავა წერს:

შენი რუსთაველი,
თამარის წინ მდგარი
. . . . . .
„დედაენა“ — შვილთა
დიდი სიბრძნის კარი...

ჯანსუღ ჩარკვიანი იმეორებს:

შენი „დედაენა“
და „ბუნების კარი“...
. . . . . .
ჩემს თვალებში ელავს,
ვით რუსთველის ბწკარი...

ეს სტრიქონები დაჟინებით მოითხოვს ხ. ბერულავას ლექსის რეფრენს:

ყველაფერი მიყვარს,
რაც კი შენი არი.

ამ ლექსებს ანათესავებს ერთი იდეა, ერთი საზომი, ერთი რიტმი. მიმართვის ერთნაირი ფორმა. ერთნაირი ჩამოთვლა, ერთნაირი სახეობრიობა, მსგავსი რითმები.

**არალირიკული გადახვევა:** ილფისა და პეტროვის „ოქროს კრაპის“ ფინალში ნაღვლიან გუნებაზე მყოფი ოსტაპ ბენდერი ადამ კოზლევიჩს ამცნობს, წუხელ ლექსი დავწერეო და უკითხავს: „Я помню чудное мгновенье...“ მერე კი სინანულით დასძენს: დილით გამახსენდა, რომ ეს ლექსი ჩემამდე უკვე დაწერილი ჰქონდა... პუშკინსო.

●

„რომელმან შექმნა სამყარო“, — ასე იწყება... ჯ. ჩარკვიანის პოემა „პარალელური ხაზები“.

ამრიგად, ქართულ ლიტერატურაში არსებობს ამ ფრაზით დაწყებული ორი პოემა...

(გაგრძელება მე-11 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარი აბრამიშვილი

### მას შემდეგ

რამდენმა წყალმა ჩაიარა
  მას შემდეგ, მარი!
მას შემდეგ —
  ბევრჯერ აიმღვრა და... დამშვიდდა
                    მტკვარი;
მას შემდეგ —
  ბევრმა გაიხურა სიცოცხლის კარი;
მას შემდეგ —
  ბევრი გაცოცხლდა მკვდარი.
მას შემდეგ —
  ბევრი გადაიდგა ნაბიჯი მცდარი;
მას შემდეგ —
  რამდენ მოთმინებას დაედო ზღვარი;
მას შემდეგ —
  არა, არ გასწორდა ეს მთა და ბარი;
  მას შემდეგ —
  ბევრ ზარს გაუჩნდა ბზარი.
მას შემდეგ —
  დღემდე არ გქონია წვეთიც კი
                    მტკბარი
და ჰა, აპრილმა თითქოს გუბეს
              მოსწყვიტა ღვარი
და დაგანახა საქართველო —
   კვლავ ფეხზე მდგარი, —
რას მოესწარი?!
რას მოესწარი?!

●

ობოლიაო —
  ვინა სთქვა შენზე?!
საწყალიაო —
  ვინ გკადრა ესე?!
უძლურიაო —
  შენს. მაღალ ქედზე,
უბედოაო —
  შენს რჩეულ ბედზე,
ვინ დაიჩივლა,
  ერო, უკვდავო?!

●

გადმომქუხარე ენგურო,
შენც, თერგო, მარად მქუხარევ,
შენც, საქართველოვ — ჩონგურო,
გაწყვეტილ სიმზე მწუხარევ;
შენც, ჩემო გმირო ლომგულო,
ომში შესულო უხმალოდ, —
თავისუფლების წყურვილით —
კვლავაც იქუხეთ,
      მქუხარნო!

### უკვდავი წამი

ჩაცხრა ყოველი.
ჩავლილ ქარიშხლებს
ხსოვნის ნიავი ეფოფინება, —
სიცოცხლის წლებს ნუ მიანგარიშებ,
სიცოცხლეს —
   წამიც ემყოფინება.

მე ის ციმციმა წამი მანიშნებს,
რომ გამოეყო
   დროის დინებას
და როგორც წვეთი წყაროს თვალისა,
უკვდავებაში ჩაედინება.

●

ეს, ეს ყოფილა ამ ცხოვრების
     ანიც, ბანიცა:
რომ არ გაჯობონ და რომ იყო
     კაცი საჩინო,
თურმე სინაზე —
     უჩემობით უნდა დაიცვა
და სიყვარულიც —
     სიძულვილით გადაარჩინო.

●

ვით ნაკადული —
მაღლით მსრბოლავი,
გაუჩინარდეს
  კლდის ნაპრალებში,
მერე კვლავ სხივად იელვოს ზოლმა,
მისი მოქნილი ვერცხლის ტანისამ.
ჩემი სიცოცხლის
  თავი და ბოლო
მიჩანს სწორედ მის შესადარისად.

არ იკარგება!
არ იკარგება!
ან დასაკარგი სული არი სად?!

●

როგორ გავიხსენოთ
  დღეს ის სიყვარული
ისე, რომ არავინ დაგვცინოს,
ზამთრის ბელურასავით მობუზოლო,
ჩემო მაშინდელო არწივო.
აფსუს, ნიავივით ქალიშვილო!
აფსუს, გრიგალივით ყმაწვილო!

### წუხილი

რა უნდა მიყვარდეს?
ვინ უნდა მიყვარდეს?
რად უნდა მიყვარდეს,
ვის უნდა ვენდო?!
რა უნდა მძულდეს?
ვინ უნდა მძულდეს?
რად უნდა მძულდეს?!
ო, ღმერთო, ღმერთო...

ამ აურზაურში,
ამ რია-რიაში,
ნიღბებში ნაირ-ნაირში,
კაცთაგან —
  კაცი ნამდვილი
გამოვარჩიო რა ნიშნით?!.

### შემახსენელი

ჩემი დუმილი... დუმილი —
არც შიშის, არცა თანხმობის;
ჩემი ღიმილი... ღიმილი —
არც თნევის, არცა ლაღობის.

ჩემი სავალი... სავალი —
არცა გზა, არცა ბილიკი;
ჩემი წამალი... წამალი —
სიმშვიდე? არა, პირიქით.

ჩემი ოცნება... ოცნება —
მკვდარი, მოკლული ჩიტივით;
ჩემი ხმა — უხმოდ მოთმენა
ყელში მომდგარი ქვითინის.

ჩემი სიცოცხლე... სიცოცხლე —
ლამენი თეთრად ნათევი;
ჩემი სიკვდილი — სიმორცხვე,
მორცხვი ლიცლიცი სანთლების.

ჩემი სიმღერა... სიმღერა —
არც აწმყო, არცა წარსული;
დარდი — იმხელა, იმხელა,
საზღვარს იქითაც გასული.

# ანზორ აბულაშვილი

### ისეთი დროა...

ისეთი დროა, სიტყვას თუ საქმეს —
რიყრაყი მისხლის სიზუსტით სწონის,
რაკილა ნემსსაც ვერავინ ჩასტევს
სინათლესა და სიბნელეს შორის.
გვეცემა ხოლმე დროდადრო ურვად
ჩრდილი ვეება სისხლმწყურვალ ქორის.
მანძილი თითქმის წაშლილა სრულად,
დათმენასა და სილაჩრეს შორის.
სატანა საფრობს საითაც წახვალ,
შემსრულებელი წმინდანის როლის,
მართლაც საზღვარი სადღაა ახლა —
ერთგულებას და სიმუხთლეს შორის...
ირგვლივ ეკალ-ბარდს გაუდგამს
              ფესვი —
ათასნაირი ჯიშის და ფორმის.
ხაზის დამდგენი არა ჩანს ჩვენში —
საწყალ ბელურას და გუგულს შორის.
დღეს სასოებით ხელთ იპყრა ყველამ
ჯვარი ვაზისა — მოციქულთ სწორის.
გაუვალ ჯანღში ზღვარს ველარ ვჭედავ
მაცხოვარსა და იუდას შორის...
მაინც იმედის გვიდგა ქვიტკირი,
ნაგები არა ერთის და ორის,
თუმც ძლივს ფართხალებს,
           დამზრალ ჩიტივით,
თავისუფლება — მონათა შორის.

●

შაჰ-აბასის მიერ წამებით დახოცილ
თეიმურაზ მეფის შვილებისადმი

ზვარაკებო, მხოლოდ ჩემი
მწირი სიტყვით ქებულებო,
სისხლისმსმელის ხელში, სადღაც
მძევლად ჩატოვებულებო.
დედა საქართველოს ძენო,
ურჯულოსგან ვნებულებო,
ნატანჯნო და ნაწამებნო
და მზე დაბნელებულებო.
თითქმის დავიწყებულებო,
საწყალობლად ჩქნილებო,
ჩვენში მხოლოდ ზოგიერთის
ხსოვნას შემორჩენილებო.

### წითელი ბატონი — იდეის ხერხიანობა

ეშმაკი დღისფრად გვიღებავს ღამეს,
სხვაა ასეთი მღებავის ჰკუა...
დროა ახელდეს წირპლიან თვალებს,
ნეტარ ძილქუშში ვინმეღა თუა.
წააგდებინეთ ყვინჩილებს თავი,
შუაღამისფრად რაღას ყივიან.
ოთხივე კუთხივ გააღეთ კარი,
ღამეც თუ დღეა, რის გვეშინია...

. . . . .

მაგრამ, შეხედეთ მის ორპირ ფერებს,
ეშმაკის სული დასწყევლოს ღმერთმა,
თვით შეღებილა პირშავი ჯერედ,
რათა კბილები აქვესოს თეთრად...
ვითომც, აქამდე გადამცდარს გზიდან,
ახლა აღარვინ დასწამოს ცილი...
ჩვენ კი ძველებურ გვეძინოს მშვიდად
და არ დავიფრთხოთ სალათას ძილი.
დღეს ხომ აღარვინ გვამადლის
                მთვარეს,
ისურვებ ძველს თუ ისურვებ ახალს,
ნატურალური აგვისტოს ღამეს
და უტალონო სიზმრების ნახვას.
მაშ, რას ავცქერით ზეციერს ნატვრით,
რა დაგვრჩენია ზეცაში ნეტა...
მიტომ იკრძალვის მთქნარება ზანტი
და მითუმეტეს— თვალების ფშვნეტა...
თავად კი მისდევს თებერვლის ქარებს,
ვინაც წკვარამი თვითვე ახარა
და თეთრად თხუპნის ცოდვიან ღამეს,
ღამეზე ბნელი ტაკიმასხარა.

### სინანული

მანანა ამირეჯიბს

სადღაა ჩვენი ტარიელობა
და ცისკრის შუქიც
 ახლა სხვას ათოვს,
აღარც ასმათი აღარ გვჭირდება —
ნუგეშანი გვცეს და გვიასმათოს.
გული დაეძებს იმ ხელ ტარიელს,
ბნედა რამ სჭირდეს თვისის
                მნათობით,
ვისაც მოკლავდა უნესტანობა,
სუმთლად დალუპულს უასმათობით.

●

იმედს ლოდინი შესცოდებია —
გზისკენ მზირალი, სათნო,
             კეთილი,
თვალდაშრეტილი და უსასოო,
დედა-ჩიტივით გულგახეთქილი.
საწყალი სუმთლად დალეულიყო
და იხრჩობოდა ცრემლის გუბეში...
და სწორედ მაშინ გამოჩნდა, თურმე,
იმედიც — ქვეყნის დიდი ნუგეში.
უბრალო სიტყვის იმგვარად მთქმელი
ხე გამხმარიც რომ ხელად ინედლიბს.
წამოგაყენებს დაცემულს რწმენით
და გულგატეხილს დაგაიმედებს.
ამგვარ ამხნევა, თურმე, გზისპირას
ის უსასოოდ მდგარი ლოდინიც,
მაშინვე ცხელი ცრემლი უშშრალა
და გააღიმა გულდაკოდილი...
და მის მერეა, ცამ რომ იცისფრა,
გზაც დაიხატა ლურჯი კორდებით
და სულგამთოში თებერვლის ქარშიც,
აპრილის სუნთქვას მოველოდებით.
იმის მერეა — გაღმა-გამოღმა
ჩვენი პატარა ბოგირ-ბონდებით,
შორს მყოფ ახლობელს მოუთმენელად,
მაგრამ იმედით რომ ველოდებით.
იმის მერეა, გულს რომ არ იტეხს
სიკვდიმდე კაცი ტანჯულ-ცოდვილი
და აცისკროვნებს იმედით სავსე
სულისგამწმენდი ნათლის ლოდინი.

### თავშესაქცევი დრამა

ბევრიც გავბუქოთ, მოსაჭრელი არ აქვს მარჯვენა,
ვერც ეკლის გვირგვინს ვერ დაადგამს პოზა ჯვარცმულის,
ვერცხლის მხვეჭელი ღალატივით ჩუმად დაძვრება,
ბევრის მომძევი და ამდენად სულგაძარცვული.
ფარისევლური მჯილის ცემა ჩვენში რომ სწამდათ,
ცრუ წამებულის იმჯობინეს მიტომაც პოზა.
არ შეიძლება იქ რაიმე გიკვირდეს, სადაც
კატა აყეფეს და სატანამ იანგელოზა...
შენება ტაძრის მამა-პაპით არ მოგდგამს როცა.
მაშინ ანგრიე, რა მიგდის და რა გეხარჯება?!
მაგრამ ნგრევისთვის ჯილდოდ მკლავის
              არ უთქვამთ მოჭრა
და მტერს გიხარებს მოუჭრელი შენივ მარჯვენა.

### დღე თავისუფლების, ანუ რას, რა მოსდევს

სიყვარული რომ უამღლეოდ ჩამოგვიმჭკნარდა,
მიტომ მოგვეცა სატანჯველი სულის და ხორცის,
უსიყვარულოდ გულში ლოცვა არ იბადება,
ხოლო ღმერთს, როგორ მივეახლოთ გარეშე ლოცვის?..
გვანიჭებს ძალას უფლად ყოფნის საკუთარ თავის
მხოლოდ ის, ვინაც — ხატად თვისად გვჩარხა და გვრანდა...
ეს დღე მოგვაგო მლოცველთ, — შემდგომ
              თებერვლის ღამის,
მან, ვის ყოველი შეუძლია სიძულვილს გარდა.

### ბერბიჭაშვილმა გამახსენა...

ნალვაწი ყულფი სახრჩობელის შერისხეს თუკი,
რაც ჩრდილს აყენებს ერთგულებით გარჯილის სახელს,
მაშინ ხომ მაინც უნდა ჩვენი შეცბუნდეს თოკი
და აეხილოს თვალი ამდენ სიავის მნახველს.
ყველა ბრძანებას რად ასრულებს ცოდვილი ყულფი,
როცა არ ესმის ძალადობის სიგრძის და განის,
ვის ზოგჯერ ვითომ სინანულით ეჭმუხვნის შუბლი
და დრო უდგება ფარისევლურ ხელების ბანვის...
ასე ყოფილა, უერთგულებ როდესაც მაცილს,
ეშმას ამგვარად გააქვს თურმე თავისი სვრელი.
ნურც ცრემლს ენდობით, ყველა ცრემლი არ არის
                   კაცის,
ტირანს ხელობას უადვილებს ნიანგის ცრემლი.

# ვინ არის ქართველი?

როლანდ თოფჩიშვილი

ღრმად ვარ დარწმუნებული, წერილის ახეთი დასათაურება, მკითხველთა დიდ ნაწილში გაკვირვებას გამოიწვევს. მე კი კალამი ხელში ამაღებინა ერთმა მოარულმა ავადმყოფობამ, რომელიც ჩვენი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს შეეყარა უკანასკნელ ხანს.

საუბარია გვარების ძირების მიხედვით ჩვენი ერის წარმომადგენელთა ქართველებად და არაქართველებად დაყოფაზე. ქართველთა გარკვეულ ნაწილს არაქართულძირიანი გვარების მატარებელნი არაქართველებად მიაჩნია. სამწუხარო ის არის, რომ ახეთ არაქართულძირიანი გვარების წარმომადგენლებს ხშირად მეზობლები თუ თანამშრომლები ერთგვარად გულსაც ატკენენ. როდესაც მათ არაქართველებს (თათრებს, სომხებს, ოსებს...) უწო-

შედეგადაა მიღებული. თუმცა, ეს შერწყმა-შერევა ზოგს მეტად შეეხო, ზოგს — ნაკლებად.

მართალია, ქართველი ერი სამი მონათესავე ტომის (ქართების, ზანების, სვანების) შერწყმის შედეგად მიღებული სოციალურ-კულტურული ერთეულია, მაგრამ ისტორიას თუ გადავხედავთ, ქართველ ხალხში ყოველთვის იყო სხვათა შემოღწევის, გაქართველების შემთხვევები. ქართველი ხალხი ხომ არასდროს არ იყო მოწყვეტილი საზოგადოების განვითარების ბუნებრივ პროცესს, ჩვენ არ ვიყავით სხვათაგან მოწყვეტილი და ჩაკეტილი. ერის განვითარება მაშინ ხდება, როდესაც ის გასცემს და იღებს სხვათა კულტურულ მონაპოვარს, მაგრამ იღებს არა მზამზარეულად, არამედ შემოქმედებითად. იგივე შეიძლება ითქვას ხალხის, ერის ფი-

# სოხუმის ქართული თეატრი მოსკოვში

სოხუმის თეატრის მოსკოვში ამ სტუმრობას გასტროლები ეთქმის და არც ეთქმის. არც იყო განზრახული გასტროლების ჩატარება: უკვე რამდენიმე ხანია, რაც მოსკოვში არსებობს ხალხთა მეგობრობის თეატრი. ამ თეატრის მთავარი მიზანია მოსკოვის თეატრალურ საზოგადოებრიობას გააცნოს ამა თუ იმ რესპუბლიკაში, თუ უცხოეთის ქვეყნების სცენებზე შექმნილი საუკეთესო სპექტაკლები.

ამჯერად ხალხთა მეგობრობის თეატრმა, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქართული თეატრი მიიწვია. სოხუმელებს საყოველთაოდ აღიარებული მოსკოვის სამხატვრო თეატრის სცენაზე უნდა ეთამაშათ „ყვარყვარე თუთაბერი“, სპექტაკლი, რომელშიც თეატრის მთელი დასი მონაწილეობს და რომელიც გიზო ჟორდანიამ განახორციელა.

მაგრამ ისეთი დაუცხრომელი

მსახიობის შინაგან სიმართლეზე. რეჟისურას უწონებდნენ პიესის თანამედროვე ჟღერადობას.

მაქსიმ გორკის „ფსკერზე“ მაყურებლისათვის სულ სხვა მხრივ აღმოჩნდა საინტერესო და ერთხმად აღნიშნავდნენ კიდეც. მათ ამ სპექტაკლში დაინახეს სოხუმის თეატრის მსახიობთა შესანიშნავი ანსამბლი.

მთავარი კი მაინც ის გახლდათ, რომ ყველა ხაზს უსვამდა მსახიობთა შესანიშნავ ანსამბლს.

იბსენის „ბრძოლამ ტახტისათვის“ ერთობ კარგი შთაბეჭდილება დატოვა მაყურებელზე. ამ სპექტაკლის პრობლემა თანამედროვეობასთან უშუალო კავშირში იქნა აღქმული. იმ საღამოს ძალიან მნიშვნელოვანი გამოდგა ერთი აქცია, რომელიც თეატრის მთელი კოლექტივის ნებით იქნა აღსრულებული. სპექტაკლის დაწყების წინ გოგი ქავთარაძემ მაყურებელს აუწყა, რომ სსრკ პრეზიდენტის

არბატზე ქართველნი და ოსნი შიმშილობით აცხადებდნენ პროტესტს არაკანონიერი აქტის გამო. აქ, ტვერის ქუჩასთან, სამხატვრო გასახვლელში, ქართველი მსახიობები სცენაზე იდგნენ და ძალადობის წინააღმდეგ იმაღლებდნენ ხმას. დღეს ს. პაჭკორია, ბ. ბექაური, დ. ჯაიანი, სხვები და სხვები იბსენის ტექსტით თავიანთ სათქმელს ამბობდნენ. ამ აქციის ჩატარებაში მცირე როდი იყო ნუგზარ მგალობლიშვილის წვლილი. გოგი ქავთარაძემ და მან სწორი მიმართულება მისცეს ფაქტს და „მზიურის“ კედლებში მოქცეულ მოშიმშილეთა ამბავი საჯარო გახადეს.

და ბოლოს, თეატრის ამ მცირე გასტროლებმა იმითაც გაამართლა, რომ მაშინ, როცა ჩვენ ბრალს გვდებდნენ სხვათა აწიოკებაში, ქართველი მსახიობები კაცთმოყვარეობას ქადაგებდნენ სცენიდან. ისინი მაყურებელს წარმოუჩენდ-

...

ტივისცემით ვითამაშებთო სპექტაკლს.

დარბაზი ტაშით შეხვდა ამ განცხადებას და მე რომ კაცმა მკითხოს, თუნდაც ამისათვის ღირდა თეატრის მოსკოვს ჩასვლა. იქ,

წმუნებდა: ისინი სწორად ირჩევიან, რომ მხარს უჭერენ ქართველი (არა მხოლოდ ქართველი!) ხალხის მისწრაფებას.

გურამ გათიაშვილი

## საქართველოს მწერალთა კავშირში

საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 4 მარტის № 132 დადგენილების თანახმად, გაუქმდა „საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგია“ და მის ბაზაზე შეიქმნა „საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული თარგმანის საკოორდინაციო-საგამომცემლო ცენტრი.“

ამავე დადგენილების საფუძველზე, საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული ყოფილი მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგიის ლიტერატურული ურთიერთობების სახლი გადაეცა საქართველოს მწერალთა კავშირს ლიტერატორთა სახლის შესაქმნელად.

ზემოთ აღნიშნული დადგენილების უმოკლეს ვადაში შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ვრცელი ინფორმაცია გამოქვეყნდება გაზეთის მომდევნო ნომერში.

# ფოტოჟურნალისტის არქივიდან





სურათებზე: ირაკლი აბაშიძე, თამაზ ტყემალაძე, მიხეილ ქვლივიძე, გურამ გვერდწითელი, რაულ ჩილაჩავა, ფრიდონ ხალვაში, მიხეილ დუდინი.

მურმან ჩაჩუას ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ლაზარე! გამოდი გარეთ“!

**რეზო ჩხეიძე**

მოგეხსენებათ, ამ ბოლო დროს, ბევრი რამ დაიბეჭდა ქართული კინოსა და პირადად ჩემს შესახებ ისეთი, რომელიც ალბათ პასუხის გაცემას მოითხოვდა, მაგრამ მე ჯერჯერობით (ვიმეორებ, ჯერჯერობით) დღემდე არცერთი „ჭეშმარიტებით“ აღსავსე თავდასხმისათვის არ მიპასუხებია. ვარჩიე დროისათვის და საზოგადოებისათვის მიმენდო ეს ასპარეზი და უფრო ნათლად დამენახა ვინ არის ვინ! ან როგორც ზირაქი ამბობს: „არს დუმილი მომპოვებელი სიბრძნისა...“ მართლაც სიმართლის მთქმელნიც გამოჩნდნენ და ისეთიც ბევრია, რომელთა სტატიები დევს ამა თუ იმ გაზეთის რედაქტორის პორთფელში და ელოდება, როდის გაუვლის რედაქციას შიშის გაუგებარი(?), მაგრამ ეტყობა საკმაოდ ყოვლისმომცველი გრძნობა.

მაგრამ, თუ კი ადამიანი იმას უფრო გადახარშავს, რაც შენ პირადად შეგეხება და შენშივე შეეცდები იპოვო მიზეზი, რაზედაც გედავებიან, გაცილებით ძნელია გამოიყურებოდე ვითომ გულგრილად მაშინ, როდესაც საქმე ბოროტი ძალმომრეობის ზეიმს წააგავს. საქმე შემდეგშია: „საქართველოს რესპუბლიკის“ ა. წ. 2 მარტის ნომერში მთელ ორ გვერდზე დაბეჭდილია საუბარი „ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ, თავისი ადგილი მივუჩინოთ...“, რომელიც ასე იწყება: „სამი თვის წინ საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს კინემატოგრაფიის მთავარ სამმართველოში ხელმძღვანელი შეიცვალა — სამმართველოს უფროსის თანამდებობა დაიკავა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ბესარიონ გუგუშვილმა. კინოწარმოების ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა პროფესიონალი...“ ახლა იმაზე არაფერს ვიტყვი, თუ რამდენად კომპეტენტურია ბატონი ბ. გუგუშვილი, ლაღად იმსჯელოს და საზოგადოებას შესთავაზოს თავისი აზრები, როგორც ხვალინდელი დღის ქართული კინოს უცილობელი მოდელი. ვერაფრით გამიგია ის უტაქტობა, რომელიც ზემოთმოყვანილ წინადადებაში გამოსჭვივის. ეჭვქვეშ დააყენოს მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსის ბატონ აკაკი დვალიშვილის პროფესიონალიზმი, მაშინ, როდესაც ბატონი აკაკი მართლაც და, სხვა მშვენიერ მისაბაძ მორალურ თვისებებთან ერთად განსახიერება იყო სწორედ საქმის დიდი ცოდნისა და ერთგულებისა. პროფესიით რეჟისორი, პროფესიით ინჟინერი, პროფესიით საუკეთესო ორგანიზატორი თეატრის და კინოს ფართე მასშტაბის საქმეებისა (16 წელი — კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე, ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი, მარჯანიშვილის თეატრის დირექტორი, 20 წელი— კინემატოგრაფიის კომიტეტის უცვლელი თავმჯდომარე), რამდენი საშური საქმეების წამომწყები და ურთულეს პირობებში მისი გამტანი და გამკეთებელია. ნუთუ ასე უნდა ვუხდიდეთ ღვაწლმოსილ ადამიანს მადლობას?

ბატონ ბესოს საუბარში ბევრი რამ არის ისეთი, რაც კაცს გააოცებს. მაგალითად, „შეიძლება ითქვას, რომ აქამდე არავითარი სახელმწიფო პოლიტიკა კინოს დარგში არ არსებობდა“ (თუ ასე იყო, ყოჩაღ, „ქართულო ფილმო!“ ეს მეტად საქებარი სიტყვებია. თუ გავითვალისწინებთ იმ იდეოლოგიურ და ადმინისტრაციულ წნეხს, რომელიც აქამდე, როგორც ცნობილია, არსებობდა). „ხელოვნება ეკუთვნის ხალხს“! ეს ლოზუნგი, ჩვენდა საუბედუროდ კიდევ უფრო უკულმართად გაგებული, დიდხანს შერჩება ჩვენს ცხოვრებას. მე ასეთ და ამის ანალოგიურ შემთხვევებში ყველაზე მეტად თვით იმ პიროვნებისა მიკვირს, რომელიც მისთვის უცხო ორგანიზაციაში მიდის და ჭკუასაც ასწავლის ღრმად გათვითცნობიერებულ, მსოფლიო დონის პროფესიონალებს.

მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, არც ყოველივე ამაზე და არც ბატონ ბ. გუგუშვილის წერილების სერიალში განზრახ გაყალბებული ფაქტების შესახებ არ ვაპირებ საუბარს. ეს სხვა დროს იყოს, მე სულ სხვა რამემ შემაშფოთა: ეს არის ბატონ ბესოს მიერ მის ბოლო ინტერვიუში გაცემული პასუხი, რომელმაც ჩემში ტრაგიკული შეგრძნება დაბადა. მოვუსმინოთ მის მსჯელობას:

„ქართული კინოს სისტემა მახინჯია, სისტემის სიმახინჯე კი ადამიანთა ურთიერთობებსაც ამახინჯებს და ათასგვარ მახინჯ მოვლენებს იწვევს. მაგალითად, სტუდიის ტერიტორიაზე შენდება ეკლესია — შენდება არა დანაზოგით, არა შემოწირულებათა ხარჯზე, არამედ ფილმწარმოებისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხით, ჩემი აზრით, ეს არის არაეთიკური სისტემის გამოვლინებათა ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი“.

გასაოცარია, რა სიმახინჯე, რა ეკონომიკის ეთიკის დარღვევა დაინახა ბატონმა ბესარიონმა იმაში, რომ კინოსტუდიის ტერიტორიაზე წმ. ლაზარეს სახელობის ეკლესია შენდება? ვთქვათ და, მართლაც ეკლესია შენდება ფილმწარმოებისათვის გამოყოფილი სახსრებიდან, რა ცოდვა და რა სიმახინჯეა ამაში? ჩვენი ლამაზი და წმინდა ეკლესია სამასი ათასი მანეთი დაჯდება (ასეთია გაანგარიშება). იგი მოცულობით დიდი არ არის, ბაზილიკის ტიპის შენობაა და როდესაც აშენდება, სულიერ სუფევას მოფენს ყველას, როგორც კინოსტუდიის მოღვაწეს და თანამშრომელს, ისევე დიღმის რაიონში მცხოვრებ ყველა ქრისტიანს (დიღომში დღესდღეობით სხვა ეკლესია არ არის). ახლა ბატონ ბესარიონ გუგუშვილს მივმართავთ: ბატონო ბესო, ეკლესია შენდება კერძო შემოწირულობით, სპონსორებით და საბანკო სესხით; რა ნახეთ ამაში ასეთი ცოდვა, რომ მან სალი მსჯელობის უნარი დაგაკარგინათ? ვიმეორებ, არცერთი მანეთი ჩვენ ფილმწარმოების ფონდიდან არ აგვიღია, თუმცა, იმასაც ვიტყოდი, გადამღებ ჯგუფებისთვის რომ მოგვემართა, იქ არავინ აღმოჩნდებოდა ისეთი ანტიქრისტე, რომელიც სიმახინჯედ ჩათვლიდა ცოტა რამე გადაღებისათვის მოეკლო ისე, რომ არც ფილმი დაზარალებულიყო და 3-5 ათასი მანეთი წმინდა ლაზარეს ეკლესიის მშენებლობისთვისაც შეეწირა. ეს ხომ დიდად განწმენდდა ჩვენს ისედაც ცოდვებით დამძიმებულ სულს, ეს ხომ სწორედ ახალ ქრისტიანულ მადლს მოსცხებდა ქართულ ფილმებს და უძლეველი ჯვარივით აღიმართებოდა სატანის —საქართველოს მტრის წინაშე. ეტყობა, თქვენთვის, ბატონო კინოსამმართველოს ახალო თავმჯდომარევ, ქრისტიანობა და მისი დომინანტი ყველაფერზე, რაც ჩვენს გარშემოა, ცოტა რამეს ნიშნავს, ანდა ბოლომდე იგი არ გაგიხდიათ რწმენის საფუძვლად. ის ჭეშმარიტება, რომ პოლიტიკა, მეცნიერება, ეკონომიკა, დემოკრატია და სხვა, მხოლოდ იმისათვის არის მოწოდებული, რომ ემსახუროს რწმენას, ზნეობას, ქრისტიანობას.

კულტურა ხომ შვილია რწმენისა, შვილია ცხოვრების ქრისტიანული — ფილოსოფიური გააზრებისა.

ცნობილია, ქრისტიანობა და სამშობლო ქართველი კაცისთვის ერთიდაიგივე ცნება იყო და ახლაც უნდა დარჩეს.

1918-1921 წ. წ. საქართველოს რესპუბლიკის ტრაგედია, ვაი თუ მრავალი სხვა ისტორიული პირობების გარდა, იმითაც იყო განსაზღვრული, რომ ხელისუფლების სათავეში იდგა მთავრობა, რომლის პლატფორმა მოკლებული იყო ნამდვილ ქრისტიანულ რწმენას. პირადად ჩემთვის, სტუდიის მიწაზე აღმართული ეკლესია და „ქართული ფილმის“ სულიერი აღმავლობა, ქართული კინოს შემდგომი ეროვნული აღზევება ურთიერთდაკავშირებული ფაქტორებია. მე ღრმად მწამს, რომ როდესაც წმ. ლაზარეს ეკლესიის ზარი მოუხმობს ქართველებს წირვაზე და როდესაც სტუდიის მრევლი წარსდგება აღსარებისა და ზიარების მისაღებად სულიერ მამასთან, ეს იქნება გზა განწმენდისა, საითკენაც უნდა ილტვოდეს ყველა ადამიანი, ყოველი ხელოვანი, აი მაშინ, სწორედ მაშინ, ჩვენ მივუახლოვდებით (მხოლოდ მივუახლოვდებით) სამყაროს გაგების ღვთიურ საიდუმლოებას და კანონზომიერებას. ეს კი თავის მადლს მიაგებს ქართულ კინოხელოვნებას. წმ. პავლე მოციქული უწოდებს ეკლესიას „სახლს ღმრთისას“, „ქალაქსა ღმრთისა ცხოველისა“, „დედას მორწმუნეთა“. „არაეკლესიური არ შეიძლება იყოს მოწამე, ვერ ეღირსება იგი მეფობას“ — ამბობს მღვდელმოწამე კვიპრიანე.

რა თქმა უნდა, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ასეთი გაგება, როგორც ქართველი ხალხის სულიერი კერისა, ქართული კულტურის ერთ-ერთ წყაროსი, არ ეთანხმება იმ ტენდენციებს, რომელსაც ზოგიერთები გამოხატავენ, მიილტვიან რა აქციონ „ქართული ფილმი“ მხოლოდ ფაბრიკად. მითუმეტეს, როდესაც ეკონომიკა (როგორც საქართველოსი, ისე ეგრეთწოდებული საბჭოთა კავშირის) მძიმე და აშლილ მდგომარეობაშია და ამ თვალსაზრისით არაა გამოკვეთილი მისი განვითარების ძირითადი ტენდენციები, არ იყო საჭირო ჩაგვეტარებინა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ საერთო სტრუქტურული ცვლილებები. ამის შედეგად ვაითუ, ორი წლის შემდეგ ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ, რომ ქართველ ხალხს ხელში ქართული კინოს ნაფლეთებიღა შერჩეს.

როცა საქართველოს იმპერიული ძალები ებრძვიან, ეს მარტო ტანკები და ჯარისკაცთა ნიჩბებით ბრძოლა როდია, ეს მარტო „სუკი“ და გადასახლებები როდია. ეს, უპირველეს ყოვლისა, ბრძოლაა ხალხის სულისათვის, ხალხის სულს კი, ყოველთვის ეკლესია ზრდიდა და ინახავდა. როდესაც ხალხი მოწყვიტეს ეკლესიას, მოწყვიტეს რწმენას, როგორც საკუთარ მიწას მოწყვეტილი, მიწიდან ამოგლეჯილი ნაზი მცენარე, იგი დაოსდა და დაჭკნა, დაიწყო მისი სულის დეგრადაცია. ახლა ქართული კინოს არაკეთილმოსურნე, რომ წარმოვიდგინოთ (ასეთები ბევრი ჰყავდა ქართულ კინოს საბჭოეთის რუსულ ოფიციოზში, რომელთაც არ სიამოვნებდათ ჩვენი კინოს ეროვნული სული) იგი ქართული კინოს წინააღმდეგ გალაშქრებასთან ერთად წმ. ლაზარეს ეკლესიასაც უნდა დაეძგეროს, რატომ? იმიტომ რომ ეს ორი ძალა ყოვლისშემძლე ქართული ეკლესია და მისი მადლით გასხივოსნებული ქართული კინო, მეტად დიად ცხოველმყოფელ ფენომენად იქცევა და ასეთი ჰარმონია, რა თქმა უნდა, ავის მოსურნეს მოსვენებას არ მისცემს. სხვათა შორის, სრულებით არ არის აუცილებელი, რომელიმე ჩვენგანს თავად ჰქონდეს გაცნობიერებული, ვის წისქვილზე ასხამს წყალს (გთხოვთ, ეს თქვენი მისამართით არ გაიგოთ, ბატონო ბესარიონ), მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ ძნელია დღეს კაცმა წარმოიდგინოს პროფესიონალი ხელმძღვანელი კინოს მთავარსამმართველოსი, რომელსაც ვერც ესთეტიკური და ვერც ეროვნული ღირსებით ვერ გაურჩევია კინოფილმები „ბაში-აჩუკი“ და „მონანიება“?! ამასთანავე იმასაც დავსძენ, რომ „პროფესიონალმა თავმჯდომარემ“, როგორც ბატონ ბ. გუგუშვილს უწოდა ჟურნალისტმა, რომელსაც საუბარი მიჰყავდა ზემოთაღნიშნულ პუბლიკაციაში, მრავალი ახალი კანონები დააწესა. მოგეხსენებათ, დიდი ბრძოლების შედეგად (კინემატოგრაფისტთა კავშირის უშუალო მონაწილეობით) ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ უკვე მესამე წელია მოიხსნა კინოსცენარის მიღების მრავალსაფეხურიანი აპარატი (სცენარს ძველად იღებდა კინოსტუდიის სამხატვრო საბჭო, მერე საქართველოს სახკინო და მერე მოსკოვი), მოიხსნა მოსკოვის მიერ ჩვენი სცენარების დამტკიცების პროცესი, ლიტერატურულ სცენარს უშუალოდ ამტკიცებს თვით სტუდიაში არსებული შემოქმედებითი გაერთიანება. დებულების მიხედვით, ეს არის სცენარის მიღების პირველი და უკანასკნელი ინსტანცია. ასევე, როდესაც წარმოების პროცესი მთავრდება, შემოქმედებითი გაერთიანება უფლებამოსილია მიიღოს ფილმი და ეს არის კინოსურათის მიღების უკანასკნელი ინსტანცია. ხედავთ, როგორ იქნა თანდათანობით მიღწეული შემოქმედებისთვის აუცილებელი დემოკრატიული წესები?! ახლა კი ჩვენ გვთხოვენ უკვე სტუდიაში დამტკიცებული სცენარები გადავუგზავნოთ კინემატოგრაფიის სამმართველოში და თანაც სიტყვიერად დაუმატეს: ამას განიხილავს უმაღლესი საბჭოს შესაბამისი კომისიაო! (იმიტომ, რომ ფული მისი გამოყოფილია და მანვე უნდა გადაწყვიტოს ეს პროცესიო). მივმართეთ კულტურის სამინისტროს (მინისტრი ბატონი ნ. წულეისკირი), მივმართეთ უმაღლესი საბჭოს განათლების, კულტურისა და მეცნიერების კომისიას (ბატონი თ. ქორიძე). ორივემ გულწრფელი გაკვირვება გამოთქვეს, ბატონ ბ. გუგუშვილის ასეთი მოქმედების გამო, მაგრამ დღემდე სცენარები უძრავად დევს კინოსამმართველოში, სტუდია კი გაჩერებულია და დაირღვა მისი წარმოების პროცესი. დაირღვა ყველაზე მთავარიც: შეილახა ხელოვნების მუშაკთა (მწერლების, რეჟისორების) წმიდათ გამოხატული ის ნდობა, სცენარის მიღების დებულებაში რომ არის ჩაწერილი: ლიტერატურულ და სარეჟისორო სცენარს ამტკიცებს კინოსტუდიაო!

ჩემთვის უცნობია, ბატონო ბესო, იცით თუ არა თქვენ ახალი აღთქმიდან (სახარება იოანესი, 11) ლაზარეს აღდგინების ბევრისმთქმელი ამბავი. იქნებ თქვენ ამას ჯერ არ ზიარებიხართ და თუ ამგვარ რამეს დააპირებთ, დამერწმუნეთ, დიდად ისიამოვნებთ. მართლაც და დიდებულია იესო ქრისტეს და მისი მეგობრის ლაზარეს გარდაცვალებისა და მისი დების—მართასა და მარიამის მოთქმა. მერე ქრისტეს ბრძანება „ლაზარე! გამოდი გარეთ!“ და ღვთიური სასწაული, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენთვის, ქართველებისათვის, ლაზარეს აღდგინების ამბავი აქ არ თავდება. ჩვენთვის, ქართველებისათვის ლაზარეს აღდგინებას კიდევ სხვა სიდიადე აქვს. ბატონო ბესო, იოანე ზოსიმე იყო XI საუკუნის მწერალი და ჰიმნოგრაფი, რომელიც მოღვაწეობდა პალესტინაში და შემდეგ სინას მთაზე. თავის საგალობლებში „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ წერს: „და დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან... ვითარმედ ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა“.

ხატზე „ლაზარეს აღდგინება“, რომელიც ამჟამად ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, გარკვევით ჩანს ორ ზღვას შუა მდებარე ქვეყანა, რომელიც ქრისტეს მეგობარ ლაზარესთან არის გაიგივებული, ეს ქვეყანა კი საქართველოა!

დღეს საქართველო ცეცხლშია. იმპერიალიზმი ყოველ ღონეს ხმარობს წელში გატეხოს ქართველი ხალხი. ჩვენს მიწაზე განსაკუთრებული ძალით გადაიშალა ქიშპობა, ამპარტავნობა, მკვლელობა, ორპირობა, ძალადობა. ყოველივე ეს გასაოცრად ჰგავს იმ აღრევას, რომელიც მეფობდა მსოფლიო წარღვნის წინ. რა გადაარჩენს ჩვენს სამშობლოს თუ არა ის, რომ თითოეულმა ჩვენგანმა ეძიოს სულიერი განწმენდა და მუხლმოდრეკილი ევედროს უფალს, „მიწყალე, მე ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღხოცე უსჯულოება ჩემი. უფროის განმბანე მე ურჯულოებისა ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან განმწმინდე მე; რამეთუ უსჯულოება ჩემი მე უწყი და ცოდვა ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის“ (ფსალმუნი 50). თუ გვიხსნის რამე, გვიხსნის ქრისტიანობა. მან იხსნა საქართველო ყოველ ავბედითობის ჟამს და ალბათ ახლაც ეს გზა, გზა ქრისტესი არის ერთადერთი, ჩვენი ერის გადარჩენის ეკლიანი გზა.

ბატონო ბესო! ახლა თუ მაინც გაიგეთ, თუ რატომ და როგორ ვაშენებთ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიწაზე წმ. ლაზარეს ეკლესიას? კიდევ იმასაც გეტყვით, რომ ჩვენს დედაქალაქში ეკლესია, რომელიც წმ. ლაზარეს სახელს ატარებდეს, სხვა არ არის. საქართველოს ეკლესიის 1991 წ. კალენდარს თუ გადავშლით, იქ წავიკითხავთ: „17 მარტი ძვ. სტილით ლაზარეს შაბათი. აღდგინება მართლისა ლაზარესი. ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი. წირვა იოანე ოქროპირისა“.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ბრძანებით (რომელმაც ინება ეკლესიის ფუძის კურთხევა), წმ. ლაზარეს აღდგინების ეს დღე აწ. აღინიშნება ყოველთვის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიწაზე აგებულ თეთრ ტაძარში.

აშენდება კი ეს ტაძარი? უსათუოდ აშენდება!

ჰონორარი გთხოვთ გადარიცხოთ წმ. ლაზარეს ეკლესიის მშენებლობის ფონდში.

1991 წ. 3 მარტი.

**რედაქციისაგან:** ეს წერილი ჟურნალისტური ეთიკის მიხედვით უნდა დაბეჭდილიყო „საქართველოს რესპუბლიკაში“, მაგრამ ავტორის კატეგორიული მოთხოვნით ჩვენთან იბეჭდება.

(გაგრძელება)

„ნამდვილქართველნო, ძმანო კახელნო, — ასე იწყება... ჯ. ჩარკვიანის პოემა „ვაზის საგალობელი“.

ამრიგად, ქართულ ლიტერატურაში არსებობს ამ მიმართვით დაწყებული ორი პოემა...

თუმცა, არა! მთლად ასეც არ არის! ნ. ბარათაშვილთან პირიქითაა: „ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო...“ განა საინტერესო არ არის; რატომ შებრუნდა ეს წყობა ჯ. ჩარკვიანთან? ბარემ დარჩენილიყო ზუსტად ისე, როგორც ნ. ბარათაშვილს ჰქონდა!

„ჰოი, მთაწმინდავ, სადღეგრძელოვ და გამარჯვებავ! შენა ხარ იგი, რაც კი ცხოვლად სულს დაჩნდება“, — ასე იწყება ნ. ბარათაშვილის სტრიქონების ვარიაციებით VII თავი პოემისა „გამოეყო ნათელი წყვდიადს“.

როცა წერილის დასაწყისში ვთქვი, სხვა პოეტთა ციტირება ჯ. ჩარკვიანის პოეტიკის უმთავრესი თავისებურებააო, შეიძლება ზოგს ეს გადაჭარბებულად მოეჩვენა. ახლა კი, ალბათ, საქმე ნათელია. ოღონდ, რითაა გამოწვეული ასე უხვად ციტირების აუცილებლობა, რა მხატვრული ფუნქცია აქვს მას?

ამ გამოცანაზე პასუხი ვერ მიპოვია.

●

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან. მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?“ — წერს ილია ჭავჭავაძე თავისი ცნობილი „ორიოდე სიტყვის...“ დასასრულს.

მოდით, ენით დავიწყოთ, რაკი სიტყვიერ შემოქმედებასთან გვაქვს საქმე.

ამას წინათ ერთ ჩვენს ღვაწლმოსილ მუსიკოსს არ აპატიეს, ზეპირმეტყველებაში რუსული სიტყვები რომ გამოურია ტელევიზიით გამოსვლისას: ტაძრის მაგივრად „ხრამი“ თქვა, უნგრეთის ნაცვლად „ვენგრია“. ამის გამო მკაცრად გაკიცხეს და გული ატკინეს, თუმცა, მიტევება შეიძლებოდა: ბოლოს და ბოლოს, იგი არც ფილოლოგია და არც მწერალი, სამწუხაროდ, არც ისეთი საქართველოს შვილი, სადაც ქართული ენა ყველა სფეროში შეუზღუდავად იმოქმედებდა... ჰოდა, თუკი მუსიკოსის მიმართ ასეთი სიმკაცრე გამოვიჩინეთ, რაღა უნდა ითქვას იმ ქართველ მწერალზე, ვისაც ამგვარი ლაფსუსები ნაბეჭდ ტექსტში მოეპოვება.

ჯ. ჩარკვიანის ერთ ლექსში ვკითხულობთ: „შორით გავხედავ საკანატო გზას“, ნაცვლად იმისა, რომ იყოს „შორით გავხედავ საბაგირო გზას“. ქართული სიტყვის — „საბაგიროს“ — გამოყენებას „საკანატოს“ ნაცვლად აქ არც მეტრი, არც რითმა, არც რიტმი ხელს არ უშლიდა. და მაინც — „საკანატო გზას“...

აი, კიდევ მსგავსი მაგალითი: „არც კალმიკი, არც ჩუქჩი“, — წერს ერთგან ჯ. ჩარკვიანი. „კალმიკი“ ისეთივე არაქართული ფორმაა, როგორიც „ვენგრია“. ქართულად უნდა ითქვას და დაიწეროს „ყალმუხი“, რომელიც ასევე სრულიად უმტკივნეულოდ ენაცვლება ამ სტრიქონში „კალმიკს“.

„ღვინით სავსენო ჩანებო“, — ვკითხულობთ ერთ მის ლექსში. „ჩან“-ი რუსულია, მას ქართულად როფი (ხის დიდი ჭურჭელი) ჰქვია.

სხვაგან ჯ. ჩარკვიანი წერს: „ისევ უმღერს ქართულად სიყვარულის ტალისმანს“. თუ „ქართულად“ უმღერს, მაშინ თილისმას უნდა უმღეროს და არა „ტალისმანს“.

სამწუხაროდ, გარდა გაუმართლებელი რუსიციზმებისა, ჯ. ჩარკვიანის შემოქმედებაში გვხვდება ამა თუ იმ სიტყვის არადანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევებიც.

ერთგან იგი წერს: „ხალხი ახლდა ისე, როგორც ხორალი“. პოეტს უნდა თქვას, გუნდად, ჯგუფად ახლდა ხალხიო. ამ ფუნქციით მას შეეძლო გამოეყენებინა „ხორო“ (ქართულად უფრო სწორი იქნება „ქორო“), მაგრამ არავითარ შემთხვევაში „ხორალი“ (ქართულად უფრო სწორი იქნება „ქორალი“), რაც საეკლესიო საგალობელს ნიშნავს და არანაირად არ მიესადაგება იმ კონტექსტს, სადაც ის ჩაუსვამთ.

ან კიდევ: „ქალნი სანეტარონი არ სტირიან ავშარას“. ავშარა არის ულაგმო ალვირი: „ჯორმან ავშარა წაიყარა და აეშვა“ (საბა). საკითხავია, ულაგმო ალვირს ქალნი, თანაც სანეტარონი, რატომ უნდა სტიროდნენ?

ანდა: „თავს გადგას ზეცის ბერბილი, მზეში, ქარში და წვიმაში“. „ბერგილი“ არის შნო, სიმარჯვე, ფხა, მოხერხება. არც ერთი ეს მნიშვნელობა კონტექსტს არ ეგუება. მაგალითად, რას შეიძლება ნიშნავდეს „ზეცის ფხა“ ან „ზეცის მოხერხება“ და რანაირად შეიძლება ესენი ვინმეს ან რამეს თავს ადგეს!

სხვაგან ჯ. ჩარკვიანი წერს: „თუ ის პარადი პარადობს, სხვა პარადების თავანი“. „თავანი“ პირდაპირი მნიშვნელობით არის სხვენი. გადატანითი, ანუ ფიგურალური მნიშვნელობით ამ სიტყვას პოეზიაში იყენებენ აგრეთვე უსხვენო შენობის ზედა ნაწილის ან, საერთოდ, სიმაღლის აღსანიშნავად. მაგალითად: „ცოტა კიდევ და იელვებს კრწანისი და მეტეხის ეკლესიის თავანი“ (ლადო ასათიანი), „ლამის კუბოდ გადმექცეს ზეციური თავანი“ (იოსებ გრიშაშვილი). ხოლო რას ნიშნავს „პარადი... სხვა პარადების თავანი“, ძნელი სათქმელია.

„ჩვენს შორის დარი დადგა ფარეზი“, — ამბობს ერთ ლექსში პოეტი. „ფარეზი“ არაბულიდან შემოსული სიტყვაა. არაბულში ის მოვალეობას აღნიშნავს, ქართულში კი „მოფრთხილების“, „ხელის შეწყობის“, „მოვლის“ სინონიმია. ამიტომ „... დარი დადგა ფარეზი“ ერთობ გაუგებარი რამ არის.

ახლა ვნახოთ სხვა სახის ენობრივ-სტილისტური უზუსტობანი.

და გაფრენილი მზისკენ
კისრებით —
ნისლი კი არა, შენი ცხენია.

ერთ ცხენს რამდენი კისერი შეიძლება ჰქონდეს?! ანდა, რას ნიშნავს მზისკენ კისრებით გაფრენილი ან ნისლი ან ცხენი?

ერთგან ჯ. ჩარკვიანი წერს: „თავშეკავება უსწავლიათ სვანიძის ბიძებს“. სინამდვილეში, როგორც კონტექსტიდან ირკვევა (პოემა „პარალელური ხაზები“), პოეტს ის კი არ უნდა თქვას, რომ ბიძებს უსწავლიათ თავშეკავება, არამედ ბიძებს უსწავლებიათ თავშეკავება იაკობ ჯუღაშვილისთვისო. „უსწავლიათ“ და „უსწავლებიათ“ სხვადასხვა რამეს ნიშნავს და მათი ერთმანეთში აღრევა არ ეგების.

ახლა ასეთი სტრიქონები წავიკითხოთ: „მე ვამაყობ ჩემი ბედის წუთისოფლის მღვიმეთი“. რას უნდა ნიშნავდეს ბედის წუთისოფლის მღვიმე? ჯერ წუთისოფლის მღვიმე რა არის, მერე რა წუთისოფლის მღვიმე აქვს ბედს, რომლითაც თურმე სიამაყეც კი შეიძლება?!

არსებობს ერთი სტილისტიკური ხერხი, რომელსაც ინვერსია (შებრუნება) ჰქვია. იგი გულისხმობს სიტყვათა ჩვეულებრივი, ბუნებრივი თანმიმდევრობის შეცვლას მეტი გამომსახველობის, მეტი ექსპრესიის მიღწევის მიზნით. მაგრამ სიტყვათა ბუნებრივი თანმიმდევრობის შეცვლა ყოველთვის როდი ხერხდება უმტკივნეულოდ. გაუმართლებელი ინვერსია, რომლის ნიმუშები მრავლად გვხვდება ჯ. ჩარკვიანის ლექსებში, აზრობრივ უხერხულობასა და გაუგებრობას ქმნის. მაგალითად:

გამარჯვების გზებზე გმირულ
ამოღულდეს მარგალიტი.

ეს ის შემთხვევა არ არის, როდესაც შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება. აქ ინვერსიის შედეგად („გზებზე გმირულ“ ნაცვლად ბუნებრივი თანმიმდევრობისა — „გმირულ გზებზე“) უაზრობა მივიღეთ.

ან კიდევ:

ქვითკირივითა მაგრობდე
მამულსა შიგან ძირსა.

მცდარმა ინვერსიამ კვლავაც უზუსტობა გამოიწვია. ალბათ უნდა იყოს: „ქვითკირივითა მაგრობდე მამულის ძირსა შიგან“.

ასევე უმართებულო ინვერსიაა: „ღვინით დამთვრალა ღამე ბართლომეს“ („ბართლომეს ღამის“ ნაცვლად).

ერთი მაგალითიც არასწორი ინვერსიისა:

უფრო, უფრო იმატებს,
მოდგმის კაცთა ბუნება.

აქ ინვერსია არც რითმის საჭიროების გამო ხდება და არც რიტმისა. როგორც ჩანს, ავტორი დარწმუნებულია, რომ „კაცთა მოდგმის ბუნებას“ იტყვის თუ „მოდგმის კაცთა ბუნებას“, სულ ერთია!

შემდგომ მაგალითში კი უკვე რითმაა „დამნაშავე“, პოეტი რომ უხერხულ ინვერსიას მიმართავს:

ოქროს ფასი აქვს
კიტრსა თუ ჯონჯოლს,
თვალით თარსიან
გავხედავ კოჯორს.

„თვალით თარსიან გავხედავ კოჯორს“, ცხადია, არ შეიძლება: უნდა ითქვას ასე: „თარსიან თვალით გავხედავ კოჯორს“. გაუმართლებელი ინვერსია რითმის საჭიროებამ გამოიწვია: „ფასი აქვს — თარსიან“.

ჯანსულ ჩარკვიანის ლექსებში არაერთი სხვა სახის ენობრივ-სტილისტური ლაფსუსია, მაგრამ ამჯერად ესეც საკმარისია. ისევ ილიას დავიმოწმებ: „ჩვენ ყველანი ქართული ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ და ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებისა არ იქნება მომატებული... ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“.

●

როგორც ვიცით, ილიასეული „სამების“ პირველი წევრი არის მამული.

უამრავი ლექსი აქვს მიძღვნილი ჯანსულ ჩარკვიანს მამულისადმი. „მთავარი მაინც მამული არის, განსაცვიფრებლად არის მთავარი“, — აცხადებს იგი ერთ ლექსში და ეს ჭეშმარიტად ასეა. ამიტომ, ცოტა ყურს ეხამუშება შვილისადმი მიძღვნილი ასეთი სტრიქონები:

არწივის ფრთებს მოგცემ
ფრთებად,
შემოგავლებ გრემს და ატენს.

ნუთუ არ შეიძლება შვილის სიყვარულის ფაქიზი, უაღრესად ადამიანური გრძნობა ისე გამოიხატოს, რომ უნებურად არ დაკნინდეს ის, რაც „განსაცვიფრებლად არის მთავარი“ (გრემი და ატენი ციტირებულ სტრიქონებში, არც მეტი, არც ნაკლები, „მამულის“ პერიფრაზია).

ამის მსგავსი ვითარებაა სხვა ლექსშიც:

მე ვფიქრობდი: თუ
დარჩებოდი,
მე ეს ხერთვისი მინდოდა
შენთვის, —

მიმართავს პოეტი მისთვის ძვირფას ადამიანს.

ხერთვისი ჩვენი მამულის, ჩვენი ისტორიის, ჩვენი კულტურის ნაწილია და ამიტომ, რა აზრიც უნდა იდოს ამ სტრიქონებში, უხერხულად ჟღერს კერძო პირის მიერ კერძო პირისადმი ნათქვამი: „მე ეს ხერთვისი მინდოდა შენთვის“, რადგანაც „მთავარი მაინც მამული არის“.

როცა ჯ. ჩარკვიანი წერს: „მამულის გამო არ ვყოფილვარ მონა დიაცთა; მინდოდა, მაგრამ ვერ მოვიცალე“, — აქ ყველაფერი გასაგებია, რაკი „მთავარი მაინც მამული არის“, მაგრამ წავიკითხოთ ახლა მისი ასეთი სტრიქონები:

შორით, შორით ვენაცვალე
ორ რამეს —
არაგვსა და ზღვას...
. . . . . . . .
ახლოს, ახლოს ვენაცვალე
ორ ვინმეს —
სამშობლოს და ქალს.

ეს გახლავთ თავისებური ვარიაცია ცნობილი სიმღერის ტექსტისა: „სამი რამ მიყვარს ამქვეყნად: ღვინო, დუდუკი, ქალები“, სადაც დაახლოებით ერთი რანგის კომპონენტებია დაყენებული ერთმანეთის გვერდით.

ახლა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება“.

ამ შემთხვევაშიც დაახლოებით ერთი რანგის (მაღალი, უფრო ზუსტად, უმაღლესი რანგის) ცნებებია დასახელებული გვერდიგვერდ. ამიტომაა, რომ ორივე ჩამოთვლაში — სიმღერაშიც და ილიას ფრაზაშიც — ამგვარი ფორმულებისათვის აუცილებლად საჭირო ჰარმონიულობა სუფევს. დაუშვებელია ამ ორი ფორმულის წევრთა ერთმანეთში აღრევა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩამოთვლას აზრი აღარა აქვს...

ჯ. ჩარკვიანისეულ ჩამოთვლაში კი — არაგვი, ზღვა, სამშობლო, ქალი — არანაირი ლოგიკა არ მოჩანს, სხვადასხვა სიბრტყეებია ერთმანეთში არეული. ხოლო ასე თქმა: „ახლოს, ახლოს ვენაცვალე ორ ვინმეს — სამშობლოს და ქალს“, — ძალიან არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. ვინ-ვინ და პოეტი ყველაზე უკეთ უნდა გრძნობდეს არასასურველი ასოციაციების წარმოქმნის საფრთხეს.

აი, კიდევ ერთი მსგავსი მაგალითი:

„მუხლზე მიზის საქართველო, საქართველო დაღლილი“, — ასე მთავრდება ლექსი, რომელსაც რატომღაც „ქართლოსი“ ჰქვია. ვთქვათ, ეს ჩვენი ლეგენდარული წინაპრის, ქართლოსის, მონოლოგია (რაც ფრიად საეჭვოა, ასეთი ანაქრონიზმის გამო: „ვლაპარაკობ სიყვარულზე, მაგრამ ტუჩია დახლილი“, გარდა ამისა, ვერც „დაღლილი“ იქნებოდა საქართველო ქართლოსის დროს), მაინც არანაირად არ არის გამართლებული ამის თქმა — „მუხლზე მიზის საქართველო, საქართველო დაღლილი“. „მუხლზე ჯდომა“ ჩვენ ტიციან ტაბიძის ლექსიდან გვახსოვს: „პერანგგახდილი ლედი მაკბეტი მუხლებზე უზით გადამთვრალ სტუმრებს“.

ახლა ეს სტრიქონები გავიხსენოთ:

ანანურო, ანანურო,
აწყურო და ნიკორწმინდავ,
ვაი, მაგ მკერდს სამამულოს,
ვინ ოხერი გიკოცნიდა.

რას ნიშნავს „გიკოცნიდა“? ნუთუ მტერი ჩვენი ციხე-ტაძრების საკოცნელად მოდიოდა და არა მათ დასალეწად?! ამასთანავე, ეს „გიკოცნიდა“ აქაც მეტად უხიამოვნო ასოციაციებს აღძრავს.

პოემაში „მირზა გელოვანი“ ჯ. ჩარკვიანი ასეთ რამეს ათქმევინებს მირზას:

ვახ, ჩემი იღბლის დედა
ვატირე.
თორე თეთრ სუფრას
ზედ მამულის გულზე
გავფენდი.

საეჭვოა, მირზა გელოვანს, ვისაც მამულის მიმართ საოცრად ფაქიზი და ამაღლებული დამოკიდებულება ჰქონდა, თუნდაც სამშობლოდან მოცილებულს, „მამულის გული“ იმისთვის შეენახა, რომ ზედ სუფრის გაშლა ენატრა.

სადავო არაა, რომ მამული ჯანსულ ჩარკვიანსაც ყველაფერს ურჩევნია ამქვეყნად, მაგრამ, როცა სახე სახეს, სიტყვა სიტყვას დაუწყვილდება, შესაძლოა გაუთვალისწინებელი და არასასურველი ასოციაციები გაჩნდეს. ამიტომ პოეტი ვალდებულია მეტი ყურადღება გამოიჩინოს ისეთ ამაღლებულ თემაზე წერისას, როგორიც არის მამული.

●

ილიასეული „სამების“ მესამე წევრი გახლავთ სარწმუნოება.

ჰოდა, სწორედ ამ სარწმუნოებას, წინაპართაგან ნაანდერძევ ერთ-ერთ განძთაგანს, მეტად უჩვეულო როლი აქვს დაკისრებული ჯ. ჩარკვიანის ლექსების ციკლში „მოვიდრეკთ მუხლთა“:

ხეზე ჰკიდია ბოროტი სული
და აქანავებს სარწმუნოება.

სარწმუნოების უცნაური გაპიროვნებით შექმნილი ამ სახის არათუ ფუნქციის გარკვევა, უბრალოდ, მისი წარმოდგენაც კი ვერ ხერხდება. რომელ სულიერ არსებად გარდაქმნილი უნდა ვიგულვოთ აქ სარწმუნოება? რანაირად და რა მიზნით აქანავებს იგი ხეზე ჩამოკიდებულ ბოროტ სულს? ამ შეკითხვების პასუხი არ ჩანს.

„ღმერთი“ ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვათაგანია ჯ. ჩარკვიანის შემოქმედებაში. მის ლირიკულ გმირს ქვეყნის შემოქმედთან ერთობ შინაურული ურთიერთობა აქვს დამყარებული: „ღმერთი კი, ღმერთი, — იმელრეო მეხვეწებოდა“ — ვკითხულობთ პოემაში „გამოეყო ნათელი წყვდიადს“. ხოლო სხვა პოემაში („მუელვერ“) იგი შესაშური პირდაპირობით აცხადებს: „რადგანაც დიდი ღმერთის ტოლი ვარ..“

ღმერთი დიდად არის დავალებული პოეტისაგან. ერთ ლექსში ის გვაუწყებს: „ღმერთი ყოფილა მართლა მშიშარა, იღრჩობოდა და გამოვიყვანე“. ღმერთის „მშიშრობასთან“ დაკავშირებით საინტერესოა აგრეთვე ეს სტრიქონიც: „ნუ გეშინია, ღმერთო, ვენახის“. მთელ ამ ლექსში, რომელსაც „აკაკის ხმა“ ჰქვია, არაფერი არ მიგვანიშნებს იმაზე, თუ რატომ უნდა ეშინოდეს ღმერთს ვენახისა.

ჯ. ჩარკვიანის შემოქმედებაში ღმერთის სახის სრულყოფილად წარმოსაჩენად არ უნდა გამოგვრჩეს ეს სტრიქონებიც: „ერთი დღე ქვეყნად არ ვარგა ღმერთიც დაუთრობელი და უმღერელი“.

ერთხელ პოეტს ღმერთი დაუსჯია კიდეც: „და ღმერთს მოვჭერი ხელი წვალების“.

ახლა ასეთი მხატვრული სახეც ვნახოთ:

შენი ჰუნე ვარ, მაღალო
ღმერთო,
ჩამჭიდე ხელი და გამაჭენე.

ამ ხატის წარმოდგენა გონების ცოტაოდენი დაძაბვით კი შეიძლება. ოღონდ საკითხავი ეს არის: ღმერთის ჰუნედ ყოფნა ავტორისათვის სასჯელია თუ ჯილდო? (ჯილდო იმ გაგებით, რომ ღმერთმა იგი გამოარჩია სხვა მოკვდავთაგან, გახადა იმისი ღირსი, რომ მან ცხენობა გაუწიოს მამაზეციერს). ამის გარკვევა ჭირს, არადა აუცილებელია, რადგან სხვაგვარად ამ სტრიქონებთან მკითხველი ემოციურ კონტაქტს ვერ დაამყარებს.

ეს მაგალითები ცხადყოფენ, რომ ჯანსულ ჩარკვიანის ღმერთი და მისი სარწმუნოება ის არ უნდა იყოს, რასაც ილია ჭავჭავაძე გულისხმობს. რა თქმა უნდა, კარგად მესმის, რომ პოეზია სხვაა და თეოლოგიური ტრაქტატი სხვა — პოეტი ღვთისმეტყველის დარად ვერც იაზროვნებს და ვერც დაწერს. მაგრამ მაინც — თუკი ლექსებში ღმერთს შევაწუხებთ, სჯობს ეს მკაცრი მხატვრული აუცილებლობით იყოს გამოწვეული. ეს მხატვრული აუცილებლობა კი დამოწმებულ ნაწარმოებებში არ იგრძნობა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# კონსტანტინე წერეთელი — მეცნიერი, პიროვნება, ხასიათი



სამოცდაათი წელი შეუსრულდა ჩვენს ღვაწლმოსილ, მეცნიერებისათვის თავდადებულ თანამემამულესა და თანამოქალაქეს კონსტანტინე წერეთელს. იგი 1921 წლის თებერვალში დაიბადა ე. ი. საბჭოთა საქართველოს თანატოლია. ბუნებრივია კითხვა, რა მისცა მას საბჭოთა საქართველოში 70 წლის ცხოვრებამ და როგორ მოიხადა მან ვალი თავისი სამშობლოს — საქართველოს წინაშე? როგორ იცხოვრა და რას მიაღწია?

დღეს იგი ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის ერთ-ერთი მთავარი ბურჯია და ხოლიდური ასაკის მიუხედავად, — ჩვეული ენერგიით განაგრძობს მუშაობას, როგორც მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ამიტომ არც თვითონ მას და არც ჩვენ — მის მეგობრებს, კოლეგებსა და მრავალრიცხოვან მოწაფეებს, არ გვჯერა მისი 70 წელი. იგი ისე გამოიყურება, მასში იმდენი ხალისია, იმდენი სიცოცხლის წყურვილი, მუშაობის შესაშური უნარი და, რაც მთავარია, გარშემომყოფთა მიმართ იმდენი კეთილმოსურნეობა და ბუნებრივი ტაქტი, რომ გიკვირს, როგორ შეინარჩუნა მან დღემდის თავისი ხასიათის ეს იშვიათი ღირსებანი, თითქოს მას არ გამოევლოს მძიმე შრომით, გაჭირვებითა და უდიდესი სულიერი ტკივილებით აღსავსე ცხოვრების გზა. მე არ შევუდგები მისი მეცნიერული დამსახურების აღწერას, იგი საყოველთაოდ არის ცნობილი და აღიარებული. მისი მოწაფეებისა და კოლეგების თ. გამყრელიძისა და ვ. ახვლედიანის მიერ „საქართველოს რესპუბლიკის" 22 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში ლაკონურად, მაგრამ ისეთი მეცნიერული სიზუსტით არის აღნიშნული ყველა მისი დამსახურება ქართული და მსოფლიო სემიტოლოგიის — ებრაისტიკისა და არამეისტიკის თუ ქართველოლოგიის წინაშე, რომ მე ვერ გავბედავ ამ დარგის სპეციალისტების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს რაიმე დავუმატო. მინდა მხოლოდ დავახასიათო კოტე წერეთელი, როგორც პიროვნება, რადგან მას 16 წლის ასაკიდან ვიცნობ, როცა იმ ავადსახსენებელ 1937 წელს ერთად შევედით თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, მეორე კურსიდან ავირჩიეთ კავკასიური და აღმოსავლური ენების განყოფილება და საბოლოოდ აღმოსავლეთმცოდნეობის ასპარეზზე შევუდექით ჩვენს შრომატევადსა და მძიმე სამუშაოს და აი, დღემდე ერთად ვიღვწით, თუმცა, აღმოსავლეთმცოდნეობის სხვადასხვა დარგში და რაღა თქმა უნდა, სხვადასხვა წარმატებით. მან, ისევე როგორც ჩვენმა მესამე თანაკურსელმა და მეგობარმა, აწ განსვენებულმა გამოჩენილმა არაბისტმა ალ. ლეკიაშვილმა, სემიტური ენები — ებრაული და არაბული აირჩია სპეციალობად, ხოლო მე, შეძლებისდაგვარად, ვიკვლიე ქართულ-ირანული ენობრივი ურთიერთობის საკითხები. ჩვენ სამივემ ერთად დავიწყეთ სწავლაც და სწავლებაც თბილისის უნივერსიტეტში და, სამწუხაროდ, მხოლოდ ორმა ჩვენგანმა მოაღწია და მოესწრო დღევანდელ განახლებულ საქართველოში ცხოვრებას, დიახ, ჩვენ სამნი ვიყავით შთაგონებულნი ჩვენი მასწავლებლების, ძირითადად, გიორგი წერეთლის მიერ, რომელიც არაბულს გვასწავლიდა. ჩვენს მიერ პატარა საუნივერსიტეტო კურსის გავლის შემდეგაც, რამდენიმე წლიწადს უნივერსიტეტის დამთავრებამდე, და, სინამდვილეში, გვამზადებდა მომავალ აღმოსავლეთმცოდნეებად, გვაცნობდა თავის იდეებსა და მომავალ გეგმებს საქართველოში აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარების აუცილებლობასა და შესაძლებლობებზე. მართლაც, სულ მალე ჩვენ გავხდით ენათმეცნიერების ინსტიტუტის პირველი აღმოსავლეთმცოდნე ასპირანტები. ჩვენ უკვე გავლილი გვქონდა ქართველური და კავკასიური ენების სკოლა აკ. შანიძის, გ. ახვლედიანის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, ქ. ლომთათიძის და სხვათა ხელმძღვანელობით, მაგრამ თვით აღმოსავლეთმცოდნეობის სწავლება მაშინ ამოიწურებოდა პატარა საწყისი კურსებით ძველი და ახალი სპარსულისა, არაბულისა და სანსკრიტისა. ამასთან, რთულსა და შრომატევად სპეციალობას ჩვენ მხოლოდ ასპირანტურის წლებში უნდა დავუფლებოდით, რადგან სპეციალური ფაკულტეტი აღმოსავლეთმცოდნეობისა მხოლოდ 1945 წ. გაიხსნა და ჩვენც იძულებული ვიყავით ასპირანტურის წლებშივე გვერდში ამოვდგომოდით ჩვენს მასწავლებლებს და გვესწავლებინა ის, რასაც თვითონ ახლაღა ვსწავლობდით სერიოზულად.

ჩვენი ასპირანტურაში დატოვება იმ საშინელი ე. წ. სამამულო ომის წლებში, იმითაც იყო განპირობებული, რომ ცოტახნის წინათ მოხდა ეპოქალური მნიშვნელობის აღმოჩენა ქართულ არქეოლოგიაში. სახელდობრ, არმაზში აღმოჩნდა ორი საკმაოდ ვრცელი წარწერა. მათ შორის ერთი ბილინგვა ბერძნულ-არამეული და ერთი ერთენოვანი არამეული დამწერლობით. ბილინგვის ბერძნული ტექსტი შედარებით ადვილად იქნა ამოკითხული ბ-ნ სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ და მაშინვე ნათელი გახდა მისი უდიდესი მნიშვნელობა ანტიკური ხანის ქართველი ერის ისტორიისა და საერთოდ, ქართული ენისა და კულტურის ისტორიისათვის; მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა მეორე — არამეული ვერსია წარწერისა. რა იყო ეს? ნამდვილად, არამეულ ენაზე იყო გადმოცემული მისი შინაარსი, თუ ეს იყო იდეოგრაფიულად გამოყენებული არამეული დამწერლობა რომელიმე საშუალო ირანული ენისა, ან რაც განსაკუთრებულად საინტერესო იყო ქართული ენის ისტორიისა და ქართულ დამწერლობასთან მისი კავშირის საკითხისათვის. თავისი უაღრესად საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვეს და გამოაქვეყნეს ჩვენმა გამოჩენილმა მეცნიერებმა აკ. შანიძემ, პ. ინგოროყვამ, გ. ახვლედიანმა და სხვებმაც, ისტორიკოსებმაც, ფილოლოგებმა, ქართველებმაც და არაქართველებმაც. მაგრამ საბოლოოდ ამ წარწერების მეცნიერული გამოცემა შეძლო ჩვენმა შესანიშნავმა სემიტოლოგმა და ქართველოლოგმა გიორგი წერეთელმა, რომლის შრომას ნამდვილად მსოფლიო რეზონანსი ჰქონდა. თუმცა ამ წარწერებზე მუშაობის პროცესში აღმოჩნდა, რომ საქართველოს აკლდა სემიტური ენებისა და ეპიგრაფიკის, ძველი და საშუალო ირანული ენებისა და ისტორიის სპეციალისტები. და თითო-ოროლა თუნდაც ბრწყინვალე წარმომადგენელი ამ დარგებისა — არ იყო საკმარისი მრავალი საკვანძო საკითხის გადასაწყვეტად უძველესი ქართული ენის, ისტორიისა და დამწერლობის წარმოშობის სფეროში. ამას სჭირდებოდა თაობები და სკოლები ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა, რომლებიც მომავალში მართლაც შეიქმნა საქართველოში.

უნდა ითქვას, რომ ასპირანტურაში მუშაობისას ჩვენ არ გაგვიცრუებია ჩვენი მასწავლებლების იმედები, არ გაგვითუფასურებია მათი ამაგი და ზრუნვა, უქმად არ გაგვიფლანგავს ჩვენი ცოდნის წადილი და ახალგაზრდული ენერგია. როდესაც ჩვენი ამხანაგები ფრონტზე იბრძოდნენ, ჩვენც ზურგში შესაძლებელს ვაკეთებდით, მაშინ, როდესაც სახლში არ იყო სინათლე, გათბობა, გაყინულები, მშიერმწყურვალნი, ნახევრად შიშვლები, დილის 8 საათიდან ღამის 12 საათამდე ოდნავ გამთბარ და განათებულ ინსტიტუტის კედლებში ვისხედით და დაუღალავად ვშრომობდით. ალ. ლეკიაშვილი და კ. წერეთელი ჯარში ვერ წაიყვანეს სუსტი ჯანმრთელობის გამო, სამაგიეროდ, ისინი იბრძოდნენ ქართული მეცნიერების ფრონტზე, ქართული კულტურის, ქართული ენათმეცნიერებისა და აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარებისათვის. აქ მათ ნამდვილი სამოქალაქო გმირობა გამოიჩინეს, რომელიც მაშინ არანაკლებ რთული იყო, ვიდრე ომში თავის გამოჩენა.

ასპირანტურაში სამი წლის სწავლის შემდეგ ჩვენ მოვასწრეთ საკანდიდატო დისერტაციების დაცვა, სწავლასა და პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად. ყველაზე პირველმა, რა თქმა უნდა, კოტემ დაიცვა დისერტაცია. ის იყო ჩვენში ყველაზე ორგანიზებული და თანამიმდევრული. ყველაფერი, რასაც იგი აკეთებდა სწავლისა და მუშაობის დროს, ყოველთვის იყო სისტემაში მოყვანილი და მეცნიერულად ზუსტი, ამავე დროს, უმაღლეს დონეზე გაფორმებული. მეცნიერის ეს საუკეთესო თვისებები მას ოჯახიდან გამოჰყვა—დედაც და მამაც პედაგოგები ჰყავდა, მათემატიკოსები. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო დედის. ქ-ნ ვერა წერეთლის როლი, რომელმაც აღზარდა თავისი ერთადერთი ვაჟი და გადასცა მას ყველაფერი საუკეთესო, რაც თავად ახასიათებდა, როგორც ბრწყინვალე პედაგოგს, შესანიშნავ მოქალაქეს და უსათნოეს ადამიანს. ერთი შეხედვაც საკმარისი იყო, რომ კ. წერეთელში შეგეცნო „ზრდილი იმერი," დღესაც თვალწინ მიდგას მისი სახე, როდესაც იგი პირველად გამოჩნდა ჩვენს უგემოვნო საბჭოთა სამოსში გამოწყობილ მრავალრიცხოვან პირველკურსელთა შორის. იგი თავისი გარეგნული იერით, სიფაქიზით ყველასგან გამოირჩეოდა, სხვა ქვეყნიდან ან წარსულიდან გამოცხადებულს ჰგავდა, მხოლოდ ძველ, მე-19 საუკუნის ინტელიგენტთა ფოტოებზე რომ შემოგვრჩა. ეს იყო ქერა, ცისფერთვალება გამხდარი ყმაწვილი, ცოტა ჩერვიული, მაგრამ ენერგიული და ცოცხალი; გაქათქათებული თეთრი ტილოს ბლუზით, არაჩვეულებრივად მიმზიდველი თავისი სიფაქიზითა და სინატიფით. ასეთივე დარჩა იგი დღემდე, ყოველთვის გამორჩეული, გემოვნებით ჩაცმული, რაც ყოველმხრივ შეესაბამება მის კეთილშობილურ გარეგნობას და ოჯახიშვილობას, აგრეთვე, მის შინაგან, ნამდვილი მეცნიერისათვის დამახასიათებელ ბუნებას. ასეთივე ფაქიზი და ნატიფია იგი თავის შრომებში. იგი დაჯილდოებულია შესანიშნავი გადმოცემის უნარითაც. მისი მოხსენებები ყოველთვის ნათელია და გამოკვეთილი, თეორიული მომზადება უმაღლესი დონისა, კამათის წესი თავშეკავებული და ღირსეული, რითაც ყველა მსმენელის სიმპათიას იმსახურებს.

მე მინდა აღვნიშნო მისი პიროვნული ხასიათის ზოგიერთი ღირსება, რამაც მას ასეთი პოპულარობა და სიყვარული მოუპოვა, ეს არის საოცრად თავისუფალი მთლიანი პიროვნება, საკუთარი ღირსების შეგნებით, უტეხი ხასიათით. იგი უჩვეულო შემართებით ასრულებს იმას, რაც ახალგაზრდობიდანვე მიზნად დაუსახავს, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა. განა ადვილია 70 წელი გაატარო საბჭოთა საქართველოს პირობებში, სადაც პიროვნებას და მის პირად ღვაწლს, მის ხასიათს არავითარი ანგარიში არ ეწევა. სადაც ხშირად მხოლოდ თანამდებობის პირებია სათაყვანოდ და საამებლად დასახული და ასეთ პირობებში შეინარჩუნო საკუთარი ღირსების გრძნობა და შენი მეცნიერული კვლევის ობიექტის ბოლომდე ერთგული დარჩე, იყო დაფასებული და პატივცემული მოწაფეთა და კოლეგათა მიერ და შენი ნიჭითა და შრომისმოყვარეობით დამსახურებული ჯილდოები ისე აიღო, როგორც წყალობა გაჭირვებული ცხოვრებისათვის, და ვალების დასაფარავად გამოიყენო? როცა ისინი, საპატიოა მხოლოდ იმიტომ, რომ შენი მასწავლებლების, ჩვენი შესანიშნავი ქართველი მოღვაწეების სახელობისაა არიან. ამას წინათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ერთ-ერთ სხდომაზე, სადაც საიუბილეო ადრესი მიართვეს, კოტე წერეთელმა წაიკითხა ბრწყინვალე მოხსენება საქართველოსა და ამიერკავკასიის მთელ ტერიტორიაზე მოპოვებული ე. წ. არმაზული დამწერლობით შესრულებული წარწერების შესახებ. ამ მოხსენებაში შეჯამებული და ამომწურავად გაანალიზებული იყო ყოველი მათგანის ადგილი და მნიშვნელობა, როგორც ზოგადად სემიტოლოგიისა, ისე კერძოდ არამეული ეპიგრაფიკისა და ქართული კულტურის, ქართული დამწერლობის ისტორიისათვის. ეს მოხსენება სიმბოლური იყო, რადგან ამ საკითხებზე მსჯელობდა პროფესიონალი, მსოფლიოში ცნობილი დიდი ერუდიციის მქონე, ებრაისტიკის და არამეისტიკის სკოლის გამოცდილი მეთაური, მრავალრიცხოვანი მოწაფეების აღმზრდელი, რომლის ავტორიტეტულ სიტყვას ისმენდა და აფასებდა მეცნიერ ფილოლოგთა და ისტორიკოსთა დღევანდელი „ელიტა." და ჩვენ, ალბათ მოვესწრებით, ღვთის შეწევნით, იმ დროს, როცა თვით ჩვენი იუბილარისა და მისი აღზრდილი მოწაფეების მიერ გაშიფრული იქნება მომავალში აღმოჩენილი ვრცელი, უფრო ფართე კონტექსტიანი წარწერები არმაზული დამწერლობით და საბოლოოდ გადაწყდება ქართული დამწერლობისა და ქართული ენის მიმართება არამეული დამწერლობით შესრულებულ ტექსტებთან. საკითხი — შექმნა თუ არა ფარნავაზმა „მწიგნობრობა ქართული" და ამასთან დაკავშირებული დავათის სტელას და სხვა საბუთების საიდუმლოს გარკვეული შუქი მოეფინება.

გიორგი წერეთლის მიერ გამოცემული არმაზის ბილინგვის ტექსტი სანიმუშოდ იყო გაანალიზებული, როგორც არამეული პალეოგრაფიის მხრივ, ისე მისი უდიდესი მნიშვნელობის დადგენის თვალსაზრისით ქართველი ერის ისტორიის ამ უაღრესად საყურადღებო ხანისათვის, რომლის შესახებ მანამდე ბევრი სპეციალისტის მიერ „ლეგენდარულად" მიჩნეული ლეონტი მროველის ცნობებით კმაყოფილდებოდნენ. არმაზული წარწერების აღმოჩენამ დოკუმენტურად დაადასტურა ქართველ მემატიანეთა ცნობები საქართველოში იმ ეპოქაში გავრცელებული რამდენიმე ენიდან საქართველოს სახელმწიფო ენად ქართულის აღიარებისა და საკუთარი დამწერლობის შექმნის ფაქტი. მაგრამ, როგორი იყო იმ დროისათვის ეს დამწერლობა, იყო ის ქართული თუ იმ დროს ე. წ. აქემენიდების სახელმწიფოში გავრცელებული იმპერიული არამეული, ან მისგან წარმოქმნილი რომელიმე საშუალო-ირანული ენა? ამ ნაჩქარევ „დასკვნის" გაკეთებისაგან გ. წერეთელმა თავი შეიკავა, როგორც ჭეშმარიტმა მეცნიერმა და სპეციალისტმა სიბრძნე გამოიჩინა და ნამდვილი მეცნიერული კეთილსინდისიერება. მისი ეს საქციელი სრულიად გამართლებული იყო, რადგან არც ბილინგვის არამეული ვერსია და არც ერთენოვანი ე. წ. № 1 წარწერა არ იძლეოდნენ საშუალებას, პირველი ტექსტის სიმცირისა და მეორეს დაზიანების გამო, მათში ამოცნობილიყო უეჭველად ქართული ენა, რომელსაც ასეთი სახოებით მოელოდა ყველა განათლებული ქართველი. შემდეგდროინდელმა აღმოჩენებმა, ჯერჯერობით, ისევ ღიად დატოვეს ამ წარწერათა ენის საკითხი და ეხეც სავსებით გამართლებულია, რამდენადაც ისინი კიდევ უფრო მცირე მოცულობისა არიან და ამ თვალსაზრისით მათი ღირებულებაც ნაკლებია. მაგრამ მათი რაოდენობა იმედს გვაძლევს, რომ სიმართლე უეჭველად გაირკვევა. ღმერთი იყოს ჩვენი შემწე! და ამაში მაინც გაგვიმართლოს...

ბოლოს არ შეიძლება არ ვახსენოთ ის დიდი საზარელი ტრაგედია, რომლის გადატანა მოუხდათ კოტე წერეთელსა და მის ერთგულ მეუღლეს ქალბატონ ლეილას. ყველას გვახსოვს თუ როგორ დაიღუპა მათი ერთადერთი ვაჟი—ახალგაზრდა, უნიჭიერესი და უეჭველად დიდი მომავლის მქონე შემოქმედი-მხატვარი სოსო წერეთელი, თავისი ასეთივე ახალგაზრდა იმედის მომცემი მეგობრებით. განა უფლება ჰქონდა საქართველოს მთავრობას ასეთი ულმობელი განაჩენის გამოტანისა მათ მიმართ, რაც უნდა დიდი ყოფილიყო მათი „ცოდვები?". მათი მიზანი ხომ ბანდიტიზმი და კაცის კვლა არ იყო, ისინი შეეცადნენ მხოლოდ გაქცეოდნენ ამ ჩვენს გაუსაძლის, ულმობელ საბჭოთა სინამდვილეს, რომელიც მათი ლაღი შემოქმედი ბუნებისათვის ნამდვილი საპყრობილე იყო, მათ არ ჰქონდათ პირადად თმენის ის მონური გამოცდილება, რაც მათმა მშობლებმა შეიძინეს სტალინიზმისა და ბერიას ჯურღმულებში და შემდგომ. ისინი დაიბნენ, აღარ სწამდათ მარქსიზმი და ვერც რელიგიას და ქრისტიანობას, შეეთვისნენ ასე უცებ... და მწამს ფეხზე დადგებოდა მთელი საქართველო მათ გადასარჩენად და ასე უნუგეშოდ არ დასტოვებდა თავის ბედკრულ შვილებს, თავის შვილმოკლულ დედებსა და მამებს, რომელთა რიცხვი დღეს ასე მრავლდება, რომ არა ეს ყბადაღებული საბჭოთა ინტერნაციონალიზმი და ცრუ ძმობა-ერთობა ერთის მიერ დამონებული ერებისა... და სწორედ აქ გამოჩნდა ბატონი კოტეს ნამდვილი ვაჟკაცური, გმირული, ნამდვილი ქართული ხასიათი, მისაბაძი დღევანდელი საქართველოს მოქალაქეებისათვის. იმ საზარელი ტრაგედიის შემდეგაც, რომელსაც ერთადერთი მემკვიდრის დაკარგვა მოჰყვა, არ გატყდა და თავს არ უღალატა, შეძლო დაიმსახუროს ღრმა თანაგრძნობა და სიყვარული გარშემომყოფთა იმით, რომ ის დიდი სიყვარული, რომელიც საკუთარი მემკვიდრისათვის ჰქონდა გულის გულში შემონახული, გაუნაწილა შენს სულიერ შვილებს, შენს მოწაფეებს, აღზარდო ისინი, როგორც საკუთარი ეს ძალიან ცოტას და ძალიან კეთილშობილ ადამიანებს შეუძლიათ, უმრავლესობას ასე დიდი მწუხარება მხოლოდ აბოროტებს. ამისთვის უნდა უყვარდეს ის ყველა ქართველს, რადგან ქრისტიანული მოძღვრებისა და ყველა რელიგიის მიხედვითაც, მოყვასისათვის თავის დადება უმაღლესი სახეა გმირობისა. ამავე დროს, ეს პატივისცემაა გარდასულთა სულებისა და დარჩენილთა ერთადერთი ნუგეში.

ჩვენი აკადემიის პრეზიდენტმა ამას წინათ კოტე წერეთელს 70-ის მაგიერ 100 წლისთავი მიულოცა, გამართლებულიყოს ეს უნებური შეცდომა, აგვსრულებოდეს, თქვენს პირს შაქარი, ბატონო ალბერტ! და ჩვენ ყველანი დავესწრებოდეთ კონსტანტინე წერეთლის დიდი ზეიმით აღნიშნულ 100 წლის იუბილეს თავისუფალ და ბედნიერ საქართველოში, ამინ!

**მზია ანდრონიკაშვილი**

# ჯონჯი დადიანი

(ერთი მივიწყებული მამულიშვილი)

**აგული დადიანი**



ჯონჯი დადიანი და გვანჯი ჩიქოვანი

მერე. ბატონ ილიკოს დავურეკე. შევთანხმდით და მეორე დღეს კულტურის მინისტრის პირველ მოადგილესთან ვლადიმერ ჭიაურელთან მივედით ჩვენს ფოტოკორესპონდენტთან ერთად. გადავიღეთ საათის გადაცემის ცერემონიალი. ჩავიბარე საათი, ავხადე სახურავი და დავინახე ჩემთვის ნაცნობი გერბი ანდრია დადიანისა: ორ საჭადრაკო ცხენზე დაყრდნობილი გვირგვინი. საათი ყველა ნათესავს ვაჩვენე და შემდეგ ზუგდიდში გავემგზავრე.

ბიძაჩემს საათის ჩაბარების სურათი და „ზარია ვოსტოკიდან“ ამოჭრილი წერილი გავუგზავნე.

ძლიერ ესიამოვნა ბიძაჩემს. „ახლა კიდევ მაქვს სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის ხმალ-ხანჯალი. ისიც მინდა გამოვაგზავნო. მაგრამ სჯობს შენ ჩამოხვიდე (?!) და წაიღო“. თანაც მომწერა მარშრუტი, როგორ გავფრენილიყავი: „ჩაჯექი თვითმფრინავში და ჩამოდი მოსკოვში. იქ აიღე ბილეთი მოსკოვი-ქალაქი მაიამი-ბიჩი. ასე სჯობია, პალმ-ბიჩიდან ასი „მაილია“, ჩამოხვალ, დაგიხვდები ჩემი „ბიუკით“ და წაგიყვან სახლში. (რა ადვილად გადაწყვიტა მაშინ ჩემი წასვლა-წამოსვლა ბიძაჩემმა!)

ბიძაჩემის პირველი ქორწინება კუბელ პლანტატორთან ტრაგიკულად დამთავრდა. რაც დრო გადიოდა ფრიად შევიწროვდა ჯონჯი ფინანსების მხრივ. ახლა მას კაპიკის დახარჯვა არ შეეძლო ცოლის სანქციის გარეშე. ყოველი მისი „ფინანსიური საჭიროება“ უმკაცრეს აღრიცხვაზე იყო აყვანილი. ჯონჯიმ მოისურვა საკუთარი პლანტაციების ქონება ანდა მასთან კომპანიონად შესვლა, მეურნეობის წარმოება. სასტიკი უარი მიიღო. შეიძლება ამის ბრალი ისიც იყო, რომ მათ „ბოვშვი არ ყავდა“. გამამწარა ცოლმაო. რა მექნა აღარ ვიცოდიო, მწერდა იგი, ბოლოს ავად გახდა და იმის საშუალებაც არ მქონდა, რომ ექიმი მომეყვანა, ან ნიუ-იორკში წამეყვანა. მისი განკარგულებით მე გამომთიშეს სუყველაფრიდან. მასზე მხოლოდ მისი ნათესავები, პირადი ექიმი და იურისტი ზრუნავდნენ. შემდეგ მისი ავადმყოფობა უფრო გაუარესდა, აღმოუჩინეს თავის ტვინის სიმსივნე და 1935 წელს გარდაიცვალა.

ჯონჯი დადიანმა მეუღლის ვალი მოიხადა, დაკრძალვის შემდეგ აიკრიფა ბარგი-ბარხანა და ნიუ-იორკში ჩავიდა, ნაცნობ-მეგობრები ნახა და კარგა ხნის ძებნის შემდეგ ვიღაც მილიონერთან დაიწყო მუშაობა. ჯერ „მხოლოდ ვწმენდდი ცხენებს“. მერე რომ დაინახა კარგი ცხენოსანი ვიყავი და ცოდნაც მქონდა, ცხენებს ვავარჯიშებდი. ერთხელ ორი გადარეული ულაყი მოიყვანეს. ისინი უნდა გაეხედნათ და სპეციალურად კოვბოების მოწვევა განიზრახა. ჯონჯიმ უთხრა, — მე გავხედნი, რა დიდი რამე ეგ არისო. ჯერ ერთი ულაყი გამოიყვანა, მოეფერა, თვალებზე ხელი მოუსვა, მერე ყურები „დოუზილე ძაან, უყვარდათ ცხენებს მაგი“. დააწყნარა ცხენი და მოულოდნელად ზურგზე მოექცა. ცხენი ჯერ გაჩერდა, შემდეგ „მოიმართა“ ე. ი. ყალყზე შედგა, ყველაფრის უფლება მივეცი, არაფერი „დოუშალე ალვირით“. შემდეგ გაჭენდა. ტერიტორია დიდი იყო. მოკლედ, ორ-სამ საათში ბედაურს უკვე უნაგირი ედგა. ასევე გახედნა მეორეც. შეფს მეტად ესიამოვნა ეს ამბავი და ჯონჯის მისცა ის ფული რაც კოვბოებისთვის უნდა მიეცა. საჯინიბოს უფროსის მოადგილედ დანიშნა და წინადადება მისცა მიეღო მონაწილეობა ცხენოსანთა შეჯიბრებაში მედისონ სკვერ გარდენში, მოყვარულთა შორის. ჯონჯი უყოყმანოდ დაეთანხმა, მხოლოდ დრო თხოვა. დასტურიც მიიღო. ცხენები კი, იცოცხლე, აქ იყო არაბული თუ ინგლისური, ორლოვის თუ ახალთექური, ყაბარდოული თუ სხვა ჯიშების ბედაურები. ბოლოს შეარჩია მაღალი, დიდი, ულამაზესი ინგლისური ცხენი და დაიწყო ვარჯიში. „დღე და ღამე ერთად ვიყავით, — ჩვენ ერთმანეთს უნდა შევჩვეოდით, გაგვეგო“.

დადგა ჯონჯის დებიუტის დღე. „მართალია ჩემს შეფს ჩემი დიდი იმედი არა ჰქონდა, მარა მაინც მქომაგობდა, ცხენი მისი იყო, აბა რავა“. სტარტზე განლაგდნენ. ჯონჯიმ სპორტსმენ ქალს მოკრა თვალი, მისი ცხენი ძლიერ მოეწონა. ეს იყო და ეს...

სტარტი აიღეს. ჯონჯიმ მომლოდინე ტაქტიკა აირჩია. ცხენი წინ გავარდნას ლამობდა. დაიოკა. მისმა გამოცდილმა თვალმა შეამჩნია, რომ დოლი „ენდშპილში“ გადავიდა. ზოგ ცხენს დაღლა შეეტყო. მის ბედაურს — არაფერი ამის მსგავსი. ცხენს სადავე მიუშვა და რამდენიმე მხედარი ჩამოიტოვა, დაწინაურდა. უკანასკნელი სპორტსმენი, რომელსაც გაუსწრო, ის ქალი იყო. უკან მიიხედა და შეცბა. ლამაზ ქალს საშინელი მწუხარება ეხატა სახეზე და ცრემლებიც შეამჩნია. ტრაგედია იყო მისთვის ჩამორჩენა...

მერე ის იყო ალვირს ნელ-ნელა მოსწურა, „ქალი დამეწია და ზედ ფინიშთან „გადამასწრო“.

„შეიქმნა ერთი წიოკი, დამესხივნენ გაზეთები. ყველამ შეამჩნია ჩემი საქციელი, აფიორა გააკეთესო, მოულოდნელად ჩემი „ხაზეინიც“ გაბრაზდა. თუ იმარჯვებდი, რატომ დათმეო. მერე გაზეთები ჩამაცივდნენ, ასე რატომ ქენიო. არაფერი არ მიქნია. ვქენი ის, რომ ქალს გზა დავუთმე, ეს კაცების ვალია“.

ყველა გაოცდა ამ საქციელზე. აიძულეს ეთქვა ვინ იყო, საიდან, „როცა კარტი გავხსენი“, ტაში დამიკრეს. დიდი წერილი დაწერეს“.

ამის შემდეგ ჯონჯი საკმაოდ პოპულარული სპორტსმენი გახდა. მის ცხენს კი სამშობლოში დატოვებული ყაბარდოული ცხენის სახელი დაარქვა — „ალია“.

გავიდა რამდენიმე ხანი და ჯონჯი მეორე ნიუ-იორკელმა მდიდარმა „მილიონერ-მილიარდელმა“ ფილიპ პლენტიმ მიიწვია და მისი საჯინიბოს მენეჯერობა შესთავაზა („აქაც გადასარევი ცხენები იყო“). პირობებიც შესანიშნავი იყო, თითქმის ორმაგი ხელფასი. დათანხმდა.

რამდენიმე დღის შემდეგ თავლაში ის ქალი ნახა, ვისაც რბოლა დაუთმო. მეტად მოეწონა მისი არისტოკრატიული ბუნება, სილამაზე, აღნაგობა, არაჩვეულებრივი სილაღე და თავისუფლება. შემდეგ... დიდი ხანი არ დასჭირდა მათ შორის სიყვარულის აფეთქებას.

დიდხანს არ გაგრძელებულა „შორით ალვა, შორით დაგვა“. მილიარდელ ფილიპ პლენტს გაეყარა მისი ძვირფასი მეუღლე ედნა. გაზეთებმა ერთი ამბავი ატეხეს, სენსაციად იქცა. „აღარ გვასვენებდნენ გაზეთები და 1938 წელს, ახალი წლის წინა ღამეს ჩუმად ჩავჯექით გემში და წავედით საფრანგეთში. კანში, იქ სახლი დავიქირავეთ და ვცხოვრობდით არხეინად. ამ დროს „მოვიდა ომი“, როგორც იცი...

... და კაცი, რომელიც არხეინად ცხოვრობს მის ახლად ჯვარდაწერილ მეუღლესთან, თავისი წინაპრების სახელოვან გზას გაჰყვება. მასში იღვიძებს რაინდის, თავისუფლებისმოყვარე ვაჟკაცის სისხლი. ახლად ჯვარდაწერილ ცოლს ეთხოვება და, აი, ერთი ადგილი მისი წერილიდან (რა უბრალოდ წყვეტს საკითხს): „ედნა გავამგზავრე ამერიკაში. მე დავრჩი. მინდოდა მოხალისედ საფრანგეთის ჯარში. ნაპომ (ნაპოლეონ მიურატი, ჯონჯის ბაბუდის სალომესა და აშილ მიურატის შვილი. მამამისი ოჯახითურთ სამეგრელოში, სოფელ სალხინოში ცხოვრობდა. მენშევიკებს გაჰყვა მათი შთამომავლობა) მითხრა ჩემს ყოფილ პოლკში ჩავეწეროთო „კერასირი“. მაგრამ დამბრაკეს, ბებერი ხარო, გულიც არ გივარგაო. ერთი თვე ვიწვალე, არაფერი გამომივიდა და მერე წავედი ამერიკაში“.

ჰყვება რა შემდეგ მისი ცხოვრების ამბებს, იწერება „მე არ მქონია იმდენი ფული, დამზადებული ფერმა მეყიდა“. იგი ყიდულობს ქვა-ღორღიან „ცელინას“. (ქართულად არ იცის რა ჰქვია) იძენს მძიმე ცხენებს, „მაშინებს“, ტრაქტორს. ქვებს აფეთქებს, ნიადაგს ასუფთავებს. თავად მუშაობს ისე, როგორც ყოველთვის უყვარდა ახალგაზრდობაში. მას ეხმარება ორი რუსი ჯარისკაცი, პირველი მსოფლიო ომის დეზერტირები. აშენებს სახლს, არქმევს „სალხინოს“. ყიდულობს 25 უშობელს. სამი წლის შემდეგ კი ჰყავს 70 „თავი“ სუფთა „ოლსტერის“ ჯიშის ძროხა. დღეში ნახევარ ტონა რძეს წველის. უკვე დაიწყო შემოსავალი და გაიშალა საქმე. ედნა კი სახლს თავის გემოზე აწყობს. მუზეუმს დაამსგავსა. — სურათებით, ხმალ-ხანჯლითა და ძველებური იარაღებით მორთო. და აი, მაშინ მას პირველად ეტკინა ყელი. „ამომიჭრეს ერთი ძაფი“ — ყელის ხმის სიმი. დამრჩა ერთი, ჩამეხლიჩა ხმაც. ერთი თვე იწვა, იგი მეოცდაექვსე კაცი იყო, რომელსაც ეს ოპერაცია ჰქონდა მაშინ ამერიკაში გაკეთებული. მცირე ხნის შემდეგ იკეთებს გულის მანკის ოპერაციას. ესეც ძალიან ძვირი დაჯდა. ჰყიდის თავის „მშვენიერ სახლს“, მანქანებს, შემდეგ ის და მისი ცოლი იქვე, კანზასის შტატში ხსნიან საცხენოსნო სკოლას. ჰყავდა თორმეტი შესანიშნავი ცხენი. შემდეგ იძულებულია და ჰყიდის ცხენებს... ფუცუსადმი მოწერილ წერილში კვლავ უბრუნდება მეუღლე ედნას. „ვიმეორებ: არის თითით საჩვენებელი ქალი, ლამაზი, კოხტა, ენამახვილი, საქმიანი. სახლი როგორ გააკეთა? ვინც მოდიოდა, რუსი, ქართველი ამერიკელი, როგორც პატარა მუზეუმს, ისე ათვალიერებდნენ. ჩვენ გვქონდა სამაგალითო სამკითხველო, ყველა კლასიკოსი, და იშვიათი წიგნები. მან გააკეთებინა საგანგებო ბუხარი პროვანსალურ ყაიდაზე, მისაღები — ფრანგული, სასადილო დიდი, ოთახები სტუმრებისათვის. გარეთ ეზოში ტერასები და ისეთი სამაგალითო ლამაზი გადასახედი, როგორც ახალხიბულიდან. ვიყიდეთ კიდევ სახლი სანტა-ბარბარა კალიფორნიაში. ბევრი სიკეთე გავაკეთეთ იმ უბედური ომის დროს. ეს ძველი, სულ მუდამ გაჭირვებული ემიგრანტები, ზოგი ნათესავი, ზოგი ნაცნობი, ზოგი უცნობი... უგზავნიდით მათ სანოვაგეს და ტანისამოსს. ნემსი და ძაფი, საპონი და პაპიროსი. იხოცებოდა ხალხი. არ ქონდათ ქონი — კალორიები“.*)

არ დაივიწყა მან თავისი თანამებრძოლი სარდიონ კუჭავა. ფერმა უყიდა, დაასახლა. მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა მისი „კაი ცხოვრება“. გარდაიცვალა. დარჩა შვილები. ჯონჯი მათ აკითხავდა, როგორც შვილებს, ისე უვლიდა. კალიფორნიაში სენაკელ კოსტა ხუნწარიას შვილი მოუნათლა, დაეხმარა. ერთი ხორშელი კაცი მოვიდა მასთან, გვარი არ მომწერა. სიხარულით ცას ეწვია. ბოლოს სტუმარმა თავისი გასაჭირი უთხრა: ვერსად მოვიდგი ფეხიო. ჯონჯიმ აიღო გაზეთი და რეკლამებისა და კითხვა-გაყიდვის გვერდს დაუწყო თვალიერება. რაღაც მოინიშნა. შემდეგ ტელეფონით დარეკა. მოურიგდა კიდეც. შეხვედრის დროც დანიშნეს. შემდეგ მეზობელს, თანშეზრდილს, მოკეთეს უთხრა: ნიუ-იორკში „დუქანი გიყიდეო“. კაცი სიხარულით ცას ეწია. ასეთი დუქნები ახლაც არის ნიუ-იორკში. აქ იყიდება წვრილმანი სიგარეტი, სანთებელა, ასპირინი, პირამიდონი, ავტოკალმები და მრავალი სხვა წვრილმანი. იცხოვრე, იმუშავე, მე არაფერი მინდა შენგან, ოღონდ კარგად იყავიო. სწორედ იმ დროებში, როცა მისი ფერმა დიდ შემოსავალს იძლეოდა, მან დრეზდენიდან „გამოიწერა“ ორივე და — ნინო და მარიამი. მარტო ნინოს ოჯახი ჩამოვიდა. ყველა მოაწესრიგა. 1946 წელს კი მარიამი გარდაიცვალა ევროპაში და პარიზში დაკრძალეს.

გავიდა ერთი წელი. „მომადგა ის კაცი გაუბედურებული, შერცხვენილი, მომიყვა კარგად ვიყავით. ერთხელ ლას-ვეგასში წავედი და ყველაფერი წავაგეო. გავგიჟდი კაცი, კინაღამ გავლახეო. ურა დადიანობა არ დამიწყო ამ რეგვენმაო. მივეცი ფული და ვუთხარი: გინდა პარიზში წადი, გინდა, აქ დარჩი, მხოლოდ მე არ დამენახოო. მერე აღარ მოსულა ჩემთან. მარა შეურცხვა ცხვირი, დაიწყო ჭორიკანობა ჩემზე, ჩემს ცოლზე, არაფერი გამიკეთესო, მაგრამ არავინ დაუჯერა. კინაღამ გალახეო“.

ერთ წერილში, როცა კიდევ მოიკითხა ნათესავ-მეგობრები, დედაჩემს მოსწერა: მონასტერში თუ არის ვინმეო?

ეს მონასტერი, ჯონჯი რომ კითხულობს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თეკლათის მონასტერია, სენაკთან ახლოს. თეკლათის მთაზეა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში აგებული. მეტად ლამაზი ხატყიანი ადგილია. მონასტრის საყდრიდან იშლება მეტად შთამბეჭდავი კოლხეთის დაბლობი, რომელიც დიდებულ ალაზნის ველს მოგვაგონებს ქალაქ სიღნაღიდან.

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ჯონჯის დედამ დასტოვა ამაო სოფელი და მონაზვნად აღიკვეცა ამ მონასტერში. შემდეგ იგი წინამძღვრად აირჩიეს, აქ ცხოვრობდა ასზე მეტი მონაზონი. ოვალურად იყო განლაგებული პატარა სახლები და მათ რკალს წმინდა ბარბარეს ეკლესია ჰკრავდა. მონასტერში ხშირად დავყავდით ბებიას. აქ მშვენიერი ჰაერი იყო. ბებიას პატარა სახლი ედგა. წელს ვიყავი მონასტერში. ის პატარა სახლი ისევ დგას. მას უვლის ძაკუ და ანაპოს დის შვილი. კაცი ფრიად მორწმუნე. ახლა აქ სულ რამდენიმე მორწმუნეა.

„პაუ, შენ მეკითხებოდი ქეთო მიქელაძეზე: ის დარჩა ედნას ერთგული. უწინ სულ ჩხუბობდნენ. მე ვარიგებდი. ახლა კი დიდი მეგობრები არიან. თამარა ერისთავი, მერი ბიცოლა (მერი შერვაშიძე?) ვნახე პარიზში, ძალიან მოხუცებულია. კატია დადეშქელიანი მოხუცთა თავშესაფარშია და იქ ყველა ძაან კარგად ცხოვრობს“. აქ, შტატებში, ქართველები ცოტანი დავრჩით, გაბნეულად ვცხოვრობთ. მაგალითად, პალმ-ბიჩიდან 50 „მალზე“ ცხოვრობს პროფესორი ბიოლოგი პავლე კვარაცხელია თავისი მეუღლით თამარ ჯორჯიკიასთან. ხანდისხან ვხვდებით. მათთან მივდივარ მთელი დღით. შევექცევით ლომსა და საცივს.

როგორც მწერალმა ლევან ხაინდრავამ მითხრა, — პავლე კვარაცხელია ცხოვრობდა ხარბინის ქართველთა კოლონიაში, და მამამისმა, როგორც ნიჭიერი სასწავლებლად ამერიკაში გაგზავნა. მწერლის მამა ივლიანე ხაინდრავა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საერთოდ ხარბინში. იყო ხეტყის მრეწველი და დიდ ქველმოქმედებას ეწეოდა ქართველებს შორის. მოკლედ, იქაური სარაჯიშვილი იყო“.

„გამოწერილი მაქვს სამი გაზეთი, „ლიტერატურული საქართველო“, „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“. ქართულ წიგნებს ვშოულობ ან ვიწერ სან-ფრანცისკოდან, ვაშინგტონიდან, ნიუ-იორკიდან. სადაც ყველა ერის წიგნები იყიდება. შემდეგ წერილში ჯონჯი იხსენებს, თუ როგორ მოიტაცა დედაჩემი პაუსია დგებუაძე მამაჩემმა. როგორ ჩამოიყვანა ხონიდან (ქუთაისიდან ხონამდე ეტლით დადიოდნენ) მანცხვარკარში მოკლე გზით. კორტეჟს მიუძღვოდა ხორშელი აზნაური და მამის მეგობარი ლადი კუბეცია, რომელიც ცნობილი იყო გზების ცოდნით მთელ იმ კუთხეში. და როგორ დაწერეს ჯვარი მანცხვარკარის ეკლესიაში, რომელიც მთავრის ძმის გრიგოლის სამყოფელ სოფელში „გრიგოლიშის“ ახლოს იყო. შემდეგ კი ლადი კუბეციას ვაჟი ტატაში ჩვენი სიძე გახდა.

„წერილები ერთად ერთ სიხა-

(დასასრული მე-14 გვ.)

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო“ № 10.

*) როგორც პროფესორ გურამ შარაძის სტატიიდან შევიტყვე ლევან (ჯონჯი) დადიანი აქტიურად მონაწილეობდა ამერიკაში მცხოვრებ ქართველთა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ საქმიანობაში, საკმაო თანხას სწირავდა მის საქმიანობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

რულად დამრჩენია ჩემი „ჯარი“ ოჯახიდან.

ჯონჯი — გუგულის:

„ჩვენ ვმეგობრობდით შუა დასავლეთის შტატების გაზეთის მაგნატის ენთონის ოჯახთან (ჯონჯის ფერმაც იქ იყო კანზასის შტატში). ამ დიდი მაგნატის ქალიშვილი ელ და მისი ძმა ხშირი სტუმარი იყო ჩვენი. კიდო ჩემი საყვარელი მეგობარი დიდი კინო არტისტი კლარკ გაიბლი. ერთი კამპანია ვიყავით.

და მოხდა ის, რასაც არავინ არ მოელოდა: ჯონჯი გაეყარა მის საყვარელ ცოლს, ედნას. გაყრის მიზეზი არც მან მოიწერა და არც მისმა დამ, ჩაქურიამ. ეს საიდუმლოდ დარჩა. ვფიქრობ, ედნას სიყვარული მან დიდხანს ვერ მოინელა...

„როცა ედნას გავეყარე და წავიდა ჩემს გამოცარიელებული სახლიდან, მე ქუჩაში არ გამოვდიოდი. მაგრამ და-ძმა არ მტოვებდა, არ მივიწყებდა. ელ სულ სხვა ქალია — დინჯი, ნამდვილი არისტოკრატის შთამომავლობით, ნამდვილი ქალბატონი... დავიწერეთ ჯვარი. ჩემდა სავალალოდ არც მასთან მეყოლა შვილი. მოვშორდით იჭაურობას და კალიფორნიაში გადავედი საცხოვრებლად. დავსახლდით ქალაქ პალმ-ბიჩში. ჩვენი ვილა კენედების ვილის პირდაპირაა.

დავიწყეთ უკეთესი ცხოვრება, ისეთი როგორც მინდოდა. არაფერზე საზრუნავი აღარ გვქონდა. ზაფხულობით აქ ცხელა და დავდივართ ჰავაის კუნძულებზე, ევროპაში — კანში ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე, ახლა კანში ვართ. შემდეგ იტალიაში წავალთ. იქ ალბათ, დიდხანს დავრჩები. რა მომაშორებს „იქაურ ხელოვნებას“.

ჯონჯი — ფუცუს: „... აქ ახლა სურათებით ვცხოვრობ, სიზმარში სულ მანდა ვარ. სულ მესიზმრება ძმები, კოკი, ჯუგუ, ჩემი დავითი (ფულარია — ფუცუს მეუღლე), პაუსია. ძვირფასი ბიძია დავით დგებუაძე (პაუსიას მამა), მამაჩემი, დედა, ჩვენი გამზრდელები და ერთგულესი მსახურნი — ბეგო, იულო, აკაკი. არ იქნა ვერც შენ განახე და ვერც გვანჯი ჩიქოვანი. მოგეხვევი და დაგიკოცნი ხელებს შენ და ჩემს საყვარელ პაუს“.

მეორე წერილში: „ფუცუ და პაუ! ჩაქურიასთან და ბავშვებთან ერთი კვირა დავრჩი. ვისიამოვნე. ფუცუ! შენი მოგონებები წავიკითხე იმ დღესვე, სულმოუთქმელად. ბევრი ცრემლი ვიწურე თვალებიდან. მერე და მერეც გადავავლებ თვალს, ისევ ავიღებ, ისევ ვკითხულობ, „ოქროს ბეჭედი“ როდის გამოვა რუსულად (ჯონჯი ვერ მოესწრო). ჩემი გუგულის წერილი შენს მოგონებებში დევს, თან დამაქვს, ხშირად გადავიკითხავ, ასეთი გულიდან ამოხეთქილი გრძნობები და სიტყვები ჯერ არ წამიკითხავს წერილებში. გუგული, გენაცვალე! შენი წერილები არის ჩემთვის განძი. შენ ხშირად ხარ ჩემთან, — თითქოს აქ ზიხარ ჩემთან ავტომობილში, გესაუბრები. გეფერები როგორც პატარაობისას, გკოცნი, გულში გიხუტებ, რა დიდი ქალი, პიროვნება გაზრდილხარ! რა მდგომარეობაშია პაუსიას რომანი! (პაუსიას აქვს დაწერილი რომანი ნინო ჰავჰავაძის ცხოვრებაზე, მაგრამ...).

ძალიან გამეხარდა დემნა შენგელაიას წიგნის ნახვა. ძალზე კარგია, ნეტავ თუ ვახსოვართ (დემნა: — აპუ! რა ვაჟკაცი და სილამაზის პატრონი იყო, რა დიდებული მოჯირითე და მეგობარი!). წავიკითხე ბონდო კეშელავას ლექსები, ძაან მომეწონა. განსაკუთრებით „რად ვერ გივიწყებ“ ძალიან გავს ედნასა და ჩემს ამბავს. რომ შემეძლოს, მოვიპარავდი“.

ჯონჯი ისევ უბრუნდება თავის საყვარელ ხორშს, იხსენებს ახლო მეზობლებს, მოკეთეებს. ძაძუ და ფუხული ნარიკიებს, აკაკი და ცექვე ძიძავებს, იმ კუთხის ულამაზეს ქალებს — ქაჩასა და ჩაჭას და სხვებს.

ჩვენ ბავშვებს განსაკუთრებით გვიყვარდა ბიძია ჯონჯი. ჯოგოია ბიძიას ვეძახდით. ის გვანებივრებდა, შინ მობრუნებული ისე არ მოვიდოდა, რაიმე სამსუნაგო არ მოეტანა ჩვენთვის. უყვარდა ჩვენთან თამაში.

ჩვენ ოთხნი უკვე გამზრდელებიდან მოყვანილნი ვიყავით: მე, ჩემი და გუგული, ბიძია კოკის ქალიშვილები ჩიქვი და ქვათა. ოთხივეს აგვიყვანდა ხელში და გვატარებდა. ანდა თითოეულს მეტად მაღლა აგვისვრიდა და იყო შიშნარევი სიხარულით წივილ-კივილი. ანდა დედაჩემის ბაჩა (თვინიერი) ცხენზე შეგვსვამდა ოთხივეს ერთად და ეზოში გვატარებდა. კაკლის ძირში ნოხს ან ნაბადს გაგვიშლიდა, დაგვსხამდა, ხან თვლას გვასწავლიდა, ხან ლექსებს, ხან ვკენჭაობდით. მას არაჩვეულებრივი ჩვილი გული ჰქონდა, ადამიანური. იგი ყველას მოყვარული იყო, ვისაც კი გაიცნობდა, ყველა მისი მეგობარი ხდებოდა. ჩვენ მას მოსვენებას არ ვაძლევდით, ყველგან უკან დავსდევდით. ის არასოდეს გაგვიწყრებოდა. ისვენებდა მაშინ, როცა ჩვენ შუადღეს დაგვაძინებდა. ამიტომ არ არის საკვირველი, რომ ჩვენ ოთხივეს — ხუთი-ექვსი წლის ბავშვებს გვახსოვდეს საყვარელი ბიძა. აქ აუცილებლად ჩვენ დაგვეხმარა ჩვენი არაჩვეულებრივი მეხსიერება.

„რამდენ ხანს შეიძლება იცოცხლოს ჩემსავით ნაწვალებმა კაცმა, რომელსაც ხუთი მძიმე ოპერაცია აქვს გადატანილი და ჩვიდმეტი წლის დაუზოგავი შრომა აქვს გაწეული თავის ფერმაში?! ჩემი უზარმაზარი ენერგიის ფიზიკური შრომით — ჯანის სამი მეოთხედი ალბათ იქ დავტოვემწერდა ბიძაჩემი. „ახლა მაქვს ისეთი ცხოვრება, როგორიც მინდა. მყავს ექიმი, ვინც ჩემს ჯანმრთელობას თვალ-ყურს ადევნებს. „ძალიან მომემატა სიმძიმე“ ეხე იგი გასუქდა, „ვცდილობ მოვიკლო სიმძიმე“. აკრძალული მაქვს დიდხანს მანქანის მართვა და ჩქარი სიარული, რაც ძალიან მიყვარს. ღვინის დალევა? შენს თავს ვფიცავ, ლამის წვეთ-წვეთობით.

„ჩემი ჩამოსვლა? — წერს იგი ერთ წერილში ჩემს დას გუგულის, — არ შეიძლება. რომ ჩამოვიდე, დამიწყებენ გამოძახებას ხან აქ, ხან იქ, დაიწყება დაკითხვები. ამას ვერ გაუძლებ! ჩემი დოსიე ალბათ ახლაც ინახება მაქოურ სამინისტროში და პასუხს მომთხოვენ ჩემს საქციელზე.

როგორმე მოახერხეთ და ქართული მიწა გამომიგზავნეთ. მამიჩემის, ან კოკის, ან დედის საფლავიდან აღებული“.

ერთ კვირაში მიწა თბილისში მქონდა: მონასტრიდან მიწა ჩემმა დამ გუგულიმ ჩამოიტანა, ხორშიდან კოკის უნახავმა ვაჟიშვილმა გოჯომ (დაიბადა კოკის მკვლელობის შემდეგ) და მისმა სიძემ ქვათას ქმარმა მიშა ქურდოვანიძემ.

ვერაფრით ვერ გავგზავნეთ... მიწა.., ქართული... იმ კაცის სურვილი ვერ შევასრულეთ...

მცირე ხნის შემდეგ პაუსიას მოსწერა წერილი და მას ეს ლექსი წაუმძღვარა:

სამშობლოდან გადამკარგეს,
გული დამაქვს დარდიანი,
მაშ სიკვდილო მოდი ჩემთან,
მე ვარ ჯონჯი დადიანი.

ჩემო ძვირფასო პაუ! ვიცი ეს ლექსი სუსტია. არც მამიჩემის ნაწერს ჰგავს, არც ჯუგუს, არც შენსას და მითუმეტეს ფუცუსას, მაგრამ მომაწვა სევდა გულზე, ნეტავი ერთი თქვენი თავი მანახა“.

„ძვირფასო ფუცუ! ნეტავ მალირსა შენთან საუბარი, ხანდისხან ესე იგი, უფრო ხშირად მომწერე წერილი. გწერდით, რომ ახლა ამ წერილებით ვცხოვრობ. შენი მოგონებებიდან რამდენიმე გვერდი ხელით გადავწერე, მინდა არ დაიკარგოს ჩემს მერე. ხშირად გადავშლი „ოქროს ბეჭედს“, ვიხსენებ ბებია მაიას. მუხლებზე დამისვამდა, მეფერებოდა, ვუყვარდი. მთელი ქვეყანა დავიარე, ვის სასახლეში არ ვყოფილვარ, ვარშავაში, პარიზში, შტატებში. მისი ტოლი ქალი მე არ მინახავს. არც ერთი დედოფალი, ძველი თუ ახალი ვერ შეედრება მის დიდბუნებოვნებას, კდემამოსილებას, დიდებულ იერს...“

ყველაფერს, რაც კი შემეძლო, მოვუყარე თავი. ბაბას დიდ პორტრეტს, წინაპართა იარაღს, ემიგრანტების გამოტანილს და გაყიდულს. სხვათა შორის ბიძია უჩას ჩამოტანილსაც — ლევან დადიანის ხმალსა და ხანჯალს. ანდრიას საათი უკვე გამოვგზავნე, მადლობელი ვარ აგულის, რომ საათი თავის ადგილზეა. წავიკითხე დეხპინე გელოვანის „ბანოვანი“, მაგრამ ლეჩხუმელ გელოვანებზე ცოტას აპარებს“.

ხშირად მწერდა წერილს მამიდა ნინოს (ჩაქურია) ცხოვრების შესახებ. ერთხელ გვაცნობა, რომ იგი ოჯახიდან წავიდა, მოხუცთა სახლში დაიწყო ცხოვრება. ეს ცნობა ჩვენ ძალიან არ გვესიამოვნა, ვიცით რაა იქაური მოხუცთა თავშესაფარი სახლები. მაგრამ ბიძია წერდა, რომ „იქ ძალიან კარგია, მანქანას როცა უნდა მოითხოვს. აქვთ ძალიან ლამაზად მოწყობილი ოთახები, რადიო. ტელევიზია, ჰყავს მოსამსახურე და ყველაფერი. მე ეხლა სიმშვიდე მინდა, ბავშვების ჟრიამულის ატანა არ შემიძლიაო. ჩემთან ხშირად ჩამოდის, ელს ძალიან უყვარს, გაუგზავნის ბილეთს, დაუხვდება თვითმფრინავს, წამოიყვანს. ძლიერ უყვარს, მოხიბლულია მისი სილამაზით, დაბერდა მარა, მაინც კაი ჩაქურიაა“.

თავად ჯონჯი ხშირად ჩადიოდა ნიუ-იორკში „ბოვშვების“ სანახავად. 1964 წელს, როგორც ყოველთვის, მოიწერა, ნიუ-იორკში მივდივარ. ჩაქუ და ბავშვები მომენატრა, თოვლის ნახვაც მომენატრაო.

წინა წერილებიდან ვიცოდი, რომ იგი არასოდეს ღამეს არ გაათევდა მისი დისშვილის სახლში. „შეწუხდებიან, მეც შევწუხდები, სასტუმროს აპარტამენტში თავისუფლად ვარ“.

ორი-სამი კვირის შემდეგ პალმ-ბიჩში წერილი გავუგზავნე, პასუხი არ მომდია. ერთი თვის მერე დედაჩემმა მისი მულის ჩაქურიას წერილი მიიღო. ჩემი ჯონჯი სასტუმროში გარდაიცვალა, დაწვა და დილით არ ამდგარაო.

იგი დიდი ზარ-ზეიმით დაკრძალეს პალმ-ბიჩის სასაფლაოზე. დაიტირა ყველა ქართველმა, ვინც შეიტყო და ვინც ჩამოსვლა შეძლო.

ასე დამთავრდა უცხო მხარეში ამ კაცის ცხოვრება. მან ათეული წლობით ატარა სამშობლოსა და ნათესავთა სიყვარული, მათი ნახვის წყურვილი.

ვეღარ გაუძლო ავადმყოფობითა და დარდით დაჩეხილმა გულმა ბედის უკუღმართობას.

„მოვიდა ჯონჯი დადიანთან სიკვდილი“.



სურათზე: გამოჩენილი ქართველი მოჰადრაკის ანდრია დადიანის საათის გადაცემისას — ვლადიმერ ჰიაურელი, აგული დადიანი, ილიკო სუხიშვილი.

# ნაბიჯი კონსოლიდაციისაკენ

2 მარტს სოხუმში, კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო ქართულ დრამატულ თეატრში, გაიმართა საქართველოს სახალხო ფრონტის (სსფ) აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილემ ზაურ კვარაცხელიამ.

გამგეობის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ორგანიზაციის თავმჯდომარე პროფესორი შოთა ჯლამაძე. მან აღნიშნა, რომ არსებობის წელიწადნახევრის მანძილზე საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონალურმა ორგანიზაციამ საკმაოდ ბევრი გააკეთა ქართველი მოსახლეობის ინტერესების დასაცავად, საერთოდ, აფხაზეთში პოლიტიკური ვითარების ნორმალიზაციისათვის, ერთა შორის ნამდვილი ურთიერთპატივისცემის აღდგენისათვის.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინაა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს და ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნები. ეს კი რასაკვირველია, მოითხოვს ეროვნული ძალების კონსოლიდაციას. სამწუხაროდ, ჯერჯერობით აფხაზეთში ქართველობა დაქსაქსულია უამრავ პარტიად და საზოგადოებად, მაშინ, როდესაც ხსნა მხოლოდ ერთობაშია. მაგრამ უკვე დაიწყო ეროვნული ძალების კონსოლიდაციის პროცესი, რაც განსაკუთრებით საჭიროა აფხაზეთში. შ. ჯლამაძემ აცნობა კონფერენციას, რომ სსფ აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობაზე განიხილეს და უმრავლესობამ მხარი დაუჭირა აზრს — ფრონტელები შევიდნენ საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული ალორძინების ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალურ ორგანიზაციაში.

კონფერენციის მონაწილეთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა აზრს კონსოლიდაციის შესახებ.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული ალორძინების ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარემ ავთანდილ დავითაიამ. იგი მიესალმა სახალხო ფრონტელების გადაწყვეტილებას და აღნიშნა, რომ მათი მიღება საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული ალორძინების ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალურ ორგანიზაციაში მოხდება ინდივიდუალურად.

კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის გაუქმების შესახებ და წინადადება მისცა თავისი ორგანიზაციის წევრებს ინდივიდუალურად შევიდნენ საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული ალორძინების ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალურ ორგანიზაციაში.

კონფერენციამ დაადგინა სალიკვიდაციო პერიოდი (ერთი თვე), რომლის განმავლობაში სსფ აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობა იზრუნებს ფრონტელების ჰელსინკის კავშირ-ეროვნულ ალორძინებაში ინდივიდუალურ გაწევრიანებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაზე. კონფერენციამ დაადგინა, რომ ამიერიდან ყოველთვიური გაზეთი „ოქროს საწმისი“ გახდეს საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული ალორძინების ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის ბეჭდვითი ორგანო. გაზეთის რედაქტორად დამტკიცდა ჟურნალისტი მარი ულენტი.

თენგიზ პაპაორია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხელოვნების ეკლიანი გზა

1972 წლის შემოდგომაზე ქართული ბალეტის ისტორიის ოცდაათი წლის უკანასკნელი ფურცელი დაიხურა და უნდა დაწყებულიყო მისი ახალი ცხოვრება. გავიხსენოთ თუ როგორ შეხვდა თეატრი საბედისწერო 1972 წლის შემოდგომას, გავიხსენოთ უპრეცედენტო კომპანიის ინსინუაციის პრესაში, ჭორები და ინტრიგები კულისებში, რაც თეატრში ვ. ჭაბუკიანის ბოლო 6-7 წლის მუშაობას თან სდევდა. ის, რაც 1972 წლის ოქტომბერში მოხდა, უდიდესი ქორეოგრაფის წინააღმდეგ მრავალწლიანი ბრძოლის დაგვირგვინება იყო. ეს იყო რესპუბლიკის საზოგადოებრიობის, სრული დეზინფორმაციის გზით მიღწეული, ზნეობრივი დეფორმაციის შედეგი. შეცდომაში შეიყვანეს ის ხალხიც კი, ვინც ხელოვნებისა და ქართული ბალეტის მიღწევებით იყო დაინტერესებული და არა მარტო დაინტერესებული.

როგორი იყო ქართული ბალეტის გზა „ოტელოდან" ჰამლეტამდე"? როგორია შედეგი საბალეტო დასის ბოლო ათწლიანი მუშაობისა, რომელსაც თან სდევდა ჟურნალისტთა და არა მარტო ჟურნალისტთა თავდასხმები.

„ოტელო" მწვერვალია და ქორეოგრაფიის განვითარების განსაზღვრული ისტორიული ეტაპის კლასიკურ დასასრულს წარმოადგენს. ამის დასტურია ის ჯილდოები, რომლებიც სპექტაკლმა მიიღო. რომ არა „ოტელო", არ იქნებოდა „სპარტაკი" დიდ თეატრში, არ იქნებოდა „ჰამლეტი." ამის შესახებ არაერთხელ თქმულა და დაწერილა. ხაზგასმით აღინიშნებოდა ვ. ჭაბუკიანის ტრადიციული ძიებანი, პრინციპები, ცდები, „თემატიკის მნიშვნელობა, მკვეთრი დრამატურგია, რეჟისურის სრულყოფა, მამაკაცის ცეკვის ფენომენი. საბალეტო ხელოვნების შესაძლებლობების საოცარი სიღრმე და სივრცე". ვ. ჭაბუკიანმა დაამკვიდრა მამაკაცის ცეკვა „მთების გულიდან" „ოტელომდე", რამაც მსოფლიო ხელოვნებაში რეფორმა მოახდინა; ტრადიციულ კლასიკურ რეპერტუარსაც კი სახე უცვალა. ეს რეფორმა ვ. ჭაბუკიანმა დიდი ხნით ადრე დაიწყო, როგორც მოცეკვავემ, ხოლო რეფორმის დამკვიდრების შემდეგ, უკვე წარმოდგენილი იყო „დონ კიხოტის", „გედის ტბის", „ბაიადერას", „კორსარის" ძველი სტილით შესრულება. აქ მამაკაცის პარტიები მხოლოდ ბალერინას თანხლებას გულისხმობდა. 1974 წლის გაზაფხულზე ცნობილი იაპონელი მოცეკვავე და „ტოკიო-ბალეტის" დასის ხელმძღვანელი კიტაზარა თავის სტატიაში წერდა: „იმის გასაგებად, რომ ვ. ჭაბუკიანი არა მხოლოდ გამოჩენილი მოცეკვავეა, საკმარისია „ოტელო", სადაც ნათლად ჩანს შემოქმედის მრავალმხრივობა. მე არ ვიცნობ მის ყველა სპექტაკლს, მაგრამ, რაც ვიცი, ისაა, რომ მან კლასიკურ ბალეტში ყოველი მოძრაობა ახლებურად გაიაზრა. ახლა ცეკვავენ ჭაბუკიანის მიხედვით და ავიწყდებათ კიდევაც მისი შემქმნელი".

ვ. ჭაბუკიანის საბალეტო რეფორმა მხოლოდ მამაკაცის ცეკვის პრობლემაზე არ დაიყვანება, ის უკავშირდებოდა საბალეტო პრაქტიკაში ხალხური ხაგმირო სანყისის დამკვიდრებას და კლასიკური და ეროვნული ცეკვის ორგანულ სინთეზს. ყოველივე ამან მიგვიყვანა კიდევ ერთ ნოვატორულ შედეგამდე: პირველად ბალეტის ისტორიაში, კორდებალეტი ხოლოს შესრულების სიმაღლემდე ავიდა და შეასრულა არა დივერტისმენტური ფუნქცია, არამედ ჭეშმარიტად მოცეკვავის როლი. რეფორმამდე კლასიკური ბალეტი ევროპულ ტრადიციებს უკავშირდებოდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვ. ჭაბუკიანი არა მხოლოდ უნიკალური და მდიდარი საბალეტო რეპერტუარის შემქმნელი, არამედ კომპოზიტორთა შთაგონების სულისჩამდგმელია. მისი ახალი სპექტაკლები იდგმებოდა არა უკვე არსებულ მუსიკაზე, არამედ მუსიკაზე, რომელიც ქორეოგრაფიული იდეისა და საცეკვაო პარტიტურის შექმნისას იწერებოდა. კომპოზიტორის ნიჭი და ხელოვანება ზუსტად ამ რთული შემოქმედებითი ამოცანის გადაწყვეტის დროს ვლინდებოდა. შედეგი ყოველთვის გენიალური იყო.

და აი, ნაწილობრივ ითქვა, რაც უნდა თქმულიყო, ნაწილი კი თავის დროს ელოდა, როდესაც სხვადასხვა მხრიდან, სხვადასხვა მოსაზრებებით, საპირისპირო პოზიციაზე მდგომთა ხმები გაისმა. რაც, ერთის მხრივ, მოდერნისტული და ფორმალისტური საწყისების კლასიკასთან შეჯახებას ეხებოდა და, მეორეს მხრივ, საქართველოში „ბალეტის გვერდით მდგომთა", პირადი ამბიციებით შეპყრობილთა გამოცოცხლებას, რომლებსაც ხელოვნების საზოგადოებრივ და მხატვრულ ამოცანებთან კავშირი არ ჰქონდათ. დარტყმა, რომელიც ვ. ჭაბუკიანისათვის უნდა მიეყენებინათ, „ოტელოს" წინააღმდეგ იყო მიმართული. ვ. ჭაბუკიანზე თავდასხმა პირველი არ იყო. გავიხსენოთ, რა წინააღმდეგობები წარმოიშვა „მზე ჭაბუკის" (შემდგომში „მთების გულად" წოდებული) დადგმის პროცესში. სპექტაკლი თბილისში, 1936 წელს უნდა დადგმულიყო. ნაცვლად თბილისისა დაიდგა ლენინგრადში 1938 წელს. ზოგიერთების ინტრიგების წყალობით, ქართული სპექტაკლი სადეკადო რეპერტუარიდან ამოაგდეს (მაყურებელს მხოლოდ ერთი აქტი აჩვენეს) და დეკორაციით დატვირთული მატარებელი უკან დააბრუნეს. ხოლო ვ. ჭაბუკიანი იძულებული გახადეს ლენინგრადში წასულიყო, სადაც 2 წლის შემდეგ „მთების გულის" პრემიერა შედგა და ამით საფუძველი ჩაეყარა ქართულ ეროვნულ კლასიკურ ბალეტს. ერთი წლის შემდეგ ლენინგრადის სცენაზე დაიდგა მეორე სატაპო სპექტაკლიც — ა. კრეინის „ლაურენსია". 1946 წელს ვ. ჭაბუკიანმა აღადგინა და შექმნა ქართული საბალეტო დასი და „სინათლის" პრემიერა მოამზადა. ეს სპექტაკლიც კვლავ, იმავე ძალთა ინტრიგების მეშვეობით, ლამის ჩააგდეს. 1964 წელს მსგავსი რამ განმეორდა, როდესაც ვ. ჭაბუკიანის მიერ ლისტისა და გერშვინის მუსიკაზე ოთხაქტიანი საბალეტო სპექტაკლი „პოემა-ბალეტი" დაიდგა. სპექტაკლი ორგანიზებული კრიტიკული კომპანიის ობიექტი გახდა. საქმე ის იყო, რომ „პოემა-ბალეტის" დამდგმელს სამაგალითოდ „ოტელოს "ახსენებდნენ და მისივე პრინციპებიდან გადახვევაზე მიუთითებდნენ. ეს კამპანია ჯერ არ გაჩუმებულიყო, როდესაც ხელახალი თავდასხმა დაიწყო, ახლა უკვე „ოტელოს" პრინციპების გამო. ბრძოლაში არაერთი არასპეციალისტი და არაერთი ჟურნალისტი ჩაება. მაგალითად, ჟურნალისტ ლ. ჟღენტის მიზანი ისიც კი იყო, რომ დადგმების მონოპოლისტი, ლიბრეტოს თანაავტორი, ფილმის „ქართული ბალეტის ოსტატების" სცენარის თანაავტორი გამხდარიყო. ამის შემდეგ ჟურნალისტმა ვ. ჭაბუკიანის საწინააღმდეგო კამპანია პრესითა და ტელევიზიით გააჩაღა. ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ „გორდასა" და „სინათლის" შემდგომ ვ. ჭაბუკიანისა და მისი საბალეტო დასის გზა — ეს არის დაცემის, დამარცხებისა და უღიმღამობის გზა." ჟურნალისტი ახალ სპექტაკლებს ნაკლებად უჩიოდა. ფაქტი კი ასეთი იყო: ბოლო წლებში 13 პრემიერა შედგა. თეატრის რეპერტუარში იყო ახალი და განახლებული საბალეტო დადგმები.

ეს რაც შეეხება რეპერტუარს. ბალეტმაისტერის პრობლემის შესახებ კი შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში ვ. ჭაბუკიანის რანგისა და მასშტაბის ქორეოგრაფი იშვიათობაა, რომ მისი მსგავსი შემოქმედის გამოჩენის მოთხოვნა, ცოტა არ იყოს, გულუბრყვილობაა.

მომავალზე უკვე მიღწეულიდან გამომდინარე უნდა ვისაუბროთ. ფაქტები ასეთია: ბოლო წლებში არ არსებობდა სეზონი, რომ დასი ახალი კადრებით არ შევსებულიყო და იგი არა მხოლოდ ივსებოდა, არამედ მათ საბალეტო რეპერტუარიდან საპასუხისმგებლო პარტიების შესრულებაც ევალებოდათ. ახალი ძალებით იდგმებოდა სპექტაკლები. ამავე დროს, დიდი ყურადღება ეთმობოდა უფროსი თაობის ხელოვანთა გამოცდილებას. უკვე აღარ ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ ბოლო წლებში მთლიანად განახლდა კორდებალეტის შემადგენლობა. ბოლო 6-7 წლის განმავლობაში ჩვენი ბალეტი ხშირად მიემგზავრებოდა გასტროლებზე საზღვარგარეთ; მონაწილეობდა საერთაშორისო, საკავშირო და რეგიონალურ კონკურსებში და ყველგან ბრწყინვალე წარმატებებს აღწევდა.

ახლა შევეხოთ 60-იან წლებში საბალეტო ხელოვნებაში შექმნილ ატმოსფეროს. რადგან გარდა ჟურნალისტების პიროვნული მცდელობებისა, ქორეოგრაფიაში არსებობდა მიმდინარე ობიექტური პროცესებიც, რაც საბალეტო პრაქტიკაში და კრიტიკაში აირეკლებოდა. 50-იანი წლებისათვის საბჭოთა ქორეოგრაფიამ ომის წინა და შემდგომ პირველ წლებში ქორეოგრაფიული დრამის (ფართო მასშტაბის ქორეოგრაფიული მოძრაობა) შექმნაში დიდ გამარჯვებებს მიაღწია, სადაც საბალეტო ხელოვნების საშუალებით დრამატულ მოქმედებათა ხასიათის ნაირსახეობა და, ამავე დროს, ზოგიერთი კრიზისული ნიშნები გამოვლინდა.

ამასთან, უნდა ითქვას, რომ ეს ნაკლებად ეხებოდა ვ. ჭაბუკიანს.

1957 წელს „ოტელოს" პრემიერით გაიხსნა ახალი ჰორიზონტები საბალეტო ხელოვნებაში. სწორედ ამ გზას გაჰყვა ახალი თაობა. თუმცა უნაყოფო და „ანტისაბალეტო" „დრამბალეტის" უკიდურესობებს თან მოჰყვა საბჭოთა ბალეტის მიღწევების ნიჰილისტური უარყოფის მცდელობები. აქტიურობდა კრიტიკოსთა ჯგუფი და მათი რისხვა თავს დაატყდა არა მარტო რ. ზახაროვს და ლ. ლავროვსკის, არამედ მათ საუკეთესო ქმნილებებს — „ბახჩისარაის შადრევანსა" და „რომეო და ჯულიეტას", ხოლო კრიტიკოსების ერთმა ნაწილმა ვ. ჭაბუკიანზე და „ოტელოზეც" გაილაშქრა. მათი აქტიურობის მთავარი მიზეზი „ხაშიში ტენდენციები" გახლდათ, რომ „ოტელომ", „დემონმა", „შოპენიანამ" და „ბოლერომ" ვერ გაუძლო დროის გამოცდას. მათ, რასაკვირველია, ჯერ არ იცოდნენ, რომ ბალეტი „ოტელო" 1966 წელს პარიზის ცეკვის აკადემიის მთავარ პრიზს, მოგვიანებით ფილმი-ბალეტი „ოტელო" ხორვატიის კინოფესტივალზე „ვერცხლის სირინოზს" და 1974 წელს მილანში ხელოვნების გალერეის პრიზს მიიღებდა.

ჩვენ უკვე მივეჩვიეთ, რომ უარყოფითად განწყობილთა კრიტიკა და შეფასება დიამეტრულად განსხვავდება მაყურებლის, საზოგადოებისა და უდიდეს ავტორიტეტთა აზრისაგან. მიუხედავად იმისა, რომ 60-იანი წლების ქორეოგრაფიაში შექმნილი „კონფლიქტური სიტუაციები" არ იყო მთლიანად დამყარებული ჟურნალისტის კრიტიკულ გამოხდომებზე მოსკოვსა თუ თბილისში, მათ გარკვეულწილად პროვოკაციულ-ფალსიფიკატორული როლი ითამაშეს, რითაც არაჯანსაღი ფონი შექმნეს.

მათგან დამოუკიდებლად 60-იანი წლების საბალეტო ხელოვნებაში ერთგვარი გარდატეხა მოხდა. ბალეტი თავისი გზით ვითარდებოდა და მის ავანგარდულ მოძრაობაში ვ. ჭაბუკიანიც იდგა.

1960 წელს ლენინგრადის სცენაზე ხელმეორედ დაიბადა „ოტელო", რასაც ერთი წლის შემდეგ ი. გრიგოროვიჩის „ლეგენდა სიყვარულზე" და ი. ბელსკის „ლენინგრადის სიმფონია" მოჰყვა. 1957-1959 წლებში ამ ახალგაზრდა ბალეტმაისტერთა დადგმები — „ქვის ყვავილი" და „ოცნების ნაპირი" — არღვევდა „დრამბალეტის" უკიდურესობებს და მათში ვ. ჭაბუკიანის ტრადიციებისა და ფ. ლოპუხოვის საბალეტო ესთეტიკის სინთეზი შეინიშნებოდა. 1960 წელს „ოტელოს" პარტია ვ. ჭაბუკიანმა შეასრულა და შემდგომ იგი ბ. ბრეგვაძეს გადასცა. ჟურნალი „თეატრი" წერდა, რომ „ლენინგრადიდან წასვლის შემდეგ, ვ. ჭაბუკიანმა დატოვა სპექტაკლი, რომლის კეთილსინდისიერი განხსნა სასარგებლო იქნებოდა მათთვის, ვინც არ დაკარგა სწავლის სურვილი."

ლოპუხოვის „ესთეტიკისაკენ" გადაიხარა შედარებით ახალგაზრდა მოწაფე გ. ალექსიძე, რომელიც ი. გრიგოროვიჩისა და ი. ბელსკისაგან განსხვავებით, პირდაპირ ლოპუხოვის დოქტრინას ეყრდნობოდა და სრულ იგნორირებას უკეთებდა 30-70-იანი წლების ბალეტის გამოცდილებას, რაც უშუალოდ ვ. ჭაბუკიანს უკავშირდება. ე. ი. უარყოფდა ყოველივეს, რაც განსაზღვრავდა ქართული ბალეტის სტილსა და მიმართულებას.

მიზანი კი ის იყო, რომ შეცვლილიყო არსებული რეპერტუარი და მომხდარიყო ქართული ეროვნული ბალეტისა და ვ. ჭაბუკიანის, როგორც შემოქმედის ლიკვიდაცია! რათა შემდგომ არ განხორციელებულიყო „ტრადიციულისა" და „ახლის" შერწყმა და ვ. ჭაბუკიანისეული — „გედის ტბის", „მძინარე მზეთუნახავის", „დონ-კიხოტის", „ჟიზელის", „ბაიადერას" — სიღრმისეული გააზრება.

და აი, 1972 წელს, ოქტომბერში, უკანასკნელი სპექტაკლი — „ბაიადერა" ამოაგდეს თეატრის რეპერტუარიდან. მის მაგიერ გ. ალექსიძემ ბუიანოვსკაიას დაავალა „ლანდების სამეფოს" აქტის გადმოტანა ლენინგრადიდან თბილისში, თუმცაღა იძულებული იყო პეტიპასთან ერთად აფიშაზე ვ. ჭაბუკიანის გვარიც მიეთითებინა, რადგან ამ სპექტაკლის მამაკაცის პარტია მისი რედაქტორობით განხორციელდა. ამავე დროს ბუიანოვსკაიამ აღადგინა ფოკინის „შოპენიანა". რატომ? როდესაც არსებობდა ახალი „შოპენიანა", რომლის შესახებაც აღფრთოვანებით აღნიშნავდნენ — „გენიალური ფოკინის შემდეგ ამ რედაქციით ბალეტის ხილვა მხოლოდ დიდ მხატვარსა და შემოქმედს ძალუძს".

ნგრევა საოცარი სისწრაფით მიმდინარეობდა. რეპერტუარიდან ამოიღეს „მძინარე მზეთუნახავი", „ბაიადერა," „შოპენიანა," „ჟიზელი", „გედის ტბა", „დონ კიხოტი", „ჰამლეტი", „განთიადი", „სინათლე"... მაგრამ საჭიროების შემთხვევებში, ვ. ჭაბუკიანის გარეშე, ხშირად და დროებით აღადგენდნენ სპექტაკლს და მისი სახელით სარგებლობდნენ კიდევაც. კომენტარი ზედმეტია!

გ. ალექსიძისა და ბუიანოვსკაიას ერთობლივი ქმედების შესახებ დაიწერა რეცენზიები, რომლებიც გაზეთებმა არ დაბეჭდეს. ყურად არ იღეს ვ. ჭაბუკიანის საპროტესტო განაცხადი — „ბალეტმაისტერის ავტორისეული უფლების დარღვევის" შესახებ.

ახლა კი შევეხოთ იმ საკითხს, თუ როდის და ვისი ხელშეწყობით დაიწყო ქართულმა საბალეტო სკოლამ რღვევა. და არა მარტო სკოლამ, არამედ თეატრის რეპერტუარმაც და როგორ ჩაიხერგა ბალეტის შემოქმედებითი ქორეოგრაფიული აზროვნების წინსვლის გზები.

აღნიშნავდნენ, რომ ვ. ჭაბუკიანი უფლებას არ აძლევს ახალგაზრდა კადრების წინსვლასო. აი, რას წერდა ვ. ჭაბუკიანი 1968 წლის ივლისის „ვეჩერნი ტბილისის" ფურცლებზე: „როგორია ჩემი შემოქმედებითი გეგმები? შემიძლია გიპასუხოთ მხოლოდ მომავალი სეზონის გეგმებზე. დაგისახელოთ ბალეტმაისტერების გვარები, რომლებიც ამ სეზონის სპექტაკლებს განახორციელებენ. მაგრამ მინდა ვთქვა მთავარი, რომ ჩვენს თეატრში წამოიზარდა და მომძლავრდა მთელი პლეადა ახალგაზრდა მოცეკვავეებისა — წამყვანი შემსრულებლებიდან კორდებალეტის მსახიობებამდე. ამ ახალგაზრდებს შეუძლიათ განახორციელონ როგორც კლასიკა, ასევე თანამედროვე ქორეოგრაფია". ვ. ჭაბუკიანის მიერ დასახული ეს და სხვა გეგმები სრულად განხორციელდა.

მაგრამ რატომ არ განხორციელდა გ. ალექსიძის მიერ დასახული გეგმები? ვ. ჭაბუკიანმა არაერთხელ მიმართა ლენინგრადში მყოფ გ. ალექსიძეს პირადი წერილითაც, პრესითაც. რაზეც გ. ალექსიძე პასუხობდა, რომ ის არ იყო მზად, რომ მას სათადარიგოდ შემონახული ჰქონდა მხოლოდ რამდენიმე ქორეოგრაფიული მინიატურა, რომ მას ჯერ არაფერი ჰქონდა სათქმელი, რომ ის მადლიერი იყო მიწვევით, აფასებდა ბატონი ვახტანგის ნდობას და ა. შ.

საოცარია, როგორ მეორდება სიტუაციები საუკუნეთა მოძრაობაში, როდესაც ერთი და იგივე „ბნელი ძალები" მოქმედებენ. ყოველივე, რაც თავს დაატყდა ქართულ ბალეტს და უშუალოდ მის ფუძემდებელ ვ. ჭაბუკიანს, გამეორებაა იმისა, რაც საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში განთქმული რუსული საბალეტო სკოლის შემქმნელსა და ხელმძღვანელს მარიუს პეტიპას შემოქმედებით გზაზე მოხდა. იგივე ინტრიგები, იგივე ჭორები, იგივე შეურაცხყოფა, იგივე ბრალდებები და, ბოლოს, ბრძანება განთავისუფლების შესახებ. აქვე გვინდა გავიხსენოთ ნაწყვეტი სერჟ ლიფარის წერილიდან: „ყველაზე სასწაული ისაა, რომ პეტიპა, რომელიც თავისი ცხოვრების დაისისაკენ მიემართება, იკრებს შემოქმედებით ძალებს და პოულობს ახალ სასიცოცხლო წყაროებს, ახალ საცეკვაო საუნჯეებს. არ ჩერდება მიღწეულზე, განაგრძობს ძიებებს და პოულობს... მისი საუკეთესო სპექტაკლები შეიქმნა მაშინ, როდესაც ის 70-80-90 წლისა იყო". მაგრამ, როდესაც პეტიპა გაათავისუფლეს საიმპერატორო თეატრიდან, ცოტა მოგვიანებით, დირექტორი ინტერვიუერის შეკითხვაზე — თუ „რამ გამოიწვია პეტიპას გადაყენება?" — პასუხობს. „ჩვენ უკვე დიდი ხანია ბალეტმაისტერის გარეშე ვართ, რადგან პეტიპა საკმაოდ ბებერია. ამას გარდა ის არავის აძლევს თავის გვერდით, მით უფრო ახალგაზრდას". ასეთი ჭორებით შემოსეს პეტიპა და გააძევეს თეატრიდან. პეტიპას კი მოუხდა ახსნა-განმარტება იმისა, რომ, მიუხედავად ასაკისა, კვლავ ძალუძს თავდავიწყებით მუშაობა ჭეშმარიტ ხელოვნებაში და არა კაპრიზების სფეროში. ხოლო თავის მემუარებში ახალგაზრდა კადრების თაობაზე პეტიპა წერს: „მათთან მეგობრულ დამოკიდებულებაში ვიყავი. შევქმენი საბალეტო დასი, რომლის შესახებაც საზოგადოება ამბობდა: ეს არის საუკეთესო ბალეტი ევროპაში. ეს იმიტომ, რომ წინ წამოვწიე ახალგაზრდა, ნიჭიერი არტისტების თაობა და არა უნიჭო მოწაფეები, რადგან ყოველთვის ვშრომობდი მხოლოდ ქორეოგრაფიის უდიდესი ხელოვნებისათვის".

ამ წერილს, თამამად შეიძლება ითქვას, ხელს მოაწერდა ბატონი ვახტანგიც, თავისი დროის იმავე სიმაღლის კაცი, რაც იყო პეტიპა საუკუნის დასაწყისში.

და ბოლოს, მოვუსმინოთ თავად ვახტანგ ჭაბუკიანს: „ცეკვა ადამიანს ასწავლის სილამაზეს, სიკეთეს. თუმცა ბოლო დროს ჩვენში ცდილობენ დანერგონ უაზრო და უიდეო სიმახინჯენი ბალეტში, სტილთა აღრევა... მე, როგორც მოცეკვავე და ბალეტმაისტერი, ტრადიციულ გზას განვაგრძობ. რასაკვირველია, თანამედროვე ქორეოგრაფია საბალეტო სპექტაკლების ახალ ფორმებს იძიებს, მაგრამ მათი საძირკველი კლასიკური სკოლაა. თუ ადამიანმა დაამთავრა უმაღლესი საბალეტო სკოლა, არ ნიშნავს იმას, რომ ის უკვე დიდი ქორეოგრაფია. იმისათვის, რომ შექმნა ჭეშმარიტი ნაწარმოები, უნდა გქონდეს შემოქმედებითი ცოდნა. რათა არა მარტო გაითავისო სხვისი შექმნილი, არამედ შექმნა საკუთარი. ზოგიერთები ყოველთვის ზედაპირულად ეკიდებიან, ბრმად ითვისებენ დასავლეთიდან შემოსულ სცენებს..."

„როგორია კაცობრიობის მომავალი ცეკვის კულტურა?

შესაძლოა ცეკვამ მიიღოს ახალი ფორმები, მაგრამ იგი იქნება უფრო მეტად ჰარმონიული, ესთეტური, უფრო მეტად უპასუხებს ადამიანის სულიერ მოთხოვნებს. ვფიქრობ, ის უცილობლად განვითარდება კათარზისის გზით".

**გიორგი მარგველაშვილი**
**ეთერ დუმბაძე**

1978 წ.

**მინაწერი:** ამის შემდეგ წლები გავიდა, და არაფერი შეიცვალა.

* წერილი მხოლოდ ნაწილია ვრცელი ნაშრომისა, რომელიც ვ. ჭაბუკიანის შემოქმედებას და „ხელოვნების ეკლიან გზებს" ეხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „პირველი გავიდა..."



ხვალ იწყება საქართველოს მეორე ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში.

დიდი პოლიტიკური ქვრების ჟამს, ცხადია, ფეხბურთი, საერთოდ სპორტი, ჩრდილში მოექცა და ამ თემაზე საუბარი ბევრს უკვე ანაქრონიზმად მიაჩნია, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ქართული ფეხბურთი, — ახლო წარსულში ჩვენი ეროვნული თვითშეგნების ერთ-ერთი ოფიციალური, იმპერიისაგან „ნებადართული" კატალიზატორი, — ცოცხალია, არსებობს და ვითარდება, რომ იგი კვლავ აერთიანებს სამშობლოსა და სპორტის ერთგულ ადამიანებს, რომლებსაც შესწევთ ძალა ჭეშმარიტების ძნელი გზის გასავლელად.

„სპორტისა და პოლიტიკის ერთმანეთში არევა არ იქნებაო", — გვმოძღვრავდნენ მოსკოველი „ცენტრისტები" შარშან, როცა საქართველოს ფეხბურთმა ზურგი აქცია იმპერიის ჩემპიონატს. დღესაც ამას გვიმეორებენ. მაგრამ, მოგეხსენებათ იმპერიული სიმართლის სინდრომი, ანუ სარჩულიანი ლოგიკა — გადააბრუნეთ მათი ნათქვამი და მიიღებთ სიმართლეს.

დიახ, სინამდვილეში სპორტი მათი პოლიტიკის ერთ-ერთი დასაყრდენია და კარგად უწყიან, რომ მისი გამოცლა სოციალისტური გოდოლის ნგრევას მოასწავებს.

ფაქტია, სპორტის მოსკოველმა ფუნქციონერებმა პოლიტიკურ მარცხად აღიქვეს ჩვენი ფეხბურთის მობრუნება ეროვნული წიაღისაკენ.

ამას წინათ ერთ სატელევიზიო გადაცემაში ცნობილი კომენტატორი ვლადიმირ მასლაჩენკო საბჭოთა ფეხბურთის უკანასკნელ ინკვიზიტორს ვიაჩესლავ კოლოსკოვს ესაუბრებოდა. და, აი, უცებ მასლაჩენკო ეუბნება კოლოსკოვს: **«Итак, первым из Союза вышел футбол...»** ე. ი. საბჭოთა კავშირიდან პირველი ფეხბურთი გავიდაო, და იქვე ახსენა საქართველო და ლიტვა.

ცხადია, ეს არც ენის ლაფსუსია და არც სახუმარო ფრაზა — იმპერიის ქომაგმა გულწრფელად თქვა ის, რაზედაც სინანულით ფიქრობს: ქართველმა და ლიტველმა ფეხბურთელებმა დერჟავის დაშლა დაიწყესო.

ნუთუ ამაზე დიდ კომპლიმენტს მოისმენენ ჩვენგან ჩვენი ფეხბურთელები და ფეხბურთის მესვეურები?

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრინციპულმა გადაწყვეტილებამ, უარი ეთქვა ცენტრისადმი მორჩილებაზე, ბიძგი მისცა სტერეოტიპების მსხვრევას არა მარტო რესპუბლიკის, არამედ „კავშირის" მასშტაბით, ბევრი რამ სულ სხვა კუთხით გამოჩნდა, ბევრი ცრუიდეალი დაემხო ჩვენს თვალწინ.

ერთი შემთხვევა მახსენდება. შარშან, მარტში, ჩვენი ფეხბურთელები პირველი ეროვნული ჩემპიონატისათვის რომ ემზადებოდნენ, ერევანში სსრკ ჩემპიონატის პირველ მატჩში ერთმანეთს ხვდებოდნენ „არარატი" და მოსკოვის „სპარტაკი". მატჩის დაწყების წინ სტადიონზე გამოაცხადეს, პატივი მივაგოთ ბაქოში არეულობის დროს დაღუპულ სომეხთა ხსოვნასო. მთელი სტადიონი ფეხზე წამოდგა და მარჯვენა შემართა. მარჯვენა შემართეს მოედანზე გამწკრივებულმა სომეხმა ფეხბურთელებმაც, მოსკოველები კი მხრებჩამოყრილი იდგნენ და ცივად გაჰყურებდნენ უცხო ტომის ხალხს, რომელიც საკუთარ ტკივილს გლოვობდა. არ ვიცი, მოსკოველებსაც ევალებოდათ თუ არა მარჯვენის შემართვა, მაგრამ იმ წუთში სრულიად აშკარა იყო, რომ ეს რუსი საბჭოთა ახალგაზრდები თავისი ქვეყნის, დიდი დერჟავის მიწაზე კი აღარ იდგნენ, არამედ აღმოჩნდნენ უცხო, უცნობი ადამიანებით დასახლებულ ქვეყანაში, რომელიც მათთვის ისევე შორეული იყო, როგორც არარატის მთაზე გაწოლილი ჰორიზონტი.

გაივლის დრო, თავისუფლების ბრწყინვალება ჩვენსავით სხვებსაც მოხიბლავს და იმპერიის გუგულები თავიანთ ბუდეებს დაუბრუნდებიან. როცა დედამიწის ცოდვილი ერთი მეექვსედი ადამიანურ სახეს მიიღებს და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება, ეგებ ვიღაცას გაახსენდეს ოდესღაც გაგონილი ფრაზა: **«Первым из Союза вышел футбол...»**

ხვალ კი ქართული ფეხბურთი შეუდგება მეორე აღმართს თავისუფლების გზაზე.

მოვიცალოთ ამ დიდი შეჭირვების ჟამს, მივიდეთ სტადიონებზე — თბილისში, ლანჩხუთში, რუსთავში, ქუთაისში, ფოთში, ბათუმში, სოხუმში, ზუგდიდში, ოზურგეთში, გორში — და გავამხნევოთ ჩვენი სპორტსმენები, რომელთა საქმე დღეს უთუოდ უფრო მეტ რაღაცას ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ ფეხბურთის თამაში.

**მიმომხილველი**

---

გამოვიდა წიგნი — „მე იოსებ სტალინი" (I წიგნი).

ავტორ-შემდგენლები წიგნიდან მიღებული ჰონორარის ნაწილს გადარიცხავენ ეროვნული გვარდიის, წყნეთის უპატრონო ბავშვთა სახლის, სარანგის და სამაჩაბლოს ფონდში.

**ავტორ-შემდგენლები**

---

# მეგობრის ხსოვნას



ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას" კოლექტივმა მძიმე დანაკლისი განიცადა: გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ჟურნალისტი, ჟურნალის პუბლიცისტიკის და ნარკვევის განყოფილების რედაქტორი ლილია (ელიზავეტა იოსების ასული) ბრაილოვსკაია.

წავიდა ჩვენგან კარგი პროფესიონალი და ნათელი, სუფთა გულის ადამიანი...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ლილია ერთხანს თანამშრომლობდა რესპუბლიკურ გაზეთ „ზარია ვოსტოკაში", ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას" დაარსების პირველივე წელს რედაქციაში დაიწყო მუშაობა ლიტმუშაკად, აქ მას უხდება შემოქმედებითი ურთიერთობა გამოჩენილ ქართველ მწერლებთან; ახალი სამყარო — ლიტერატურული ჟურნალის ატმოსფერო — ახალი იმპულსებით ამდიდრებს ნიჭიერ ჟურნალისტს. რამოდენიმე ხანში, იგი გადაჰყავთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე — კრიტიკის და პუბლიცისტიკის განყოფილების გამგედ, შემდეგ კი — პუბლიცისტიკის და ნარკვევის განყოფილების გამგედ. ამ თანამდებობაზე ლილია ბრაილოვსკაია მუშაობდა თავის უკანასკნელ დღეებამდე.

ნარკვევების წიგნის და მრავალი სხვადასხვა ხასიათის წერილების ავტორი, ლილია დაუზოგავად ხარჯავდა თავის შემოქმედებით ენერგიას იმისათვის, რათა ჟურნალში რაც შეიძლება მეტი საინტერესო აქტუალური მასალა დაბეჭდილიყო.

დიდი გულისყურით, რუდუნებით და ტაქტით მუშაობდა იგი ავტორებთან, იმის განურჩევლად, გამოჩენილი მწერალი იქნებოდა ის თუ გამოუცდელი ახალბედა.

თავმდაბალი, გულისხმიერი, კეთილმოსურნე და ამავე დროს იუმორით აღსავსე ქალი, ჟურნალისტი და რედაქტორი, ლილია ამავე დროს კიდევ ერთ საპატიო ტვირთს ზიდავდა — იგი გახლდათ დიდი ოჯახის დიასახლისი, ჩვენი ცნობილი ჟურნალისტის რობერტ ზლატკინის მეუღლე და სამი შვილის დედა.

ჩვენთვის, ლილიას მეგობრებისათვის, ძალზე ძნელია მისი წასვლა, ძნელია შევურიგდეთ იმას, რომ ლილია აღარასოდეს არ მოვა ჩვენს საერთო სახლში — რედაქციაში, აღარასოდეს შემოგვანათებს თავის ხალისიან ლურჯ თვალებს.

**ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას" რედაქცია**

---

### ჩვენი გასწორება

1988 წლის 25 ნოემბერს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნდა პუბლიკაცია „მიხეილ ჯავახიშვილი და „სისხლის რასობრივი თეორია," რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „1937 წელს გამოჩენილ ქართველ მწერალს მიხეილ ჯავახიშვილს სხვა ბრალდებებთან ერთად სისხლის რასობრივი თეორიის მიმდევრობაც დააბრალეს."

ამჟამად, რედაქციას შესაძლებლობა მიეცა გასცნობოდა სუკ-ის არქივში დაცულ საბრალდებულო დასკვნას. ამ ოფიციალურ დოკუმენტში, მიხეილ ჯავახიშვილის მიმართ შეთითხნილ ბრალდებათა შორის „სისხლის რასობრივი თეორიის მიმდევრობა" ნახსენები არ არის.

---

# ·სახალისო ანეკდოტები და სხვ.·



გენუა 1922 წელი. ბანკეტი კონფერენციის მონაწილეებისთვის.

უცებ ჩიჩერინი ხედავს, რომ კრასინი ჯიბეში ორ ვერცხლის კოვზს იდებს. ერთმანეთს ანიშნეს: „ერთი მე მომე", „თვითონ აიღე".

ჩიჩერინი გაბრაზდა:

— ყურადღებას გთხოვთ, ბატონებო. მინდა ფოკუსი გიჩვენოთ. აი, მე ვიღებ ვერცხლის კოვზებს და ვიწყობ ჯიბეში, ახლა კი ამხანაგი კრასნი კოვზებს ამოიღებს ჯიბიდან.

●

უკრაინა. მატარებელი. ერთმა მგზავრმა თავისი წინდები ფანჯარაში გაკიდა. მეორე მგზავრი დელიკატურად ეკითხება:

— მითხარით, მოქალაქევ, თქვენ წინდებს იცვლით?

— კი არ ვიცვლი, ვცვლი, ოღონდ მხოლოდ შაქარზე.

●

— რა განსხვავებაა ცეკასა და ჩეკას შორის?

— ცეკაში ციკნობენ, ჩეკაში — რაღაც-რაღაცეებს ჩეკავენ.

●

— სასურსათო მაღაზიაში ძეხვი რატომ არ აიღე?

— იქ ხომ გამოცხადებულია „უჩეკოდ არ ვიძლევით". ჰოდა, როგორი საქმეა, ყოველთვის ჩეკაში იარო საკითხის შესათანხმებლად... ძეხვის ორდერის სათხოვნელად!.. ვაითუ, მთლად ნაადრევს საქმე.




●

მეტომრეების (სპეკულანტების) ბრბო. ერთი ტყავის კურტაკიანი მიდის მეორე ტყავისკურტაკიანთან.

— ამხანაგო, შენ კომუნისტი ხარ?

— დიახ.

— (ჩურჩულით) მითხარი, სადაა აქ დასაპატიმრებელთა დახარისხების განყოფილება?

●

დამთავრდა სამოქალაქო ომი. ქმარი არმიაშია, ცოლი — სოფელში.

ცოლი დეპეშას უგზავნის ქმარს: **„დასათესია კარტოფილი". ბოსტნის დამბარველ-გამთოხნელი არავინაა".**

ქმარმა პასუხად ცოლს უდეპეშა:

**„ბოსტანს ხელი არახლო, აჯობებს შაშხანიანი ყუთი დაფლო".**

ცოლის დეპეშა ქმარს: **„მოვიდნენ ჩეკიდან. მთელი ბოსტანი გადათხარეს".**

ქმრის დეპეშა ცოლს: **„აი, ახლა დათესე კარტოფილი."**




რუსეთის რესპუბლიკას დაარქვეს რსფსრ, რათა მისი სახელწოდება ერთნაირად ეკითხათ ლენინს (მარცხნიდან მარჯვნივ) და ტროცკის (მარჯვნიდან მარცხნივ).

●

საშინელი შურისძიება. ა-მ ბ-ს გოგო ააცალა და მასთან ერთად ზის ბულვარში. ბ. თაფლავს ბიჭუნას, რომელიც მიდის შეყვარებულებთან და ეუბნება: „მამა, მე უკვე გავყიდე ყველა ირისი, ასე რომ, წავიდეთ სახლში".

---


მთავარი რედაქტორი **ელიზბარ ჯაველიძე.**

სარედაქციო კოლეგია: **თამაზ ბიბილური** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია, ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე.**

პასუხისმგებელი მდივანი **გივი ჯოხაძე**

მორიგე რედაქტორი **უჩა შერაზადიშვილი**



რედაქციის მისამართი: 380005, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-68; 99-03-65. 95-36-68.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული საქართველო

„LITERATURULI SAKARTVELO"
THE NEWSPAPER
OF WRITERS OF THE
REPUBLIC OF GEORGIA

გამოდის პარასკეობით

ИНДЕКС 66436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14.